ლიტერატურული გაზეთი

№5 (357) 15 - 28 მარტი 2024 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

აკა მორჩილაძე

კონდრატე
ვითომ ისტორიული წიგნაკი

ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

გამთენიისას ჩაიძინებს ობიექტი და მორჩა, ჩვენ ხო კაი ხნის ჩაძინებულნი ვართ, შვილები მისნი. ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულ კაცს ჩაუძინია და წესით კი უნდა გვეღვიძოს, მარა რაფერც შეეფერება, ქვეყანაი იგი შვილი, უფრო ადრე იძინებდა, ვიდრე ავგუსტუსი მისი.

მარა, აბა, დაიძინა და გაჩერდა ქვეყანაი იგი მის გაღვიძებამდი, ვინაითგან ჩვენ ხო გვძინავს იმ ჩვენი შფოთებითა და იამასაც სძინავს.

ბედი არ გინდა?!

უყარაულოდ ვიყავით. ღამის რომელიღაც მოსახვევში!

II-III



ნათია როსტიაშვილი

მე. მამაჩემი. მამამისი

— არ დაიწყო ახლა შენებური გულის აჩუყება! — მკაცრად მითხრა მამამ და გული აუჩუყდა.

პაპაჩემის ბალახმოხშირებულ საფლავზე ჩაიმუხლა,ზურგი შემაქცია. სახე კი მომარიდა, მაგრამ მამა ხომ მხოლოდ სახე არაა. მისი აწურული მხრები ჟესტების ენაზე მიხსნიან: „აი, ვცახცახებთ.“ მამაჩემის მოხრილი ზურგი ამბობს: „ვტირი.“

ასეთი უცნაური ჩვევა აქვს: როცა ატყობს, რომ ვერ იქცევა ისე, როგორც თვითონ სურდა, მოქცეულიყო — მე მტუქსავს.

ბავშვობაში მეტყოდა ხოლმე სრულიად დაუმსახურებელ საყვედურს და მძულდებოდა მამაჩემი. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ ამ უსამართლო საყვედურის მიზეზი მისი გულქვაობა კი არა, გულუბრყვილობა იყო. იქნებ — სისუსტეც. ასეთი ფორმით, მე კი არა, საკუთარ თავს უბრაზდებოდა მეორე პირში. ასე უფრო ეიოლებოდა. მაშინაც და ახლაც.

VI-VII

სოსო მეშველიანი

ორი გვიანი მგზავრი

მას მინდვრის ბოლოს ელოდება
სახლ-კარი, ფუძე...
მე არაფერი,
ბნელში სადღაც დავეშვი თავქვე,
შორით გამოჩნდა დასახლება, გარშემო უცებ
დატკბა ჰაერი, უეჭველი ბალი მწიფს აქვე,

ან თუთა. ზოგჯერ ასე ტკბება სხვისი მამულიც,
მკერდზე კი მაინც
რაღაც მაწევს მძიმე ტორივით,
მივდივარ, ვუსმენ აუტანელ წივილს ღამურის,
ბნელ სივრცეს რომ კვეთს
უცნაური ტრაექტორიით.

გამოჩნდა კაფეც სახლთან,
სადაც კამპსისი ჰყვავის
(ხანაც მინდვრიდან მოვარდება ნიავი მძაღე),
ფერმის სუნიდან შევაბიჯე სურნელში ყავის,
გამოდის, მცნობს და თვალებს ჭუტავს,
პირს ფართოდ აღებს,
ბარის ცალხელა მეპატრონე იმავე ცალ ხელს,
მიქნევს, მიღიმის, მესალმება, მერე კი, მერე...
უცებ იბრუნებს ყოველივე პირვანდელ სახეს.

IV

პაპუნა ფირცხალაიშვილი

* * *

ეს მინდა, ზამთრის ღამეში მოხდეს,
ბოლო ყულფს ყელზე როცა მოვირგებ,
დაბადებიდან მომყვება, მომდევს
ფიქრი, ფიფქივით გავყვე თოვის გემს.

სულმა ფიფქივით ქარში იფრინოს,
სხეულიც იქცეს თოვლის ფიფქებად,
მაშინ გავქრები, მიწას ლიბრი რომ
გადაეკვრება და ჩაფიქრდება.

იქნება კარი გადაკეტილი
და ხელსაც მაშინ ბოლოჯერ მკრავენ.
ალბათ ღმერთივით არის კეთილი,
ზამთრის ღამეში თუ ვინმეს კლავენ.

ქარი შეიკრავს ღრუბლის თავსაფარს,
ხალხი ჩემს ხსოვნას დააბოქლომებს.
დილის მზე თოვლით მორთულ შავ საფლავს
გააბრწყინებს და მოაოქროვებს.

არ მომიგონო დანით ვენებთან,
დავრჩები მხოლოდ ქვაზე რიცხვები,
თოვლის მოსვლაზე გამიხსენე და
თოვლის წასვლაზე დაგავიწყდები.

V

ბესო ხვედელიძე

365
სამოგზაურო კინო

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

1. დაქალები

ღამის თბილისი. სახლებიდან გასვლამდე. კავშირი ტელეფონით

— აუ, გოგო, ბასანოშკები მინდა იქ?..

— არა!

— იქნებ მინდა?

— რა ბასანოშკები?!. გაგიჟდი?.. კეტები და სპორტულებიო — ხომ თქვეს?

— აუ, რა კეტები და სპორტულები?! ამხელა გავა სად ვაქნიო უცხო ქვეყანაში!..

— შენც მაღალ პლატფორმებზე ნახე რამე სპორტული! ბოტასები არ გაქ? და რომელი დიდი ტრ... შენ გაქვს?.. ნეტა მეც ეგეთი მქონდეს!..

— აუ, ნუ მეტენები რა! ბოტასები აგერაა! პირსახოცი მე ჩემი მომაქვს!.. ბალიშისპირიც და ზეწარიც! იქაც იქნება, სასტუმროში, მაგრამ მაინც!..

— ნუ ახლა, კბილის ჩოთქი და ეგეთები მეც ჩემი მომაქვს... სად ვეძებო იქ?..

— მაკრატელი და დეზოდორანტი დიდ ბარგში ჩადე! არ დაგავიწყდეს!.. ხელბარგიდან ამოგაღებინებენ იცოდე და დაგატოვებინებენ!..

— ეგეთები მეც ვიცი! იქიდან კი არ ვარ... რა ქვია ბაბუაშენის იმას?

— ბებიაჩემი! მე ხაჭაპური მომაქ! რამდენი ვეჯუჯღუნე და მაინც დამიცხო ლილიმ.

— ლილი დეიდა გლიჯავს!

— კიდევ ჩურჩხელა მომაქ და ტყლაპი!

— აუ, სად მივდივართ, აზზე ხარ?

— იცოდე, არაფერი დაგცდეს არავისთან!

— მორჩა. მე ტაქსს ვიძახებ! დროა უკვე!

— მეც!

VIII-IX

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჰყვებოდნენ ქალაქურს თქმულებად, რო მოსკოვში, აქეთა მხრიდამ რო შეხედავდი, კრემლის შიდა, ცხადია, არა სენატის, შენობათა ერთ ფანჯარაში, მთელ ღამეს ენთო ხოლმე შუქიო და ითქმოდა ეს, იგი, ობიექტი, მამაჩვენი ზის და მუშაობსო. ეს ნათქვამი იყო ლექსად და კინოდ: მას არ სძინავს, ის ჩვენზედ ფიქრობს!

ისიც თქმულ იყო მერედამერე, განგებ ენთო ეგაო, ამ თქმულების შესაქმნელადო, მარა მაშინ ხო რომელი კომსომოლა დაიჯერებდა, რო განგებ!

შენ კი, მოდი და დაიძინე, თუ პატიოსანი კაცი ხარ და იმ დროს შენზე ფიქრობენ. ძაან დაღლილი უნდა იყო, უდაბნოდან გამოთრეული, თორე ისე რა დაგაძინებს. ის ზის იქ და ფიქრობს. შენზე. რო შენ იყო კარგად.

გაიგე, შენა, სიმამრიშვილო?

აი, იმ ოთახში, საცა ვითომ ეგ შუქი ენთო, ვაფშემც არ იყო ნამყოფი ჩვენი ობიექტი. ეგღა აკლდა, ისეთ ოთახში ეწყვიტა სახელმწიფო საქმეები, რომლის ფანჯარაც იმ ძველი მოსკოვის ამდენი ადგილიდან ჩანდა.

მოკლედ, თქმულებანი, იქა ზისო.

სულ სხვაგან იჯდა, მარა ვერ ვიტყვით, რო არ ფიქრობდა და იმასაც ვერ ვიტყვით, რო როცა ჩვენ გვეძინა, მას არ ეღვიძა.

ეღვიძა. უმეტეს დროს. ეგ იყო მაგის თავისუფლება. ღამეში კოლექტივი კვდება. შენა ხარ, დაჟე თუნდა, უკვე მოეყვანოთ ქალი თმიანი, ლამაზი. კარკუჩით, რასაკვირველია.

თუმცა, იმასაც ვერ დაგიმტკიცებთ, რო როცა ჩვენ გვეღვიძა, მას არ ეძინა. გვაპატიეთ ესა, მარა მაგ დროს ეძინა, როცა ჩვენ დაგვიანებაზე გვსროკამდენ, თუ ცუდი პარტკომი იყო ჩვენ სამსახურში.

ის ქვეყანა ისე იყო, რო საბავშვო ბაღის პაიოკის ამბავიც ობიექტს ეკითხებოდა და უმისოდ, ვის რა უნდა გადეეწყვიტა, მარა როს ობიექტს ეძინა, იმ დროს კი იღვიძებდა მისი დიადი ქვეყანა, გინა ჩვენა: ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოსწევდნენ საყვირის თოკს, უფრო მისახვედრათ — გუდოკს, რაც ჯერ კიდევ იმპერიის დროის წესია დიდ ქარხანათა, რო დეიწყონ მუშაობა და ლაგერებში შემოჰკრავდნენ დედო ზარებსა, რო აეყარენით, რათა წამოაქციოთ ხეტყე საბჭოთა ხალხის ბედნიერებისთვის, ანდა, შევჭედოთ დიდს საქმეებს და შევჭედოთ, ვთქვათ, ვარცლები იგინი თუნუქისგან (ურბანულ ქართულით ჟეშტი, მდაბიურად ჟეშტი), რათა საბჭოთა ხალხმა იხაროს ძირითადად: იმ თავის, ძირითადად, თითო-თითო ოთახში კომუნალურ ბინისა, საცა მყოფობს საცხოვრებლად უკეთეს შემთხვევაში და საცა, ხშირად, კედლებზე მიეჭედებინათ ლურსმანი, დაკიდოს ზედ ეს ტევადი, მაგრამ არასაკმარისი ვარცლი, უფრო გასაგებ ენაზე კი — ლახანკა, რომელსაც, თუ აბანოს რიგში ყოფნა არ უნდა, ანდა ერცხვინება ასე ტიტველა უცხოსთან თუ შინაურთან გაშიშვლება, ჩამოხსნის იმ კედლიდან, დადგამს შუა ოთახში და ბინის საერთო სამზარეულოში წყლის ქვაბებით გაცხელების შემდგომ მოიხმარს სახვანჩალოდ — ჩაჯდება შიგ და შინაური ვინმე იმ ქვაბებით დაასხამს წყალს, ჩვენ კი, დევემუქრებით ყველას, რო მალე ყველაზე მეტი ატომური ბომბი გვექნება. შეადარე ეხლა იმ მოსასმენიან შინსახკომის საბჭოთა ოტელებში ცხელი წყლის თქრიალსა, მარა ზატო ძრწიან ჩვენით! ეგრე დაბანილებით.

ეგ არი ესესერი, მეტი კი არაფერი: უკიდეგანო ბედნიერება, რო რამდენი წელიწადია, პურსა ვყიდულობ მაღაზიაში. ეს რას მივაღწიეთ, რო დაჟე ასაწონ ირისის კანფეტსა და ეგებ კარაქიც გამიხვიონ სქელ ქაღალდში, რომელსაც მავთულითა ჭრიან წონაზე.

იფ.

აი, ძაან მაგარია, ძმისძმავ. ზეიდანაც მეცნიერება. რუსთ ხელმწიფის დროს ღენერლებს ვითვლიდით, ამტონი გვყავსაო და ახლა აკადემიკოსებს. ჩვენი გონება წინსვლაა, მაშ რა არის. აკადემიკოსები ცალკე ძეხვებსა ყიდულობენ, შიშით, მაგრამ ცალკე მიმალულ მაღაზიაში, ფარდები ქონდა გარედანა და თერთმეტსართულიანში იყო ქალაქ ტფილისში. იქაც, იკრა, მოზომვით, ხიზილალა რომ ჰქვიან. ზერნისტაია, ხორბლისებური. ლაურეატ მწერლებისა არა სთქოთ. არცა მსახიობებისა დიდის ცნობილიობით. შიში, მარა გავძღეთ მაინცა საშვები. დავაძღოთ მომავალი მეცნიერი შუილინი, თუ არტისტნი. რაფერცაა. ალალი იყოს.

მარა ლაურეატი, ეგ ცალკე რომანის სიტყვაა საბჭოთა.

მარა მეცნიერება ვაჟნია. მითუმეტეს, იქ, საცა აბანოს ამბავია.

ეს არის, რომ ოჯახურ დაბანისთვინ ერთი ოჯახის წევრია საჭირო, ყველაზე ახლო დასაბანის სხეულთან და დანარჩენები კი დერეფანში მოიცდიენ.

ის ლახანკა კი დავიწყებულა დღესა და ვინც მეესწრო, მეესწრო, რას ვიზამთ. იერით იგი არს შემჭიდროებული კლასიკურ

აკა მორჩილაძე

კონდრატე

ვითომ ისტორიული წიგნაკი

ფრაგმენტი
მომავალი წიგნიდან

საბანაო ჩასაჯდომისა ძველი საუკუნეების: ანუ საბჭოურად დანაზოგი არსი ჭეშმარიტ ლახანკებისა, ადამიანებს რომ მეცხრამეტე ან იმისწინა საუკუნის შესახებ გადაღებულ ფილმებში უნახავთ.

ლახანკას მას საბჭოურს ჯერ კიდევ შენარჩუნებინა, რომ ერთი ზურგი ნაზად მაღლაი ჰქონდა, ოღონდ სულ ოდნავ. იმ ძველ საბანაო მოწყობილობებში ერთი მხარე წარმოდგენილი იყო, როგორც სავარძლის ზურგი, მაღნარად მოწყობილი, რათა ზის შიგ ვიღაცა და ნებივრობს: ვენ იუ არ თუ შუუთ, შუუთ. დონ'თ თოქ.

მაგრამ საბჭოთა ლახანკებში საზურგეი ესე სამგრძმობელოი და საფუფუნებო, რო ადამიანი ხარ და იბან, წარკვეთილ იყო და დაცოტავებული, ვითარცა დეეკოდათ ლახანკაი იგი ჭეშმარიტი: საბჭოთა სიტყვით რომ ითქვას — დარჩენილიყო მხოლოდ სიმბოლიურად, ალალად კი, სამარცხვინოდ.

ვინც კი თუნდა ბავშვობისას მჯდარა იმ ლახანკაში, როცა დედა ბანდა დიდი წვალებით სოფლის ტალახებში ნათუთხნს და სათლთა და სასხამ ხელჯამთა მოხმობით ცდილობდა შვილის ტყიდან ცივილიზაციაში მობრუნებას, ის კი მიხვდება, რაიც არს ლახანკაი იგი, თქვენ მანდ იბანეთ, ჩვენ აგერ გვაქს ჩვენი საგვრიჭინოო და თუკი გუდოკი იგი იყო უმთავრესი ხმა ქვეყანასა შინა, რადგან ფარისევლურად ითვლებოდა, რომ აქა მეფობს დიქტატურა პროლეტარიატისა და ძალაუფლება ჯერ კიდევ ეკუთვნის მართლა მშრომელ მუშასა და გლეხს, უპასპორტოს, ნაშიმშილებს, დახვრეტილს და ჯანდაბაში დაკარგულს, რა გასაკვირია, რომ მის ძილში გაისმოდა უფრო ნაკლები ხმებიც კლასთა ბრძოლის მნიშვნელობის განხრით.

ვთქვათ, ტრამვაის ზარის შემოკვრის, ჯერ კიდევ ძველებურიდან თანამედროვეზე გარდამავალი და მერე სულ გასაქრობი და ასევე ზარები სკოლებისა და ეგებ ზარიც, იმ გაცვეთილ ამბავში, რო ვისთვინ დაურისხნიათ კაკაბეთის ზარები და ულაპარაკოდ მხოლოდ შენთვინ.

ერთს კაი ლოთს და კაი კაცსა ნასწავლობით ეპოვნა ეს სიტყვები ძველი მოლექსის ნაწერში* და თვის წიგნზე დასათაურება-წამძღვარებით მეებრუნებინა მსოფლიო მკითხველს საზოგადოებაში, მარა იმას მაინცდამაინც ვერ წარმოედგინა და არც რამე იცოდა იმ ქვეყნისა, გარდა არყისა და არაყზედ კი, ჯაშუშადაც ჩააწერინა თავიუდარდელაოდ და უჯაშუშოდ, რომ როცა დედამიწის ერთ მეექვსედ მიწაზედ — და ვინ მისცა ამხელა ამ ოხრებს, მარტო იმიტო, რო სხვას არ უნდოდა? — დარისხებული ზარების ძალუმ ჟღარუნისას მათი მომსმენი ვინც უნდა ყოფილიყო, იმას ეძინა და იღვიძებდა მაშინ, როდესაც მისთვის საძულველ კაპიტალისტურ სამყაროში უკვე ლანჩის დრო ახლოვდებოდა და იყო ერთი სანდვიჩობა. თანაც, იქ სხვა ზარები რეკავდა და ვისაც უვლია საქსთა და ანგლთა მიწაზედ, იმან იცის. უცებ დაარისხებენ ზარებს იქაურ ეკლესიებში და არი ეს ხმა იმ გაცხარებულ ფულიშოვნია სამყაროში, ხოლო ობიექტმა კი აღადგინა საბჭოთა ხალხისთვის გვიანბიზანტიურ ეკლესიის თაყვანისცემის და რწმენის პოლიტიკური საშვალება, მარა, აპ-აპ-აპა-პაააჰ, თქვენ თუ წარამარა ზარები არისხეთ, ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქაო და ეგ მნათეობა არ იყო: იყო მხოლოდ სამუშაოს და სტავლის დაწყების ზარები, რაიც ვითარ მოხსენებულ არს, გახლამს ნამდვილი შინაგანობა საბჭოეთისა, რომელიც მეცნიერების გარეშე მოკვტება.

ეძინა და ეძინა, ვის არ სძინებია ხოლმე; რომელიმე იმპერატორს აღმოსავლეთ რომისას, ან, დასავლეთისას ხო საერთოდ, ცარელა დილიხორზე იყო იქა. ან უბრალოს, ქართველს თავადს არ სძინებია ლუარსაბა თათქარიძეს, ყმათა ოფლისღვრის დროსა? მაგან არ უნდა შეგაცბუნოთ: ამ ბოლო სიბერისას გეიღვიძებდა ობიექტი, მიხედავდა თავსა და მალევე დეიწყოებოდა, არ გეუცხოოთ უცხო სიტყვა და — ზვანოეკები მასთან მოვახშმე ხრუშოვიან-ბერიიანთა სამუშაო ოთახებში და საქმეც ესაა, რო ისინი იმ გუდოკ-ზარების დროს იღვიძებდნენ და მიდიოდნენ თავიანთ სამუშაო წერტილებში.

ადგილზედ იყვნენ.

ვერ ეძინათ, თან იცოდნენ, რო ის ადგება, დარეკამს და მოითხოვს რიგ შედეგებს, რომელთა გამო კრინტიც არ დაუძრამს წუხანდელ ვახშამზე კი არა, თვეებია. გადასაწყვეტი საკითხები და შედეგების შემოწმება.

ეგრე იყო კვირაში ოთხ-ხუთჯერ, რო წამოდით ახლო აგარაკზე და დილამდი სავალდებულო სმა, მერე სახლში მოსვლა, სამ-ოთხ საათს წაძინება და იმ გამოყოლილ პირის გემოთი გავარდნა სამსახურში, რო, სხვას თავი დაანებე და ხალხი გყავ დაბარებული და გეგმა გაწერილი (სტ. 71. 21:3 უკეთუ დასახულია, რომ აღსრულდეს გიორგობისთვეს, უეჭველად უნდა აღსრულდეს მკათათვეს. ესე არს პირობაი უცილობელი ძალისა ჩუენისა და ყოველი ვინცა გადავალს სიტყუასა მას იქმნეს მოკვეთილ).

ეგრე მუშაობდენ, მარა ობიექტს ეგ სულ არ აინტერესებდა, ის იყო ამნაირი დღეღამის განრიგის მოქალაქე და, ერთი შეხედვით, დიდად არა ჯავრობდა, ვის როგორ შეეძლო.

ესენი ჩიოდნენ ჩუმჩუმად და სახლში, თვითონ არ სვამს და მაგასთან სმამ კუჭის წყლული დამმართაო, სულ ყველგან მეძინებაო და ასე, მარა საქმე ის არი, რო ობიექტმა ხო იცოდა, რა და როგორ და მაინც, თავისებურად აკეთებდა. ეგება და მოსწონდა, რო ეგრე ჰყვან მუჭში ეს ამოტოლა მოხელენი და თანამესანგრენი მისი და თვალი ხო ქონდა იმნაირი, თითქმის ვერ შეაპარებდი რამეს და სწორედ იმ თავის ნაშუაღამევის ვახშამზე, ვისაც დააძალებდა დათრობასა, გაღვიძებისთანავ, იმას დაუწყებდა რეკვას.

ის კიდო, ცალკე ნამთვრალევი, მაღალქართულად ნასმურევი, დასავლურქართულად, ვითარ ვახსენეთ — გამოყოლილი, რაცხეებს წვალობდა და სვამდა სოდიან წყალსა: ჩაჰყარე სოდა ჭიქაში, დაასხი წყალი, მორუე და ხუხე: სხვა უკეთესი კუჭის წვას არაფელი შველის, მარა ნამთვრალოებას კი კიდო უფრო. გააგიჟებს ამნაირი ნაყენი და იქ კი საჭიროა ძველებურად შებრუნება და მთელი რე ბრუნება რო სვლაზედ იყო და ვის ქონდა შებრუნების დრო? პახმელია ვარაო, ისე მომუშავე ხალხი იყო.

ობიექტისგან ვარ პახმელიაო, გულში მაინცა ქონდათ ეს სიდიადე სრულიად უმეტესთ.

ობიექტი, რაცხა უკიდეგანოში მოხვედრილი ძველი ქართველი გლეხკაცი იყო შინაგან ქცევა-ფიქრებით, იმის მეტიც კიდევ, ქართლელი კაცი იყო, ამბობდნენ, ისიც არი მამითაო, მარა ის ოცს ყოფითა და არსით ქართლელი გლეხკაცი იყო და ნუ გაკვირდები და, ყოველდღიურობაში, მითუმეტეს დაბერებულზე, ობიექტი მოქმედობდა სულ გლეხურ, პატრიარხალურ, ერთგულ ცხოვრების წესით და სუფრაზეც ასევი იმას, რო ვინაც სუსტია. დააწექი, რო იფორთხოს. ჩვენ კიდო, ვიოხუნჯებთ. ეგე, ფორთხამს. ეს ჩეერთვებოდა ხოლმე, თუმცა, გამორთული როდის ქონდა?

ასეთი ერთი-მეორე დავიწყებულია დღესა სმის რამეების შეცვლის გამო უმეტესად, მარა მაშინ, ის დააძალებდა დამახსოვევულად სუსტ დამლევს, ანდა, თუ ეგ მოსაბეზრებლად გამოჩნდებოდა, ამოჩემებით და ამოჩემებულიც ხო დამახსოვრებულია.

თამადა სულ სხვა იყო ხოლმე იმის ვახშმობებში, მარა რა თამადა? თითონ არ იყო მსოფლიო თამადა? სუფრა გაშლილია, მობძანდითო, ერთი ეგ ვერ უთხრა სამყაროს ხალხებს თავისებურ ძალით.

დარჩენილია ამბები განთქმული ქართველი მეცნიერისა, უშიშროებისგან მსახურად ნათვინიერებისა, რაიც ობიექტსაც დასჭირდა ერთხანობა მისთვინ დიდ საქმეზე და იხსენებს ეს კაცი, მოვდიოდით მცირე აგარაკიდან მაშინით ბერია და მეო და ბერიაი იგი ჩამოსწემდა მალიმალ ავტომობილის უკანა შუშას, საცა ვისხედით, გადაჰყოფდა თავს და აღებინებდა, შემოჰყოფდა და შეილანძღებოდაო.

არცა ბორჯომი ჰქონდათ გზად და არაცა სხვა რამ ნარზანი და იმ დღეს, როგორცა ჩანს და ქართველ სტუმრის წინაშე ობიექტი ბერიას მოსთხოვდა, გინდა, თუ არა, სვი კანიაკი ღვინის დიდ, ფეხიან ბოკალითაი და ბოლომდი გამოწმებაო.

იცოდა ეგეები.

ამას ხო დილა მოჰყვება. ახლა კი ექიმები ანბობენ, ობიექტი მომეტებულადა სომდა ბორჯომ და ნარზანის წყალს, სულ დაგაზულს, რაც კარქა არ აისახებოდა მის ჯანზედაო. ამას მიუმატე სულ ღამის თენება ჩვენზე ფიქრში და, განსაკუთრებით, ცხოვრების სამოზდამეთუთხმეტე წელიწადს; ზედაც, ცხიმიანი ხორცები, რომელთა ჭამასაც უყვარდა, ვითარცა ყოველ სიღარიბეში გაზრდილს იმ დროებაში და სხვა ასეთები, აქიმს რო არ უყვარს.

მოკლედ, ობიექტს ეძინა კაი თორმეტ საათამდი ხოლმე და, აბა, მერე როგორ უნდა გაიგო, რო გაიღვიძა?

საჭირო ხალხმა როგორ უნდა გაიგოს,

თორე სახლში ხვდებოდნენ იოლად: ან სავარძელში ჩაჯდებოდა ან ეზოში მოდარაჯე დაინახავდა, რო მის საყვარელ ოთახში, მცირე სასადილოს რო ეძახდენ და ისე რო კაბინეტიც იყო, საწოლიც და სხვაც, შუქი აინთებოდა. ამ ოთახის ფანჯრები გამოსცქეროდა სახლის წინა მხარეს და ტერასაც ქონდა მოდგმული.

ზამთარში რაის ტერასა და ალპების მზეს მიფიცხება და კიდო ერთი, ყოველდღიური და უპირველესი გზა იყო, რომ ობიექტი თითს დააჭერდა ოთახებში, საჭირო ადგილებზე დატანებულ ზარის ღილაკებს, ანუ პნოპკებს და ეს ნიშნავდა, მჭირდებით, მოდითო. ეს უმეტესად ნიშნავდა, რო ადგა, მოწესრიგდა და... აბა, საუზმე და ეგრევე საქმეები იწყება.

ახლო აგარაკი კუნცევოსა შინა იყო მთელი მეურნეობა.

ობიექტი კი მარტო ცხოვრობდა იქა და ბევრიც არ უნდოდა საჭმელ-სასმელ-საფუფუნებოდ, მარა სულ რაღაც მაინც უნდოდა უბრალოდ პროლეტარული საჭიროებისა და ამიტომ, ყველა იქ მომსახურე იყო შეყენებული მომსახურეობის ჩახმახის წკიპზედ.

იქ იყო ცალკე ეზოს ჯარი, გამწესებული სახლის მოდარაჯედ, რომლის წევრნიც იმგვარ მანძილზე დადიოდენ ერთიმეორისგან, რო ერთი თოფიანი, ყოველთვის ხედავდა მეორეს და ასე ჯაჭვურად იმ კაი დიდ პარკში. კიდო იყვნენ პირველი შემოშვების ჯიხურის ხალხი, თუმცა, უწყებრივად იქ ისაც იდგებოდა, ვისაც შინ შემოსვლაც შეეძლო. მერე, მეორე ჯიხურისა, ისინიც იგივე და მერე კიდო, უკვე სახლთან შემოწმების ხალხი, ესენიც, იმავ სამსახურისა და იქედან, აბა, თითონ შენობათა ხალხი: თუნდ, მზარეულნი ქალნი, ცეცხლფარეშნი, რო გათბობა იყოს სულ ერთნაირი, იქით კიდევ ბაღის, გინა პარკის ხალხი და სამნეო ნაწილი, შესაბამისი შენობებით და კიდო დაცვის ხალხის სახლი, რომელიც ვოზდახუთმემტრიანი დერეფნით იყო ჩაბმული თავად ობიექტის საცხოვრებელ სახლსა, ანუ ახლო აგარაკს, რომლის დამგეგმავ-ამშენებელი კი იჯდა კაი ხანი იყო, ცხადია, და კიდევ მთავარნი ადამიანნი მისი სახლობაში ყოფისა, რომელნიც მსახურობდნენ ვოზდაოთხსაათიან წესით: იცვლებოდენ გამოსაძინებლად და გახლდნენ, დღევანდელ ენით, პირადი დაცვა, იმ დროის საბჭოთა ენით კი, დავალებათა აფიცერი ობიექტის სიახლოვეს და ეს იყო ნაირგვარი ასაკის და განსხვავებული სამხრეების მქონე ხალხი, პალკოვნიკიდან ლეიტენანტამდი და კიდო ორი, როგორც ქართული ლექსიკონი მოთარგმნის რუსულიდან, მეთეთრეულე ქალი, რომელნიც, ასევე დღეგამოშვებით მორიგეობდნენ ამ აგარაკში.

ამათგან, სწორედ იმ გაზაფხულის პირველ დილას ყოფილიყო მატრიონა ბუტუსოვა, რომელიც მეორე დიდი ომის შემდგომ მეეწვიათ ახლო აგარაკზე. ამ ქალის სახელმწიფო თანამდებობა იყო პადავალშჩიცა, მიმტანი, ანუ აფიციანტკა, მაგრამ აფიციანტკად ვერ მოიხსენიებენ, რახან კამუნისტები არიან და აფიციანტობას, მომსახურეობას, არა ცნობენ. ამ მატრიონას კიდო ჯერ კიდევ ლამის ვოზდახუთი წლის წინათ დეეწყო აფიციანტკობა მოსკოვში სოფლიდან ჩამოსულს და ადგილცვლით მოხვედრილიყო მტანჯველთა სასადილოებში და იქედან უკვე დამკვიდრებულიყო კარიერულ პადავლაშიცათ, კასტელიანშად ამ ახლო აგარაკზე ყოფილ ღენერალ ვლასიკის შერჩევით.

საბჭოთა საბუთები არს უცნაური რამე: ყოველნი აღმწერნი ამ გაზაფხულის პირველ დღისა ამბობდნენ, რომ ახლო აგარაკზედ ტრიალებდა მატრიონა ბუტუსოვა, მარა საბჭოთა საბუთებით, ის უკვე ერთ წელიწადს აღარ მუშაობდა იქა. იმ დროს ხშირად იყო, რომ სხვა ადგილს ხარ მიწერილი და სხვაგან მუშაობ, ვინ იცის, რა უსაფრთხოებითი ფიქრი აქვს შენს სამართველოს. საცოდნი კი ისაა, რო ყველა ამათგანს, გინდა ცეცხლფარეში ყოფილიყო და გინდა, მებაღე, უშიშროების სამხედრო წოდება გააჩნდა: ზოგს სალდათურ-უნტერული, ზოგსაც აფიცრისა, თავად ნამდვილ აფიცრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ ამ ამბავში მატრიონა სულაც არ იყო პირველსახსენებელი, თუმც კი, მოხდა, რომ პირველხსენებულია.

მთავარი და ცნობილი კი გახლდათ ვალენტინა, ანუ ვალეჩკა ისტომინა, ასევე ვითამ პადავლაშჩცა მრავალ წლის განმავლობაში, მარა იმ წელიწადს უკვე თანამდებობით დაი-მასპინძელი ახლო აგარაკისა, რაიც თანამდებობით წინ იქნებ, ვიდრე ხსენებული ბუტუსოვა, თუმცა, ხელობით ეგებ იგივეც იყოს და წოდებით კი ლეფთენათ უშიშროებისა.

ესეც მშრომელებიდან მოსული გოგო იყო, რომელიც თქვირი იერით შეემჩნია აწ უკვე ყოფილ ღენერალ ვლასიკსავე, რომელიღაცა ქარხანაში ყოფნისას და ვინ იცის, რაფერ და ეგებ დაუფლებოდა კიდეც მასა, რახან ეს ვლასიკი შემჩნეულ იყო თავის თანამდებობით მრავალ ახალგაზრდა ქალთადმი სწრაფვაში და კი წამეეწია ეს ვალეჩკა მიმტანად შინსახკომი სასადილოებში, იქედან კი, წინ, წინ და წინ და მალევე დეესვა ახალაშენებულ ახლო აგარაკზე, საცა დაქვრივებული ობიექტი ჯდა და იქიდამ იწყება, რო ეს ვალიაო, ობიექტის ის იყოო, დიდა აღმერთებდა მის სიდიადეს და თან ეგმენათ ერთურთიც, იმის მიუხედავად, რო იმასობაში სამხედრო კაცის ცოლიც შექნილიყო, მარა სამუშაო ადგილს წინ ვინ დაუდგებოდა, ამნაირი სამუშაო ადგილი ხო სად არსებობდა დედამიწაზე.

თავად ვალეჩკა ყოფილიყო გვარად ჟბიჩკინა, სრულიად გლეხუჭი და ისტომინთ ძველს გვარზე კი იდგა ქმრის საშვალებით. მარა იერით კი სწორედ ისეთი გახლდა, რო მოსწონდა ობიექტს ეგეთი ქალებიო.

იმასობაში ბალშევიკ მეთაურების მისწრაფებანი ვნებათა სურათის განხრივ ხშირად იყო, რო თითონ ნატანჯი, კატორღის მნახველია, ანაც ემიგრაციაში შევერცხლილი ხომ იყო და ცოლი, ანდა ქალი თითქმის და ყველას უნდა ჰყვანდეს ნორჩი და ცინცხალი და ეგრე ყავდათ, მეორმესამე ცოლები და თავად ობიექტსაც ეგრე ყავდა და ადრე, სულ უწლოვანებს, ან უწლოვანის ზღვარზე მყოფს დასდევდა და რა გემო იყო ესა, არტ დეკოსი, თუ უფრო იოლი რამ სხვაი თვითძალით ტკბობისა, ან ფრანგულ ჭკვიანთ ნაწერთა შუა საძებარი, ვინ იტყვის, მარა ნორჩ ბალერინათა გამო წამხდარი დიდმოხელენიც ხო ცნობილია.

ოდეს გააწესდა ვალეჩკა პადავალშჩიცად თანამდებობით სხვაგან, სინამდვილეში კი, ახლო აგარაკზედ, ის იქნებოდა, ასე, ოცდაერთი წლისა, ობიექტი კი ლამის სამოცის და ეგ იყო, რო ძველ წრეშიც იცოდნენ და ახლა მთლად დავიწროებულშიც და საცა გაიბედებოდა, წაიჩურჩულებდნენ, არ შეელევა მაგასაო, ეგ ვალეჩკა არის მაგის არა მხოლოს მეთეთრეულე, მიმტანი, ულვაშის მომწენდი პლატუკით, როცა მაწონსა სჭამს, არამედ მეტიცაო. იმ ოთახებში ვინ შებედავს, ვალეჩკას რო საჭმელი შეაქს, ანდა გარეცხილ-გაუთავებული კალსონებიო. აუთეებს, ხვანჯრებსაც კი ატკიცინებს, დიდი ზრუნვა�ო.

შესამჩნევს ვერ შეამჩნევდა ეგა, დასაპყრობს არ დაიპყრობდა, თუ საცოდინო არ ეცოდინებოდა? მიწის გულში რა იყო, ის იცოდა, როგორც იტყვის კლასიკოსი და ამ ქალისადმი კი გააჩნდა უკიდეგანო ნდობა ობიექტს ბარე, უკვე, აგერ, ლამის ჩვიდმეტ წელიწადსაო, თუკი, რასაკვირველია, შეეძლო ვინმეს ნდობა. რაფერაც შეეძლო, მოკლედ.

საერთოდ, ცხოვრება ახლო აგარაკზე იმნაირი იყო, რო ეს ამდენი მოსამსახურენი დიდი ბატონისა, იმას კი ვერა ნახავდნენ. წარა-მარა კი არა და ისეც, სად იყო ასე იოლად სანახავი.

იმ დროებაში მოსამსახურეს უკვე საჩოთირო სიტყვადა თვლიდნენ და ჩაფარს ხო საერთოდ წყობილების მტრად, თორე ვინც იმ აგარაკზე იყო, ყველა იყო მოსამსახურე, ყმა-გლეხზედ უარესი და ძველათ რო თავადებს ხალხის ყმანი ჰყავდათ, იმათნაირი, ოღონდ იმათ კიდო შეეძლოთ, რო გედეეხუხათ მაინც და ამხელა ტიხრებიც არა ჰქონდათ ბატონთან.

საცა იყო სამზარეულო და დაცვის სახლი, იქიდან საჭმლის მოქონდათ მოკუთხული გრძელი და ვიწრო დერეფნის გამოვლით და ეს დერეფანი უნდა გევლო ხმაურით, გინდა საგორაო მაგიდა გეხტუნავებინა, გინდა თავად გეხველებია, გინდა ნაბიჯი გედეზებინა, რო იმას, ვინაც იყო საკუთრივ ახლო აგარაკის სახლში, შორიდანვე გეეგონა. ობიექტს არ უყვარდა სხვისი უხმაურო სიარული, თავზე წამოდგომა და ასეთები. ვის უყვარს?

წესი ასე იყო, რომ თუ საკუთრივ აგარაკის ოთახებიდან გაისმებოდა მხმობი ზარი, მხოლოდ მაშინ წავიდოდნენ იქითკენ იმ გვირაბ-დერეფნით: აბა, დავალებათა აფიცერი ხარ და დაგავალებს ეხლაო. იყო მხოლოდ ერთი საშვალება, რო გაგევლო ეს ვოზდახუთმეტრიანი დერეფანი იმ ზარების გარეშე, რომელთა პნოპკებიც ყველა საჭირო ალაგას იყო იმ ოთახებში და სიმართლე ითქვას, ოთახი საბოლოო ჯამში იყო სულ ხუთი, იქედან სამი თითქმის სულ მივიწყებული ობიექტისგან, რადგან მას უყვარდა ორი ოთახი, დიდი სასადილო და მცირე სასადილო, გინდა კაბინეტი. იმ მცირეში დაიძინებდა ხოლმე, რადგან საკუთრივ საწოლ ოთახში ძილი არ უყვარდა. საწოლიც არ უყვარდა. მაშინ იყო მაღლახელსადებიან-მისაყრდნობიანი ფართო დივანები, რომელსაც მამენტ და კუშეტკასაც ეძახდა და ასეთები კი სახლში იდგა რაოდენიმე: უმალ იმათზე ეძინა, ვიდრე ლოგინში. ამიტომ, ეს ვალეჩკაცა და ის მატრიონაც უშლიდნენ იქ, საცა მიათითებდა. თუმცა, დიდად ეგ გაშლაც არა ხიბლამდა. ძველი კაცი იყო, სად არ დეეძინა. ბალიში ჰყოფნიდა და ხშირად საცა გაუშლიდნენ, იქ კი არ დაიძინებდა, არამედ, სხვა იმნაირსავე დივანზე: მოსდებდა ხელს ბალიშს და მიიგდებდა, გადასაფარებლად კი ის თავის ცნობილი ფარაჯა ჰქონდა, რომელიც იყო სამი და ისე კი ერთიაო, თქმულიყო და რომელსაც უკვე მეორე დიდი ომის ბოლოდან ზედ საუცხოო, მოოქროვილი სამხრეები ედვა მარშლისა.

ფარაჯა! ეს ახლო ნივთი იყო იმ ადამიანისთვინ, რომელსაც რუსთ ხელმწიფის დროში ეცხოვრა და ემარტვილა. მოსწონდა ეგ გვაბანაკი.

ობიექტი ცნობილი იყო ჩექმით. თხელი ჩექმა უყვარდა, სააფიცრო. მარა ჩექმას გახდა უნდა და ადრე კი იხდიდა იოლად, ხელის გაჩვევაა, სხვა კი არაფერი, მარა მერედამერე, გამხდელების საჭიროება გამოჩნდა და ეგ ცალკე ამბავია, რადგან ბარე რაოდენიმე დუჟინ მის დროებაში გადაღებულ რუსულ ფილმში და მერეც ხომ საერთოდ, ყველაზე ავყია კინოგმირნი მიეგდებოდნენ კრაოტზედ და იშვერდნენ ჩექმიან ფეხებს, აბა, გამხადეო: უმეტესად, ცოლებს ან დამორჩილებულ ქალებს ეუბნებოდნენ ამას, მაგრამ საჭიროებისდამიხედვით, იმათ მონა-მსახურნიც გააძრობდნენ, რაიც ძველი დროის ცნობილი ნაწილია ყოფისა და ვინ გახდიდდა ხოლმე ობიექტს ჩექმას, ვალეჩკა?

ოდესღაც, ეგებ ვალეჩკაც, მარა ობიექტის იერი, რომელიც წარმოედგინა იმ აღტაცებულს და აქეთ მხარეს კი განადგურებულს საბჭოთა ხალხსა, ლამის ოცი წლის წინანდელი იყო და იმ მეორე ომის მერეთ ხო აღარც არსებობდა: ობიექტის ჩექმა აღარ ეცვა, რადგან მეტად კავალერიის ბებერი ღენერალი უნდა იყო და წარა-მარა ვარჯიშობაში, რო ჩექმა შეუწუხებლივ გეცვას და თან მეცხრამეტე საუკუნეშიაც უნდა ცხოვრობდე, ხოლო როცა ეცვა, ობიექტს ჩექმა ეცვა უკეთესი სიარულისთვის ადრიდანვე, რადგან კოჭ-სახსარი არ უვარგოდა და ერთგან თითებიც თანაშეზრდოდა ერთიმეორეს ფეხზე. ჩექმა მისი იყო რბილი, გადასარევი, იქამდი უნახავი. უკერავდნენ დიდი წინასწარი მოზომვით და ასევე, თქმულია, რომ ომის მიწურვულისკენ, როცა მევიდა უცხოური რამეების დანახვა, ჩექმის ქუსლში გოუკეთენ შტეფსელი, ფსკერზედ კი, იმას მიბმული სათბური, რო დადგებოდა შვიდ ნოებერს მავზოლეუმის თავზე, არ შეცივნოდა, რადგან ამ შტეფსელში, შეაერთებდნენ ორმხრივ მართულსაო.

ნამდვილია ესა, თუ არა, კაი ხანი იყო, ობიექტს ჩექმა აღარც ეცვა: ქონდა კაი ნახმარი რბილი ფეხსაცმელი, სამარშლო შარვალას ქვეშე გამოსაჩენი და იმის სათადარიგოც. ამბობდენ ხოლმე, სულ ნახმარ-მოცვეთილის ურჩევნია, ახლის მიტანაზედ ბრაზობსო და ბრაზობდა, მოცვეთილს ხო იოლადა ხმარობდა ავანტყოფი კაცი, მარა იმ ახლებში იყო ახალი ფარაჯაიც, უფრო თბილი, ვიდრე ახალგაზდობის წასაფარებილი. რატომ არ გადაიფარებ? როგორც გირჩევნიან, ისე უნდა გეძინოს. ძილის ამბავი ვინცხას სპალნა გონია, სინამდვილეში კიდო, საცა ტკბილად მიგეკუნტება, ის ადგილია შენი. ამიტომ, ფარაჯა არ იყო პატარა ანბავი. ეგენი შემოსასვლელში ეკიდა და ფეხსაცმელებიც იქ ეწყო: გავიდოდა და ჩამოხსნიდა, ერთით თქვენი დედაც ვატირეო. მარა ასაკი ოხერია: აღარც ჩიბუხს ეწეოდა, დაუჯერა აწ დაჭერილ აქიმს ვინაგრადოვსა და ამაზედ კიდო უფრო ბრაზობდა, რადგან ვისაც დაუგდია თამბაქოს წევა, მან კი იცის, რო იმის მეტი აღარაფერი ენატრება ცხოვრებაში, რო ერთი კარქა გამართოს კოხტა ჩიბუხი და გააფუილოს, დაჰბოლქვოს გარემო და იგემოს საგემებელი. ჯერ კიდო იმ დიდი ომიდან, ჩიბუხი აღარც უხმარია: დასაზარებელი იყო და თან უცხოელებთან, დასანახად, მთლად პაპიროსის წევას იწყებდა.

მოკლედ, რაც ეგონათ, ის აღარ იყო და სახლში პირადობისა ჰქონდა ორი რამე: პირველი, რომ ფარაჯაზედ შემოსასვლელში არ გასულიყო და ახლო ჰქონოდა, რის გამოც ოთახის კედელზე მიაჭედებდა ხოლმე ლურსმნებს თავის ხელით და ამას მოდევნებული საოცრებაი იგიც არის, რო საცა რამ სამუშაო მაგიდა ჰქონდა, იმის კიდეზეც, უჯრებს აქეთ, დაჰკრამდა ერთ ლურსმანსა, რო ზედ კარტუზი ჩამეეკიდა.

ეს ბავშვობიდან თუ მოდიოდა, რათგან მაშინ იყო, რო მჯდომარ საქმის ხელოსნები, ვინაც ღია ცის ქვეშაც მუშაობდნენ, ქუდს რო მოიხდიდნენ, თავიანთ ქუჩის პატარა მაგიდის კიდეზე დაჰკიდებდენ ხოლმე ეგეთსავე ლურსმანზე. მამამისიც ასე ჰკიდებდა კარტუზს იმ თავის სახელოსნოში, კედლებზე კი არა, სწორედ ახლოში, მაგიდის ფერდზე და ობიექტიც ამიტო თუ დაბარებდა, ლურსმანი და ჩაქუჩი მომიტანეთო და ჩაჰკრავდა.

მეორე კი იყო, რო საშინაო გასართობად მისთვის იყო ერთადერთი, რო, რახან ფერადი ფოტოყდები შემოვიდა, აიღებდა ხოლმე ჟურნალებს და მათი ყდებიდან სახაზავითა და საკანცელარიო დანით ამოჭრიდა ფერად ფოტოებს.

სულ უბრალო ფოტოები იყო: მთიბავი ქალი, ტრაქტორისტი კაცი და ნორჩები, მწველავი და მშენებელი თავის საქმეში; ძროხები, ხარები, ბეკეკები, ორთქლი ქარხნის მილიდან,სხვას რას გადაიღებდნენ საბჭოთა ჟურნალის გარეკანზე დასატანად?

ამ ცრუ, მაგრამ მშვიდობის მაჩვენებელი ფოტოების მომწონი იყო. რა ეგონა ისინი, გრძელი სათქმელია. ცხოვრების სილამაზე? სიცრუის სილამაზე? რა იყო ესა. ოღონდ კი, მართლა დიდი მონდომებით ამოჭრიდა ხოლმე და სასადილოებში დივანთა თავებზე ჭიკარტებით აკრავდა. ასეთი იყო მისი კუთხეები. პირადად მისი, თორე ხო ვიცით, რომ არც ეს ს ახლი, არც ის კრემლი, არც ნივთები, გარდა ტანისამოსისა და ჩიბუხებისა, მისი არ იყო: ასე თვლიდა და ასეც ავრცელებდა და აჯერებდა ყველას, რომ ყველაფერი სახელმწიფოსია და მხოლოდ იმიტომ მოიხმარს, რომ ხალხმა სახელმწიფოს მართვა მიანდო. რა თვითონ, ასეთი იყო კანონი და აგებულებაც თანამდებობის კაცის ყოფა-ცხოვრება-ქონებისა, მისი მოგონილი იყო, რო ვინც მსახურებს სახელმწიფოსთვის უმაღლეს ეშალონებში, მანამდი აქვს რამე, სანამ ამ სახელმწიფოსთვის მსახურებს და თუ გაგისროლეს იქედან საბოლოოდ და აღარც რამე გაქვს.

კაი ხანს გასტანა ამ მოგონილმა, ლამის სულ ბოლომდე, ოღონდ, უფრო პოლიტიკურ საჭიროების მიხედვით, რადგან, იმ უზარმაზარ აგარაკებსა და ხალვათ ბინებში, ყოველ ავეჯს და ლამის სტაქანსაც კი, თითბირის ოვალური ფირფიტა ეკრა, რაღაც ნომრებითა და ასოებით, რაიც ნიშნავდა, რო ეს სავარძელი, შენ რომ ჩამჯდარხარ, მარშალო, შენი არ არის, სახელმწიფოსია და გათხოვა, რახან ჭირდები. კერძო აგარაკისთვის კი გიბოძებთ მიწას, რასაკვირველია, თუ დავინახამთ საერთოდ ამის საჭიროებას, რადგან ჩვენ არ ვართ მომხრე, რომ თქვენ კერძო სახლი წამოჭიმოთ და ამის კიდევ ცალკეა მოფიქრებული.

აბა, სთქვი, რით არ იყო უნამდვილესი რევოლუციონერი, კაცი სამი წყება ნიფხვით, ხუთიოდ კიტელით და რაცხა ხალათით, საშინაო ფლოსტებით და ფიქრით, რო კალმისტარიც კი, რომელიც უჭირავს და რომლითაც სწერამს მსოფლიო მშრომელთა აღმაგზნებელს აზრებს, მისი არ არის?

მარა, აბა, ჰა, ამოტოლა კაცს ეგებ რამე მოუნდა?

რა მოუნდა და მოხუცდა და მარტო იყო.

---

*ყოველი ადამიანის სიკვდილი ჩემი დამცრობაა, რახან კაცობრიობის ნაწილი ვარა და ამიტომ ნუ შემომითვლი, ვისთვინ შემოჰკრეს ზარიო: თქვენ ყველასთვინ (ჯონ დონი).

სოსო მეშველიანი

პირინეული ციკლი

სანამ

სანამ ჩავქრები,
შევერევი ბნელეთს და შავეთს,
მანამ წვეთავდეს
ჩემს ფიქრებში ძახველის მჟავე
ნაყოფი თოვლზე,
ნაცრისფერი კენკავდეს ჩიტი,
მსხლებზე შაშვებმა გადაკრიფონ ფითრის მარცვლები,
დაასწრონ ყვავებს, მოქიშპეებს,
ზანტებს და ნელებს...
სანამ ნელ-ნელა საბოლოოდ ჩავინაცრები,
სანამ ჩავქრები,
შევერევი შავეთს და ბნელეთს.

მწუხრი

დიდ, ხმაურიან და ხალხმრავალ ქალაქებს მიღმა
გადაუფრინა წყალსაცავებს ყაყანით იხვმა,
ყრუ დასახლების კიდევ უფრო ყრუ ასახვევთან
სევდა მომგვარა მოლიერის ქუჩამ და ჩიხმა.

საღღაც გერნიკასთან

მახსოვს სადგური მატარებლის პატარა ხევთან,
მახსოვს გვიანი შემოდგომა, სხვადასხვა ხეთა
წითელ-ყვითელი ირეოდნენ ფოთლები ქარში,
ღელე არ მახსოვს, სიზმარში კი ღელესაც ვხედავ.

ანდორა

სად მხოლოდ კენკრა ხარობს (ხურტკმელი, მოცვეული)
და მაინც სავსე არის ხვავით და ბარაქით
ამჟამად დათოვლილ მთებს შორის მოქცეული,
საშობაოდ მორთული პატარა ქალაქი.

სადაც ძველებურად მხოლოდ მდინარე დის,
ირგვლივ კი სულ შუშის სახლები აღმართეს,
ყველა რომ ზეიმობს, შენ თითქოს იმალები,
ბნელდაბნელ მიჰყვები ტყისპირა აღმართებს.

ხეობას, დღეს უკვე ხალხმრავალს, არეულს,
მხოლოდ თუ ესიზმრება მწყემსების ქოხები,
ან ყურად ვინ იღებს აჩრდილთა ღამეულ
შეძახილს:
ვინა ხართ?!
საიდან მოხვედით?!.

ჯერ არ ვარ უჭერო და არც უსასთუმლო,
მივდივარ, გავცდები ჩირგვნარებს გაკაფულს,
ტყის გულში პატარა და ნათელ სასტუმროს,
დათოვლილ ნაძვებს და გაყინულ ნაკადულს.

გაღმა კი ნასახლარს, ბნელ კედრებს, მარტოებს
არავინ ჩაუვლის ანთებულ კვარებით.
ისე რომ, თოვლზეც კი ნაკვალევს არ ტოვებს,
ვიღაცამ შეაღო გომურის კარები.

და სუნი სიძველის, ხის და ქვის, ხავსისაც...
გაბზარულ კედლებში მთვლემარე მითები,
გავასწრო — თუ მომდგა მწერივით გამსრისავს
ვეება ჯენტილა* გათოშილ თითებით.

სულ ზემოთ, გაყინულ ტბებს შორის, ნამდვილად...
მშიერი ტურები შვლებსაც კი იჭერენ,
საკუთარ სიზმარში თუმც ცხადლივ დავდივარ,
ძველების ნაამბობს მაინც ვერ ვიჯერებ.

ოდნავ თუ შევცბები, მაშინღა იმ ერთი
ღრიჭოდან თუ აღწევს ქარიც და სიცივეც.
დათოვლილ მთებს შორის, ვით დიდი იმედი,
დაბლა, შორს, პატარა ქალაქი ციმციმებს.

---

*ჯენტილა (ჯენტილაკები) — დიდი, ზებუნებრივი ძალ-ღონის მქონე არსებები პირინეულ მითოლოგიაში, რომლებიც უზარმაზარი ლოდებით კლდეებს აგებდნენ.

დრო

„რომელი საათია?“
გალაკტიონი

არ დავყურებ და არც ვკითხულობ —
„რომელი საათია?“
გავხედავ ჩემი აივნიდან
შემაღლებულზე მდგარ კაფეს,
როცა ის ჩაქრება,
ვიცი, რომ ძილის დროა.
რატომღაც ეს ამბავიც მასევდიანებს,
თვალის დახამხამებაში გადაიქცა დღე ღამედ,
კვირტი — ფოთლად.
მწვანემ დაფარა დიდი ხეების სიშიშვლე.
და კიდევ რაღაც...
ნეტავ ჩიტები ძველ ბუდეებს უბრუნდებიან?!
ან ამ ბუდეში გამოჩეკილებს,
თუ ახსოვთ ძველი მისამართი?
სოფელი სეუ.
სალორია.
ამარტას სკვერი.
სკვერთან კი დიდი ბებერი ცაცხვი.

ველური ტყემლები

განვმარტოვდები, გამოჩნდება იქაც გამრთობი,
კაჭკაჭი ჩირგვთან მოწრიალე, ცელქიც და ფრთხილიც.
მინდვრის კიდესთან ვიღაც გლეხი თესავს კარტოფილს,
თითებით ვსრეს და ისე ვყნოსავ
ნორჩ ფოთოლს თხილის,

ვბრუვდები, უცებ მავიწყდება, რა მინდა, ვინ ვარ,
მხოლოდ ის მახსოვს, რაც დასრულდა,
რაც უკვე მორჩა,
რასაც სიშორე აბუნდოვნებს ისე, ვით მყინვარს,
ამაოების მიღმა, ქვეყნის დასასრულს რომ ჩანს.

ვინ ღმერთს ადიდებს, ვინ საკუთარ გაჩენას წყევლის,
რადგან ბევრისთვის ჩაიარა ცხოვრებამ ფუჭად.
გაფანტა ქარმა ყვავილები ველური ტყემლის,
გადაათეთრა მცირე სოფლის პატარა ქუჩა.

გვიანი შემოდგომა

ვიფიქრე, წავალ, რამეს შევცვლი, მეშველოს იქნებ,
ხევს ავუყევი, წიწვოვანს და ძეძვნარს გავცდი და,
ფოთოლცვენის ჟამს მივაკითხე ობლად მდგარ იფნებს,
მემშობლიურა ყოველივე, მაგრამ არც დიდად
არ განმიცდია, ვითრგუნები ამდენ განცდითაც.

მიედინება დრო —
კლდის ხავსზე მოწვეთავს წყალი,
ყველა უგრძნობ ნერვს აატოკებს ასე მწვეთარი,
ჭკნება, იხრწნება ბუერების ტევრი, ამ მძაფრი
სუნით შეძრული, ააჟღერებს ირგვლივ მდუმარე
სივრცეს, მწუხრის ჟამს,
ხმოვანება ამაოების.
ხვავდება ხრამში ცარიელი ბუძგები წაბლის,
ამ გულუბრყვილო სიხარულს კი შთანთქავს უმალვე
ჰარმონიული, მინორული გამა ნოემბრის.

სოფლელი პენსიონერები

ეს ისე, მხოლოდ გასართობად, უსაქმოდ ყოფნა
რომ მობეზრდებათ,
იღვრებიან ხანდახან ოფლად,
მიდიან, მერე ბრუნდებიან, მერე ისევე...
და როცა ბალახს შეაშრება დილის სისველე,
ხელებს იბანენ, ღელისპირა ბოსტნებს ტოვებენ,
კაფე-ბარებში საუზმობენ, საუზმის მერე
ბჭობენ, ხვალ რა ჰქნან, სად წავიდნენ,
როგორ გაერთონ.
სრიალა ქვებზე მორაკრაკებს თავისთვის ღელე,
ამ ყველაფერთან არაფერი არ აქვს საერთო.

ზამთრის დასასრული უხერხულ ხევში

წავიდა და თან გაიყოლა ზამთრის ტანჯვები,
მწვანემ დაფარა ცარიელი ბუდე ყანჩების,
სადაც პატარა მდინარესთან ირხევა ალვა,
სადაც ყოველდღე სეირნობას აჩვევენ ძაღლებს.
როცა ზაფხულში ამ მდინარეს დააშრობს გვალვა,
ხევს მკვდარი თევზი სუნი ასდის, მძიმე და მძაღე.

ზეპირად აღდგენილი ლექსებიდან

მეხსიერების გაუარესება

მიყვარს დავიწყებული იდუმალი სიტყვების ძებნა,
მიგნებისთანავე რომ იწყებენ ციმციმს,
ვალაგებ გონებაში სიმეტრიულად,
რომელიღაც თანავარსკვლავედის მსგავსად,
მერე რომ ძილში ჩამყვება და
სიზმარში ხან ვერძის სახეს იღებს,
ხან — ქალწულის,
ხან კიდევ — დიდი თუ პატარა ქოფაკის,
ბოლოს გამეღვიძება და არაფერი,
სრული სიცარიელე,
სიზმრიანად შთანთქავს მეხსიერების შავი ხვრელი,
რომელიც დღითიდღე ფართოვდება.

*

ჩვენ საუკეთესო სანტა გვყავდა,
მაგრამ რაც მამა მოკვდა,
ისიც სადღაც გაუჩინარდა.

*

ისე იბერებიან ცხენის წაბლის კვირტები,
საცაა მათზე ადრე გული გასკდეს.

ჩიტები

ვზივარ ძელსკამზე (ძვირფასია ყოველი წუთი),
ვჭვრეტ სინანულით
ჩემს რთულსა და დაძენძილ ნამყოს.
ჭამა მობეზრდათ, ახლა თავზე მაყრიან თუთის
შავ, მწიფე ნაყოფს.

უცნაური იავნანა

იძინე მშვიდად, ნუ გაფრთხობს ასე
ეს მოქანავე ტოტები ხეთა,
ვარსკვლავებს შორის უჩინარ ხაზებს
ჩვენ ლურჯი ტბების სარკეში ვხედავთ.

შენ ეს სიზმარი გგონია რაკი,
ხმას ვერ გააწვდენ იმ საწყალ მეხრეს,
რომელიც ახლა მბჟუტავი ჭრაქით
დაეძებს ტყეში დაკარგულ მებრეკს.

შეკრთები, სუნთქვას შეიკრავ წუთით
(ყველა ხმას ახშობს ტყისპირა ხრამი),
სარკმელზე ჩრდილი მოძრაობს თუთის,
ქარი რომ არხევს მთვარიან ღამით.

შენ წესით ახლა უნდა გეძინოს,
ვარსკვლავებს ხვალაც თავიდან დავთვლით.
ერთს გეტყვი, ოღონდ არ გაგეცინოს,
ჭიანჭველებზეც ნადირობს დათვი.

აბრუნებს ქვებს და ხის დამპალ მორებს,
მას თაფლიც უყვარს და მეთანმჟავაც,
მიედინება დრო ისე მდორედ,
ბრკე ადევს სქლად და ლაპლაპებს შავად.

მიტოვება

მოულოდნელად აციმციმდება,
სასიგნალო ნათურასავით,
განვლილი ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდი
მეხსიერების იმ მხარეს, სადაც მუდმივად ბნელა.
წამიერად დამანახებს
ერთმანეთში არეულ საგნებს და სახეებს
და ჩაქრება,
ასე შემატოვებს სრულ სიბნელესა და სიცარიელეს.
დავყვები აქეთ-იქეთ
სინათლის პატარა წერტილებს,
ზოომორფული არსებების მანათობელ თვალებს.
ფრენა მენატრება, ფრენა...
მერე რა, რომ ყველა სიზმარი პირიქით მიხდება,
ერთ დღესაც მანდ დავრჩები, სამუდამოდ.
დიახ მანდ, დღემდე ამოუხსნელში,
ჩემს წასვლასაც თავსატეხად ვაქცევ.



პაპუნა ფირცხალაიშვილი

* * *

ახლა შემოდგომის დარებია,
მიყვარდა უხსოვარი დროიდან.
შენ თუ არ მოხვედი, ქარი მოვა,
მოვა და ჭადრის ფოთოლს მოიტანს.

მოიტანს, ჭიშკართან დამიტოვებს
ათას ჭირგამოვლილს და დამტვერილს.
ავიღებ, სანიშნედ შევინახავ,
ასეთი შემინახავს რამდენი...

ერთად ვაგროვებდით მდინარესთან,
მზერებს რომ გავურბოდით შურიანს.
ჩემთან წიგნებს შენი ხელების და
გვიანი შემოდგომის სუნი აქვთ.

დარები გაივლის, აცივდება,
ნაცნობ მთებს ვუდარაჯებ მოთოვლილს,
ვიპოვი და შენს თავს გამახსენებს
ჩემს წიგნში ჩადებული ფოთოლი.

პირველი

მახსოვს, პირველად როცა გავრისკე,
როცა შევეხე შიშველ ქალის მკერდს.
მან გაიხედა სწრაფად კარისკენ.

ვგრძნობდი სითბოს და ქალის ჟრუანტელს,
ვშიშობდი ახლა არ გაუარდეს,
ზაფხულის ცხელი იდგა შუადღე.

ორი მარცვალი სწრაფად დავთვალე
და შევექეცი მწიფე თავთავებს,
მას შემდეგ ქალის მკერდს ვუთვალთვალებ.

ახლაც პირველი ვნებით ვიხსენებ,
იყო ორმაგი სიცხე, სისველე
და ჩვენ ვერცერთმა ვერ მოვისვენეთ...

რომ ავისრულეთ დიდი მიზანი,
სამყარო უკეთ რომ გავიცანით,
გავიგეთ თურმე, რომ კარგიც არი...

* * *

შენ ისევ მეტყვი: შენი სიგიჟე
სისულელეა, ბანძი იმიჯი,
ერთხელ შენს თავთან ისე მიგიშვებ,
უკვე ათასჯერ მე რომ მიმიშვი.

მაშინ მიხვდები, რაც უკვე ვიცი,
ვიცი და თუმცა ვერ გამიგია,
შუა ზამთარში თუ როგორ ვიწვი,
არის მისტიკა, ანუ მაგია.

როცა ეხები შენს მკლავებს ფრთხილად,
რომ ეხები და თან არ ეხები,
შორი რომ არის ჯერ კიდევ დილა,
სურვილებს ბოლოდ რომ მოეღები.

რომ იგრძნობ მარწყვის ტუჩების სიცხეს,
რომ იგრძნობ შენი ნერწყვის სისველეს,
შენს კოცნას ყელის კიდესთან იცხებ
და ღვთიურ მკერდზე რომ მიისვენებ.

ყურს რომ დაადებ მკერდს, გულის ძგერას,
დაემსგავსები მოკლულ პაიკებს,
მაშინ სიგიჟეს მიხვდები, მჯერა,
მიხვდები, თუმცა ვერას გაიგებ...

ნამდვილი ამბავი

როცა დიდ გვალვებს მიაბამდა ხოლმე აგვისტო,
ღრმა ბავშვობაში ძილი ბევრჯერ წამკიდებია
ჩემი მსხლის ძირში, დამიჯერეთ, იყო მაგის დრო,
მსხლის ხეც იყო და მშვიდი ძილიც, იყო ბებიაც.

მუდამ რაღაცის მდარდელი და მოუსვენარი,
როცა გვალვები დაბზარავდა ბოსტნის ნიადაგს,
ჩემი ბებია (მისი მსგავსი ახლა ვინ არის?)
მოიფიქრებდა, ზეცას უნდა კიბე მიადგას

და წვიმა ჩართოს. ამიტომაც, უბნის ქალებით
შემოკრებილი, აიღებდა ხელში მარიამ
ღვთისმშობლის ხატს და (იყო ქალი ამ გაქანების)
ტყისაკენ, სადაც მხოლოდ ჩრდილის საბუდარია.

დაიძვრებოდნენ, მიჰყვებოდნენ რუს სათავისკენ,
იქ მიდიოდნენ, სადაც პირუტყვს არ უძოვია,
ალბათ ოდესმე იმ ბილიკებს ყველა გავიგნებთ,
ღრუბლის ძებნაში ფეხშიშველებს რომ უქსოვიათ.

იქ ლოცულობდნენ წვიმებისთვის წყალში ჩამდგარნი
და ლოცვის ბოლოს ხატსაც წყალში აბანავებდნენ,
ლოცვა არ ვიცი და მკვდარია ყველა მათგანი,
თორემ ვკითხავდი (იმათ ხსოვნას უფალს ვავედრებ).

ჩამოვიდოდნენ საღამოხანს ლოცვით დაღლილნი,
(უძილო ღამემ უძირო ქვევრს თავი მოხადა),
ბუნებით სველი, შერცხვენილი და თავდახრილი —
ცელქი ბავშვივით სახლისაკენ წვიმა მოჰყავდათ.

შიშები

ვერ გადავლახე სიცოცხლის შიში,
სიკვდილის შიშიც დამდევს საშიში,
შურთხივით ვუფრთხი თოფის ხმას, შიშინს
წვიმის და ქარის და კვამლს ჰაშიშის.
მაშინებს, როცა ვგრძნობ მუზის შიმშილს,
რომ არ ვარ ლექსთან მყარად კავშირში,
დაცოტავება მაშინებს შეშის,
თუ არ ვარ შენთან, თუ არ ვარ შენში.
გრიპი მაშინებს შემძვრალი შვილში,
პირში თუ ყურში, ან სულაც ცხვირში,
უცნობი ზარი, ვერ გასათიში,
ცოტა კონფლიქტი და იაღლიში.
მაფრთხობს შამათი, იგივე ქიში,
ზოგჯერ კოზირიც მაშინებს ვიში,
ასე მშიშარა საიდან ვიშვი,
სიზმარიც მაფრთხობს ნანახი ძილში,
წყალს ვუყვები და ნერვებს არ ვიშლი
(ახლა ენთერის მაფრთხობს კლავიში),
უსაფრთხოების გახსნა ბალიშის,
უცებ მოგება ფულის ან ნიშნის,
მოხეტიალის მაშინებს ჯიში.
ჩაბნელებული სახლი და ნიში.
მოლაპარაკე ზურგსუკან — პირში.
მოკლედ, მაწუხებს სიცოცხლის შიში,
სიკვდილის შიშიც დამდევს საშიში.

* * *

მყუდრო სახლისთვის
იავნანად მოსულმა წვიმამ
დედა ბელურას
ვაშლის ხეზე
ბარტყი დაუხრჩო...

* * *

პირველად რომ დავინახე მისი ტანი გარანდული,
ვიდექი და ვუყურებდი დაბნეული, გარინდული.

ყველა მახსოვს, ნანახი თუ შორს ქუჩაზე დალანდული,
ვხედავდი და ცოცხლდებოდა ჩემი შიშის ტარანტული.

იყო შეუძლებელი და განა ძნელი, განა რთული,
წელი შოლტის ნაირი და მხრები უფრო გამართული.

ენა, გველთან მოუბარი, ცბიერი და გალანტური,
ცაში ღმერთის მსახური და აქ ეშმაკის გარანტორი.

ერთი ლექსი მივუძღვენი მისი თვალის ავანტურინს
და იმ ლექსით დავითანხმე, ბევრი რომ არ გავართულო.

ბედნიერების ლექსი

რას ვიფიქრებდი, ოცნებები თუ ახდებოდა,
თუ დავრჩებოდი ცარიელი პეპლის პარკივით,
თუ ვისწავლიდი ცხოვრებას და ჩემი წებოდან

აშენდებოდა სიყვარულიც ამ ქალაქივით.
რას ვიფიქრებდი სადარდელად მხოლოდ ყოფითი
ამბები თუ კი დამრჩებოდა. დარდის არქივი

თუ გაქრებოდა სიზმარივით, ნასროლ თოფივით
დადუმდებოდა, მისი ექოც მიიყუჩებდა.
რას ვიფიქრებდი, ახალ ლექსებს ასე ფოფინი

მოუნდებოდათ, დავივლიდი ნაცნობ ქუჩებს და
მოწკრიალებდნენ წყაროსავით და წვიმასავით
და ისვენებდნენ მხოლოდ უცხო გოგოს ტუჩებთან.

რას ვიფიქრებდი, ჩემი გული — სევდის საცავი,
ჩიტის გულივით სიხარულით იფრთხიალებდა,
ცრემლში მარილი გაქრებოდა — მკაცრად ნაზავი,

ფიქრი არასდროს ამაფრენდა თვითმფრინავებთან.
რას ვიფიქრებდი, გაქრებოდა ქვეყნად სიკვდილი,
მაგრამ შვილებთან ხუთი წუთით ვიგუნდავებ და

დაიმალება კურდღელივით, ჩემი ქვითკირის
ღობის გადაღმა, ღელის პირზე, ეკლის ბუჩქებთან.
რას ვიფიქრებდი, შეწყდებოდა ღამით ქვითინი,

ყავით ფიზიკურ დაღლილობას გავიყუჩებ და
აღარ მაწუხებს არაფერი, მხოლოდ მცირედი
ტკივილი მთენთავს ხერხემალში როგორც მუცელთან.

რას ვიფიქრებდი, დავფარავდი კრედიტს იმედის,
მეგობრის ვალებს დავფარავდი ანდა პოეტი
ბედნიერებას შევიგრძნობდი, რას ვიფიქრებდი...

საფასური

უღვთოდ გადაღლილს ჩაგეძინა, ძაღლების ყეფა
არ ეკარება შენს გონებას ძაღლივით ფხიზელს,
ჩემო ლამაზო, იმსახურებ შენ დღიურ ხელფასს,
თანაც პრემიას ყოველკვირა,
თვის ბოლოს პრიზებს,
ზამთარში საგზურს კორეაში, ზაფხულში სეფად
მზე რომ იქნება გაჭიმული პალმების ჩრდილზე,
ყოფნას ჰავაის კუნძულებზე, წვიმის დიდ ხმებად,
მზეს რომ გაყიდი და შემოდებ ღრუბელის მიზერ
ნაფლეთზე. დილით გაიგრილებ შუბლსა და კეფას
და გამოაცხობ ხელახალი ძილისთვის მიზეზს.
ახალ ტანსაცმელს იმსახურებ,
ძველმანებს — ფერფლად
და ალბათ ყავას იმსახურებ იახტის ქიმზე.
შენ კი გძინავს და თითქოს დგები,
მიწყნარდა ყეფაც,
ჩემი ცოლობის საფასურად კი ლექსი გიმზერს.

ნათია როსტიაშვილი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ერთხელ, მე რომ პატარა ვიყავი, მამა — ახალგაზრდა და პაპაჩემი — ცოცხალი, ქორწილიდან დაბრუნებულმა ნასვამმა მამაჩემმა საძინებელი ოთახიდან გამომიყვანა და მითხრა:

— ამხელა გოგო ხარ და ცეკვა არ იცი. სადმე რომ მოხვდე და ხელი გაშალო, უნდა შერცხვე? ხალხის დასაცინი უნდა გახდე?!

ბავშვმა არაფერი ვიცოდი მისი უცნაური თვისებისა და უსამართლო საყვედურის გამო ცრემლები წამომივიდა, თან გულში ვიმეორებდი: ვიცი, ვიცი ცეკვა!

პაპამ ამიყვანა, მაკოცა, ოთახში დამაბრუნა და მერე კარზე ყურმიდებულს მესმოდა, როგორ ეჩხუბებოდა მამაჩემს — აღარ დავინახო, შენი უნიათობების ჯავრი ბავშვზე იყაროო.

ზუსტად ვერ ვიტყვი, რამდენი ხანი გავიდა, რაც სოფელში არ ჩამოვსულვართ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენი სოფელში არჩამოსვლა, ეზოს ხის ჭიშკარზე მოდებული ხავსისა და თაროზე ჩამომწკრივებულ ქვაბებში ჩაფენილი მტვრის ფენის ხნისაა. მოუვლელ საფლავზე ამობიბინებული ბალახის ღეროები სხვაა, ესენი ათვლის წერტილად არ გამოდგებიან. როდის იყო, დროის, ან უდროობის გამოთვლა შეეძლოთ საფლავებს. დრო ცოცხლებისა და მათი ნივთებისაა.

* * *

უცებ მოტყდა პაპაჩემი. არ უნდოდა ქალაქში ჩამოსვლა. არ უნდოდა და მაინც ჩამოვიყვანეთ. ზედმეტად მოხუცი იყო სოფელში მარტო ცხოვრებისათვის. ასე გვეგონა.

ერთ დღეში მოტყდა პაპაჩემი.

ვერ მიიღო ქალაქი პაპაჩემმა. ან, ქალაქმა ვერ მიიღო პაპაჩემი. ვერ შეეწყნენ, ვერ შეიყვარეს ერთმანეთი. გაებუტა პაპა ყველაფერს. მდუმარე, კატეგორიული, სასტიკი იყო მისი პროტესტი. ხმას არ გვცემდა, არანაირ ინტერესს არ იჩენდა ჩვენ მიმართ. არც ჭამის საკითხი აინტერესებდა, არც ჯანმრთელობის. აბუჩად აიგდო ცხოვრება მთელი თავისი მსხვილმან-მნიშვნელოვანი ამბებიანად. სრულიად უმნიშვნელო დეტალებს დაუთმო მთელი ყურადღება, მათ მიუძღვნა დარჩენილი ცხოვრება.

დილით სათვალის მინებს აჩქარებით დააორთქლავდა. ერთი სული ჰქონდა, გაეპრიალებინა, რომ მერე დიდხანს ეყურებინა ფანჯრიდან შემოსულ სინათლის სხივში როგორ ირეოდნენ მტვრის პაწაწინა ნაწილაკები.

ერთხელ ფანჯრის რაფაზე ჭიანჭველა იპოვა და ისე გაიხარა, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდა. უყურებდა და უღიმოდა. უღიმოდა და თვალზე ცრემლი ადგებოდა.

სოფლის პაპაჩემი მიყვარდა, გაქალაქებული პაპაჩემის — მეშინოდა. ვცდილობდი, არ შემემჩნია, მაგრამ მამაჩემმა იმდენჯერ მითხრა, ნუ გეშინიაო, მივხვდი, ვერ ვმალავდი, მემჩნეოდა. მერე და მერე მამამ ნუ გეშინიას თქმას რომ უმატა და ტონიც უფრო გაუმკაცრდა, გონება გამინათდა, მივხვდი, ეს საყვედური, თავიდან რომ დამშვიდება მეგონა, ჩემი კი არა, მამაჩემის შიშისა იყო.

არ იყო იოლი იმის ყურება, როგორი გულწრფელი გაოცებით ჩასცქეროდა მუნჯადქცეული პაპაჩემი გაზზე შემოდგმულ ქვაბს, რომელშიც ჩვეულებრივი წყალი ჩვეულებრივად დუღდა. როგორ ბავშვურ აღტყინებას იწვევდა მასში წყლის ყოველი ახალგაჩენილი ბუშტუკი. ან როგორი გულწრფელი სევდით ატრიალებდა ხელში გამხმარ ფოთოლს, ან როგორი ინტერესით აკვირდებოდა სანთლის მოპარპალე ალს.

ერთ საღამოს, სიმამაცე მოვიკრიბე, გვერდით მივუჯექი პაპაჩემს. ერთად, უსიტყვოდ, დაკვირვებით ვუყურეთ, როგორ ჩაიწვა სანთელი. როგორ უცნაურ, გასაშიფრად საინტერესო ფიგურად დარჩა მისი ნაღვენთი. მაშინ მომეჩვენა, რომ სანთლის წვა, სინამდვილეში, ერთი ჩვეულებრივი, პროცესი კი არა, ნამდვილი სასწაულია!

იმ წამს მჯეროდა, რომ ძაფის წვერზე გამობმული ცეცხლის პაწია ნაგლეჯი — ეს არაფრისგან გაჩენილი ნათელი, სითბო და ფერადოვნება, ამ ცეცხლის ძალაუფლებას უსიტყვოდ დამორჩილებული ცვილის დნობა და ამ დნობისას, ახალ განზომილებაში გადასული ცვილის საკვირველი თვითძერწვა — ეს ყველაფერი, უფრო მეტი სასწაულია, ვიდრე, ვთქვათ, მონიტორს იქით გადაშლილი მთელი ინტერნეტსივრცე.

იმ ღამით გავუგე პაპაჩემს. მხოლოდ იმ ღამით.

მეორე დილით, როცა ქოთნის ყვავილს სადილის კოვზით რწყავდა და დასველებულ მიწას გულმოდგინედ აკვირდებოდა, უსმენდა და უღიმოდა — მე ისევ აღარ მესმოდა მისი. შემდეგ დღეს კი, როცა პაპაჩემი საკუთარ ხელისგულს დასჩერებოდა და უბის წიგნაკში ამ ხელისგულიდან ხაზებს იხატავდა, მე უკვე არა მხოლოდ აღარ მესმოდა მისი, მეშინოდა კიდეც. ახლა რომ ვფიქრობ, ასე ძალიან მაშინაც კი არ შემშინებია, როცა დიდხანს ვაკვირდებოდი სუნთქავდა თუ არა და მივხვდი — ვეღარ.

დასაფლავებისას, რატომღაც, პაპაზე კი არა, ბებოზე და მის შელოცვაზე ვფიქრობდი. შორეულ ბავშვობაში, როცა მოვიწყენდი, დამსვამდა ბებიაჩემი ტახტზე, ჩემს სევდით გატენილ თავს კალთაში ჩაიდებდა, ზედ ხელს რიტმულად გადამისვამდა და აყოლებდა:

„ბლანდი, ბლანდი, გამოვბლანდე, ბები, შენი დარდი. / ნარ-ეკალი მოვაცილე და ზედ ვარდი დავრგი. / შენი დარდი — მე, ჩემი სიხარული — შენ!“

* * *

მამამისის სიკვდილის შემდეგ სოფელი მოიძულა მამაჩემმა. იქ ჩასვლას ვერ უხსენებდი. ახლა, როცა, როგორც იქნა, ჩამოვედით, დაჩუმდა ესეც, მაშინდელი, სიკვდილისწინა პაპაჩემივით. დაჩუმდა, შემაშინა. თან ვერც ვხვდები, რა დარდს დარდობს. ამ დილას საჩხუბარი სიტყვებივით მომაყარა, რამდენი ხანია, არ ვყოფილვართ, წავიდეთ სოფელშიო.

აჰა, აქ ვართ, სოფელში, პაპაჩემის ბალახმოხშირებულ საფლავთან.

— არ დაიწყო ახლა აქ მარგვლა, შენებურად!

ზურგსუკნიდან ჩემკენ ისვრის ცრემლში ნალბობ სიტყვებს მამაჩემი. ასე უკუღმა ამბობს და ვხვდები, რასაც მთხოვს, მაგრამ არ შემიძლია კაბის ჯიბიდან ხელების ამოღება. საფლავებზე რაიმესთვის ხელის შეხების სხვანაირი, გადაულახავი შიში მჭირს. სიჩუმით ვუპასუხე და აღარც იმას ამოუღია ხმა.

ასე მდუმარედვე წამოვედით, უხმოდ ვიარეთ სასაფლაოდან სახლამდე. წამოსვლითაც ისე წამოვედით, როგორც ვიდექით: მე — ჯიბეში ხელებჩაწყობილი, ის — ჩემთან ზურგშექცეული და სახეარიდებული. თითქოს ისევ საფლავთან ვდგავართ გაუნძრევლად და უბრალოდ, გზა ამოძრავდა, დეკორაციები ცვალა, გაღმა-გამოღმა ნამწკრივები ხეები ჩამოატარა. ზუსტად ისე, როგორც ანიმაციებშია.

* * *

ჩვენს მოლაყლაყებულ, ქარის ყოველ დასტვენაზე ჭრიალით გამპასუხებელ აივანზე ვზივარ, ჩამოშლილ საბძელთან მოჩხირკედელავე მამაჩემს გავყურებ. რაღაც გაურკვეველ მელოდიას ღიღინებს თავისთვის. გუშინდელ თავის თავს დღევანდელთან ვადარებ და თითქოს მოაცოცხლა სოფელმა მამაჩემი, ის ჯანდაბა დადუმება დაუამა.

მთელი დღე მაინც ფორიაქში გავატარე. თითქოს მამას უსმენოდ ნაღიღინარი მელოდია ვიყო, კალაპოტიდან ვარ ამოვარდნილი. სასიცოცხლო ტალღიდან ხან მაღალ ტონალობაში გამირბის ჩემი თავი, ხან — დაბალში. რაღაც ისე ვერაა, როგორც უნდა იყოს.

საღამოსპირზე გადაწყვეტილება მივიღე, ეზოდან გავიპარე. ანიმაციის ღმერთმა კადრი ახლა უკუღმა დაატრიალა. რა გზაც გუშინ სასაფლაოდან სახლამდე გამოგვატარა „ერთ ადგილზე მდგომებს“ ეგრე ამატარა უკანვე, სასაფლაოს ჭიშკრამდე, ოღონდ — მარტო.

სასაფლაოს მთავარ ჭიშკარს ისე ვაღებ, თავს ვაჯერებ, ვითომ ეზოსია, ან — ბოსტნისა. „სასაფლაოს რამეებთან“ შეხების შიში როგორმე უნდა დავძლიო. თითქოს, დათქმაა: თუ დავძლევ, მამაჩემი დიდხანს და მხიარულად იცხოვრებს.

შევედი და უცებ, რამდენიც შიში მაქვს ძვლებში ჩამდგარი, კუნთშიც იმდენივე ძალა მომეცა. პირგამშრალმა დავუარე იმ საფლავებს, სადაც ბალახის სიხშირე და ბოქლომზე ჟანგი, იმათი ცოცხლების მოუცლელობის ხარისხს ზომავს. ყველაზე ხნიერ მკვდარს დავუწყე ძებნა. თითქოს მაგათთან უფრო იოლია, ეგენი უფრო „არასაშიშები“ არიან. ასი წლის ქალის საფლავს მივაგენი, პირველი ღერი ბალახი იმის საფლავიდან ამოვქაჩე,

მერე მიყოლებით გავმარგლე სხვების საფლავებიც ჩემი კუდაბზიკა, ნელსაცხებლებს ნაჩვევი ხელებით. გადავუსვი ქვის სურათებს ხელისგულები, ავაცალე მზერის ბინდი — მტვრის ფენა, ფოტოებს თვალებში გამოვახედე.

ბოლოს მივედი პაპაჩემთან. იმის სურათზე ხელის გადასმისას, მტვერთან ერთად უცხო შეგრძნებაც ამეკრა, თითქოს ხელისგულის ხაზები ოდესღაც პაპას უბის წიგნაკში ჩახაზულით ჩამენაცვლა. თითქოს თაობიდან თაობაზე გადასული ბედისწერის ძალა ვიგრძენი. თითქოს, როცა დადუმებულ, წვრილმანებზე ჩაშტერებულ პაპაჩემს თვალს ვარიდებდი, სინამდვილეში ამის მეშინოდა — ასეთივე მოხუცი ჩემი თავის.

გავმარგლე, დავასუფთავე, შევიჩვიე საფლავები. ჩემს შიშსაც ამოვუგლიჯე გულის ფსკერამდე გამჯდარი ფესვი. რაკი ეს შიში მოვიცილე, იქნებ ის მეორეც, მამაჩემის სიკვდილის შიშიც მომშორდეს, იქნებ პაპაჩემის გამარგლული საფლავისა მოერიდოს.

* * *

ჩაცმული მიწოლილა მამაჩემი ტახტზე, მისძინებია. მაგიდაზე ტაფა დევს. ზედ ხელსახოცი გადაუფარებია, თითქოს დედა იყოს, ან ბებია. ხელსახოცი გადავწიე და დამხვდა ერბოკვერცხი, შუაში დანის წვერით საზღვარგავლებული. თითქმის შუაში... დიდი მხარე ჩემია, ვიცი.

ჩემზე ათჯერ მძიმე ტვირთად ქცეულ გულს, ჭიანჭველას შემართებით მივათრევ ტახტისკენ, კიდეზე ვჯდები. მამას თმაშეთხელებულ თავს ბალახის სუნადენილი თითის წვერებით ოდნავ ვეხები და ვჩურჩულებ:

ბლანდი, ბლანდი, გამოვბლანდე, მამი, შენი დარდი...

ნარ-ეკალი მოვაცილე და ზედ ვარდი დავრგი...

შენი დარდი — მე, ჩემი სიხარული — შენ...

შენი დარდი — მე, მა.

ქალაქი, რომელიც არ ჩანს

გინდ რიჟრაჟი დაარქვი, გინდ გამთენია, ანდა დილაბნელი, დილის 6 საათი კია და...

ქმარ-შვილი რომ არ გამეღვიძებინა, უხმაუროდ ავდექი, შვილს იატაკზე ჩამოცურებული საბანი დავაფარე, სურნელოვან კულულებზე ფრთხილად ვაკოცე და წამოვედი.

საქმის გამო რაიონში მივდივარ დილის მატარებლით. გზას გადავჭრი-მეთქი, ბაზრისკენ წამოვედი, მაგრამ დამხვდა ჭიშკარი რკინის სქელი ჯაჭვებით ჩაწნულ-ჩაგვირისტებული. ჭიშკარს იქით, ძველისძველ სავარძელზე მოკალათებულ დარაჯს სძინავს. რაც შემეძლო ომახიანად ჩავახველე, მაგრამ ხრიკმა არ გასჭრა, არც შეტოკებულა. გამობრუნება და შორი გზიდან შემოვლა რომ დავაპირე, დამაცემინა. დარაჯმა წამში გაახილა თვალი. არამხოლოდ გაახილა, მაშინვე გამოფხიზლდა. გამოფხიზლდა და წამოხტა, სწრაფად ჩახსნა საქსოვი ძაფივით აბურდული ჯაჭვები. ეს რა კარგი რამე ვისწავლე, სხვა დროს, ყურადღების მისაპყრობად კი არ ჩავახველებ, დავაცემინებ ხოლმე...

სასწაული ყოფილა დაცარიელებული ბაზარი. სხვა პლანეტაა. დახლებზე დატოვებულ ბოსტნეულს თხელი პლედები აქვს გადაფარებული. გახედავ — ქალაქია. ბოსტნეულის მძინარე ქალაქი. მათ განზომილებაში ადამიანი არ ჩანს. ვერც წარმოუდგენიათ ჩვენი არსებობა. არადა, აი, სადაცაა მოვლენ გამყიდველები, მძინარეებს საბნებს გადახდიან...

რაკი მათ განზომილებაში, ადამიანი არ ჩანს, ადამიანის ჩადენილი ნებისმიერი ქმედება მათთვის ან ბუნებრივი მოვლენაა, ან — ზებუნებრივი.

თვალის დახუჭვაც არ მჭირდება, რომ ცხადად წარმოვიდგინო, როგორ იზმორება ახალგაღვიძებული, ქოჩორაწეწილი მწვანე ხახვი. იქვე, გვერდით, ნივრის თავი ჩანს, ისეთნაირად გაღიმებული — სათითაოდ დაუთვლი ჩა-კნიწ-კნიწებულ კბილებს.

აი, გაიხსნება ბაზარი და მხიარულად დაახტებიან ცელქი, ქორფა კიტრები სასწორის თეფშებს „აიწონა-დაიწონას“ სათამაშოდ. რაკი ადამიანის ხელი მათთვის უხილავია, ეჭვადაც არ გაივლებენ, რომ ეს თამაში მათი არჩევანი არაა, საკუთარმა სურვილმა, გადაწყვეტილებამ კი არა, ბედის გამრიგემ (გამყიდველმა) დაასკუპა იქ, სადაც არიან.

სიტყვა „გადაყრა“ არ იციან. ფიქრობენ, რომ დაბერებული, დამჭკნარი ბოსტნეული თავისით ქრება დახლებიდან, რადგან თავის წილი ცხოვრება უკვე მოჭამეს და დაიხოცნენ, ბუნების კანონია. არც უცებ „თავისით“ გაჩენილი, შემომატებული ახალ-ახალი ბოსტნეული აკვირვებთ, რაკი ახალი თაობის (საიდანღაც) მოსვლაც ისეთივე ბუნებრივი რამაა, როგორც ძველის (სადღაც) წასვლა. ცხოვრებაა...

იქნებ მართლა ასეა? იქნებ მათი განზომილებიდან მართლა არ ვჩანვართ და თავიანთი ჰგონიათ ეს ბაზარ-ქალაქი?

იქნებ ჩვენც ზუსტად მათსავით გვაქვს დახშული „სხვა მოდგმის“ დანახვის უნარი და გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ჩვენი გადასაწყვეტია, როდის გავიღვიძებთ, სად ითამაშებენ ჩვენი შვილები, რომელ პინაზე აიწონება ჩვენი ცოდვა-მადლი. იქნებ ჩვენც გვყავს „ის“ — ჩვენთვის უხილავი პატრონ-გამყიდველი და ვერ ვხედავთ?..

— განვიმდება, — ცას ასცქერის დარაჯი, — გამომყევი, იქითა გასასვლელიც უნდა გაგიღო.

...და როცა წვიმაა, მართლა წვიმს თუ თავსახურდაჩხვლეტილი პლასტიკატის

გიგანტური ბოთლით გვნამავენ, ადრე რომ არ გამოგვიშრეს, მოგვემჩვაროს სხეულები?

— ქმრიანი ხარ?

დარაჯს საუბარი სწყურია, მე — სიჩუმე და ფიქრის გაგრძელება. ოქროს შუალედს ვპოულობ, თან ვპასუხობ და თან არც ხმას ვიღებ, ანუ თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

— კაია ოჯახი. შენნაირს თუ იპოვი ადამიანი — კაია.

ერთმანეთი ვიპოვეთ თუ უბრალოდ „იმან“ ორი კონა მწვანილივით ერთად გაგვკოჭა, გულგრილად მოგვისროლა პოლიეთილენის პარკივით ერთჯერად ცხოვრებაში?

— ჩემი ძმა გაშორდა ცოლს, როზას. ვერ შეეწყენ, კაპასი იყო... ჩემი ძმა კიდე — ხბო.

იქნებ, განა „ვერ შეეწყენ,“ უბრალოდ, ერთი წიწმატი გამოდგა, მეორე — ქინძი. დაუდევრად დააწყვილა ერთ კონაში სხვადასხვა ჯურის მწვანილი „იმან“, როზასი რა ბრალია?

დარაჯმა იქვე, დახლის კიდეზე გადმოკიდებული რეჰანის კონა აიღო, მექანიკურად დაყნოსა და უკან რომ დებდა, დახლზე გადაფარებული პლედი ძირს ჩამოცურდა.

ვაითუ, ჩემამდე „იმანაც“ ჩაყო ჩემი მძინარე შვილის კულულში ცხვირი და ის ძირს დავარდნილი საბანიც სულ არ იყო შემთხვევით ჩამოვარდნილი?!

— ცუდათ ხო არა ხარ, გოგო? ფერი წაგივიდა.

უცებ მომინდა, სირბილით დავბრუნდე სახლში, შევეწინააღმდეგო რაიონში გამგზავრების გეგმას, რომელიც კაცმა არ იცის, სინამდვილეში მართლა მე დავგეგმე თუ „იმან“. მომინდა მივბრუნდე და საერთოდ ყველა გეგმა ავრიო, არ დავემორჩილო უხილავ „გამყიდველს“, ჩემი ძალა და დამოუკიდებლობა დავანახო, ხელიდან დავუსხლტე!

— ცუდათ ხო არა ხარ, გოგო?!

გავუღიმე და შევტრიალდი სახლში მისაბრუნებლად. იქვე პატარა პომიდორი ეგდო და ბეწვზე გადამირჩა, კინაღამ ფეხი დავადგი.

— ვაა... უკან ბრუნდები?! — გაოცდა დარაჯი.

იქნებ ამ პომიდორსაც გაუჩნდა პროტესტი და გამყიდველის გადაწყვეტილებას, დახლზე დარჩენილიყო, არ დაემორჩილა. ადგა და გადმოხტა. მერედა, რა ამ „აწყვეტიდან“? ამ დაუმორჩილებლობიდან? აგერ, კინაღამ დავაბიჯე და გავჭყლიტე.

— უკან ბრუნდები?! — არ მეშვება დარაჯი.

ვუყურებ და უცებ ისეთი ახლობელი გახდა ჩემთვის. ვუყურებ და ვფიქრობ: აი, ჩემი სახეობის წარმომადგენელი. არც ბოსტნეულს ჰგავს, არც „იმათ“, ადამიანია. ჩვენ ერთმანეთს ვხედავთ, ერთმანეთის გვესმის. რა ბედნიერებაა!

— არ ვბრუნდები, — ვუღიმი, — უბრალოდ, ამ გადარჩენილ პომიდორს დავაბრუნებ ადგილზე.

— ჰაჰაა!.. ეგრე რა, მეთქი, მუნჯია თუ ვინაა! რო დაილაპარაკე სუ სხვა ვინმე ხარ, აქ რო შემოხვედი, სუ სხვა იყავი, ეგრე, რა! — ხითხითებს და თან ბაზრიდან გასასვლელ კარზე ასხმულ ბოქლომებს ხსნის ჟღარუნით.

მინდა ვუთხრა, რომ კი, ეგრეა, აქ შემოსვლისას სულ სხვა ვინმე ვიყავი და ახლა სულ სხვა ვარ, მაგრამ არ ვამბობ, უბრალოდ ვუცინი და მადლობას ვუხდი კარის გახსნისთვის.

— ჩემი საქმე ეგაა, — მპასუხობს, — დილით ვაღებ და საღამოზე, ხალხი რო მიდის, ვკეტავ. თორე ათასი მამაძაღლი დადის... შენ თუ გვიან დაბრუნდე, დააბრახუნე და კიდე გაგიღებ.

„შენი გაღვიძების უფრო ეფექტური გზაც ვიცი — დავაცემინებ“ — ვამბობ გულში და ჩემს უთქმელ ხუმრობაზე გულშივე მეცინება — უხმოდ.

ბაზრიდან დაიმედებული გამოვდივარ. როგორ ცუდადაც უნდა იყოს ჩვენი საქმე, იმის იმედი ხომ მაინცაა, რომ ჩვენი „იქაური“ მამაძაღლებისგან დასაცავად, სადღაც „იქაც“ დაძუნძულებს კეთილი, პუტკუნა დარაჯი და ყოველ ღამე, ადამიანების პლანეტაზე შემორტყმული ღობის კარს მსხვილი, ბოქლომებშებმული ჯაჭვებით ამაგრებს.

პირსახოცის თეთრი ხალათი

დედაჩემი მასწავლებელია. ბავშვობაში ამას მის პროფესიად კი არა, ბუნებრივ, თანდაყოლილ მოცემულობად აღვიქვამდი, რადგან არამასწავლებელი დედაჩემი სრულიად წარმოუდგენელი ამბავია. აჰა — თავჩახრილი, მხრებში მოხრილი ზის მაგიდასთან და რვეულებს ასწორებს. წითელი კალმით, რა თქმა უნდა. ესაა დედაჩემი. ესაა ჩემი ბავშვობის მოგონებებში მისი სუ-

რათხატი. მისი მოძრაობების ზედმიწევნით გამმეორებელი კიდე — მისი ჩრდილი. ჩრდილი აუცილებელია, იმიტომ, რომ ჩემი ბავშვობა 90-იანებს დაემთხვა, ნავთის ლამპა თავისთავად იგულისხმება. ჰოდა, სადაც ლამპა — იქაც ჩრდილი. სადაც მხრებში მოხრილი დედაჩემი, იქაც — ალაგ-ალაგ დაძენძილი შავი შალი — იმის მოხრილ მხრებზე.

იმ საღამოსაც მოსწავლეების რვეულებს ასწორებდა. ლამპის სინათლე, რეალურად, მხოლოდ დედაჩემის პროფილისა და რვეულების განათებას უწვდენდა თავის სიგრძე-სიგანეს, დანარჩენი უბრალოდ ანასხლეტი იყო დედაჩემის გამხდარი, კანთხელი ხელებიდან, რვეულის ფურცლებიდან, ფურცელზე უცებ წითლად ჩატეხილი „პწიჩკიდან“.

ვიჯექი ტახტის კიდეზე, ხელით ნაქსოვი რამდენიმე ჯემპრის გორგლიდან თავამოყოფილი და დედაჩემის კედელზე აკრული ჩრდილის მოძრაობებს ვაკვირდებოდი. ეს საქმე თავიდან დროის გასაყვანად გამოვიგონე და ბოლოს ისე გავიწაფე, სახეზე რომც არ შემეხედა, მხოლოდ ჩრდილის მოძრაობაზე დაკვირვებით (ხან არ ინძრეოდა, ხან წინ-უკან ირწეოდა...) შემეძლო, გამომეცნო, როგორ განწყობაზე იყო დედა.

იმღამინდელი ჩრდილი — მოწყენილი ჩრდილი იყო. მოწყენილი იყო, წყალი არ გაუვა, მაგის გამოცნობას რა უნდა?!

უცებ შუქი მოვიდა. შუქის მოსვლა, გასაგები მიზეზის გარდა, კიდევ იმიტომ მიყვარდა, რომ ამ ჩვენს ერთფეროვან უძრაობას უცებ გამოსდებდა თავის ბრჭყვიალა კაუჭს და ჩამაბამდა მეც და გარშემო ყველაფერსაც — მოქმედებების ჯადოსნურ ჯაჭვში. აი, ახლაც:

ნათურა აინთო თუ არა, დედამ ლამპა ჩააქრო. დედამ ლამპა ჩააქრო თუ არა, მე ტელევიზორი ჩავრთე. ტელევიზორი ჩავრთე თუ არა (ფილმი გადიოდა), ფილმში ქალმა ჩამრთველს თითი ამოჰკრა, შუქი აანთო.

ქალი დაახლოებით დედაჩემის ასაკის იყო, მაგრამ გაცილებით ლაღი, გაპრანჭული, თავდაჯერებული. თითქოს ეს არ იყო საკმარისი — ფილმის ქალს აბრეშუმის ლამაზი პენუარიც ეცვა. საწოლიდან ადგა ეგრე პენუარით. მარტო ადგა, უჩრდილოდ. პირსახოცის თეთრი, თხელი ხალათი გრაციოზული მოძრაობით შემოიცვა და ოთახიდან გავიდა.

თვალი დედაჩემისკენ გავაპარე, უფრო კი — იმის მხრებზე მოხვეული სქლად ნაქსოვი შალისკენ. თითქოს, უნდა მოეხსნა და ტახტზე მიეგდო, ან რა ვიცი, რაღაც ექნა, იმ ქალის უხილავად გადმოცემული ესტაფეტა უნდა გადმოებარებინა, მაგრამ არა, დედა ისევ უძრავად იჯდა. ზოგჯერ ეგრეც ხდებოდა, შუქის „ჯადოსნური ჯაჭვი“ მოკლე გამოდგებოდა.

უცებ დედაჩემის თვალებს იქითაც ამოჰკრეს ჩამრთველს თითი — თვალები გაუნათდა. გაუნათდა და თითქოს რაღაც ძალიან ინტიმურზე წავასწარი, თვალი მოვარიდე. თვალი მოვარიდე, მის ჩრდილს გავხედე. ჩრდილმა კიდევ უცნაური რაღაც თქვა:

— რა ბედნიერებაა ასეთი ქათქათა თეთრი ხალათი რომ გექნება ადამიანს, ადგები საწოლიდან — შემოიცვამ...

ხმამაღლა იოცნება დედამ და რა ვიცი, მთელი იმ 90-იანების ცხოვრება ხომ სატირალი ამბავი იყო, მაგრამ მაინცდამაინც ამ ფრაზაზე მომინდა ტირილი. ისეთი დრო იყო, უშუქო, უგათბობო, დედაჩემის მხრებზე მოსხმული შალივით ჩაბნელებული და უცებ ამ თეთრ, თხელ ხალათზე ოცნება, რაღაცნაირად ამოვარდნილი იყო ყველაფრიდან.

ამომაკრა მეხსიერებამ ის ერთი კადრი ეგრე, დღემდე გაუხუნებლად:

დედა ეკრანს უყურებს და თვალები უბრწყინავს. ეს მბრწყინავი წერტილები ამბობენ: „ასეთ ხალათზე ვოცნებობთ, აი, ზუსტად ასეთზე!“ და მე ამ ყველაფერს ჩრდილზე ვხედავ.

მახსოვს, თვალები მაგრად დავხუჭე და ჩემს თავს, დედას, ღმერთს, ლამპას, ყველას და ყველაფერს შევფიცე, რომ გავიზრდებოდი თუ არა, დედაჩემს ოცნებას ავუსრულებდი. ავუსრულებდი და პირსახოცის ქათქათა ხალათშემოცმული დედაჩემი იქნებოდა სულ ასეთი გაღიმებული და ბედნიერი. იმ ქალზე ლაღი, იმ ქალზე ლამაზი. აეგრე!

თავიდან ჩრდილს ჩემს წარმოდგენაში „კაპიუშონს“ ვამატებდი, ვითომ დედას ხალათი ეცვა. მჯეროდა, რომ ასე ასტრალში მომავლის დაპროგრამებას ცოტათი მაინც წავეხმარებოდი. მერე და მერე ჩემს მიზანს და დადებულ პირობას სიმტკიცე დაეკარგა. ბოლოს სულაც სადღაც, გონების თუ გულის მიყრუებულ კუნჭულში ეგდო მომჩვარული, მანამ, სანამ...

ერთხელ დედამ დეიდაჩემს უთხრა, შენმა ნაჩუქარმა კრემისფერმა „პლაშჩმა“ დიდი საქმე გააკეთაო. მოსწავლემ, რომელიც გაკვეთილზე არასდროს იწევდა ხელს, დღეს ხელი აიწიაო.

თურმე — ამის სათქმელად:

„მასწავლებელო, მშვიდობაში... ხალათი.“

— ჰა-ჰაა, ხალათიო?! მე კიდევ თავი მომქონდა, ამ გაჭირვების ჟამს ჩემი და „მაგარ პლაშჩში“ გამოვპრანჭე-მეთქი, — იცინის დეიდაჩემი. დედაჩემსაც გაეცინა. ერთად იცინიან, გულიანად და ეს ისეთი იშვიათობაა იმ დროში... მე კიდევ, როგორც ხდება, სრულიად შეუფერებელ დროს მინდა, მოვაღო პირი და მთელი ხმით ვიტირო.

— რა გინდა, თეთრი ხალათი ხომ გინდოდა და აჰა, გაქვს! — დეიდაჩემი ამბობს და სირცხვილისგან აღარ ვიცი, სად დავიმალო. მრცხვენია, რომ დედისთვის ოცნების ასრულებაზე ფიქრი მივივიწყე.

* * *

ბევრი წლის შემდეგ, ჟურნალისტად რომ დავიწყე მუშაობა, პირველი ჰონორარით ვერაფერი (5 ლარი იყო), მაგრამ მერე ხალათის სამყოფი ფული მაინც შევაგროვე და ერთ დღეს დედაჩემს ვთხოვე, ბაზრობაზე გამომყევი-მეთქი. არ მითქვამს — რისთვის.

— მიდი, აბა, გაისინჯე, როგორ გაქვს, — ვეუბნები, ჭრაჭუნა პარკში ჩაკეცილ პირსახოცის თეთრ, თვალისმომჭრელად თეთრ ხალათს ვუწვდი.

დედამ ცელოფანს ხელი გადაუსვა, შეყოყმანდა, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, გახსნას თუ არა. ვეცი, გავუხსენი, მივაწოდე. ფრთხილად ამოიღო. აუჩქარებლად შემოიცვა, სარკეში ჩაიხედა, უხერხულად შეისწორა „კაპიუშონი“, შეათვალიერა, მიტრიალდ-მოტრიალდა.

საკუთარ თვალში ერთიორად ავმაღლდი, გავიბღინძე. დედაჩემს ოცნების თეთრი ხალათი აცვია! უკვე თითქმის მისი, საკუთარი. ერთი სული მაქვს, რამე თქვას, ფრაზა თუ არა, ნებისმიერი ბანალური, სიხარულის გამომხატველი შორისდებული მაინც: „აუჰ!“ „იფ!“ ან ჯანდაბას, თუნდაც ის ყველასგან მივიწყებული და გაუცხოებული „ვიშ!“, მაგრამ დედა არაფერს ამბობდა, საერთოდ არაფერს.

— რა ვიცი, — თქვა ბოლოს მორიდებულად, — თეთრი არაპრაქტიკულია, მაინც, — და გაიხადა.

გაიხადა, დაკეცა, ჭრაჭუნა პარკში დააბრუნა. თან — მშვიდად, ძალიან მშვიდად. გულგრილადაც კი.

დავიბენი. თვალებს ვერ დავუჯერე, მაგრამ რეალობა ეს იყო: სანამ მე მისი ოცნების ახდენა შევძელი, დედა პირსახოცის თეთრ ხალათზე უკვე აღარ ოცნებობდა.

დრომ, როცა დედაჩემის ოცნების კვირტი სასურველ, გემრიელ ნაყოფად გამონასკვა ხელუწვდენელ კენწეროში — ჩაიარა. მანამდე კი ის ოცნების ნაყოფი გაიზარდა და დამწიფდა ეგრე ხელშეუვლებლად, დაუგემოვნებლად. ჩამოჭკნობაც მოასწრო და ახლა, როცა ტოტს როგორც იქნა მოსწყდა და მის ფეხებთან ჩამოვარდა, აღარ იყო გულმისასვლელი, დახრად და აღებად აღარ ღირდა.

ოცნებები უნდა ახდეს იქ და მაშინ, როცა ისინი ჩნდებიან. დაგვიანებული ახდენა არ არსებობს. სამწუხაროდ.

ალბათ ახლაც აქვს რამე სხვა ოცნება, მაგრამ მე ამ ახალზე არაფერი ვიცი. ამაზე არ მიფიქრია. არ მიფიქრია, იმიტომ, რომ ფილმებს ერთად აღარ ვუყურებთ, აღარც იმას ვაკვირდები გაფაციცებით: რა თქვა? რატომ თქვა? როგორ განწყობაზეა, უხარია რამე? სწყინს? სტკივა? აღარ ვაკვირდები და თავს ვიმართლებ, რომ ლამპის შუქზე კედელს აკრული ჩრდილები აღარ არსებობენ და აბა, როგორ?!

იმ გამქრალ ჩრდილზე ყოფილა გამობმული ჩემი ბავშვობის ურყევი რწმენაც:

1. მასწავლებლობა დედაჩემის ბუნებრივი, მარადიული მდგომარეობაა; 2. დედაჩემის ერთადერთი ოცნება პირსახოცის თეთრი ხალათია. გაქრა ჩრდილი და აჰა:

დედაჩემს წელს რვეულები აღარ გაუსწორებია. არც წითლით, არც ლურჯით, არანაირით. დედაჩემი სკოლიდან წამოვიდა. წარმოუდგენელი ამბავია, მაგრამ წამოვიდა. ჩემი შვილების ოცნებების ასახდენად (ახალი პროექტით, სახელმწიფომ პენსიონერებს, ვინც სკოლა დატოვა, გარკვეული თანხა დაურიცხა).

და აი, ისევ ზის დედაჩემი კედელთან მიდგმულ მაგიდასთან. ადრინდელზე უფრო მოხრილი, მაგრამ უშალოდ, უჩრდილოდ. ახლაც წერს, მაგრამ აღარც ნამში წითლად ჩატეხილი „პწიჩკა,“ არც „შეცდომების გასწორება“. საერთოდაც უკალმოდ, შავი ფანქრით წერს საყიდლების გრძელ სიას. და ამ სიაში არსად, არსად, არსად წერია: „პირსახოცის თეთრი ხალათი“.



2. ბებერი ძმაკაცები
ღამის ქუჩა. ღამის თბილისი

— გავიტრიტე, ივანიჩ!
— ბილეთები ხომ შენ გაქ?
— მე მაქ?.. მოიცა, ვნახო...
— ახლა არ ამაყვირო!
— კი-კი. მე მაქ, ვა! პასპორტები?
— აქ მაქვს დანარჩენი ყველაფერი! დაზღვევებიც! დაჟე ჩემოდანს ევერესტის ნაკლეიკა მივაკარი...
— მაგარია! დაგენაცვლე!
— ხომ ავალთ? მსოფლიოს არ გადმოვხედოთ სახურავიდან?
— აქ ხომ სუ უშბა-მყინვარწვერზე დარბიხარ ყოველ კვირას, ივანიჩ!
— იქ სხვა სიმაღლეებია!
— არაა ეგ პროგრამაში, კაცო!.. ზეპირად მახსოვს მთელი განრიგი!
— ჩვენც ჩვენით გავძვრეთ ჩუმად... რა უნდა? ერთ დღეში ავფრინდებით ვერტალიოტით!
— ისე, მაგ მთებზე ძრომიალამდე იქაური მასაჟიც მოგვიხდებოდა, ივანიჩ!
— ნუ ეგ კი! იქაური ქალები პატარები არიან. კუკლებივით.
— უცხოელებიც ბევრი არიან. წავიკითხე!
— უცხოელებით სავსეა მთელი ვაკე-ვერა-მთაწმინდა-სოლოლაკი! მაგრამ მე იქაური აბორიგენების დილიხორი მაქვს. ბარდელები ხომ ექნებათ?
— რა იყო, ჩეკი გინდა ამოგირტყან, ივანიჩ? აი, ესაა.
— ტაქსი!..
— აეროპორტის გამოძახება თქვენ ხართ?
— რა ჩეკი?.. არ აქვთ იქ ტერმინალებიო. ჩვენთან რო 90-ანებში იყო, ის ვარიანტია... სად მივდივარ, ჩემიკაი!.. სპირტი ხომ მოგაქვს ბლომად?
— მთელი ყუთი „სარაჯიშვილი“ მიდევს დიდ ჩანთაში, ივანიჩ!
— ეგ უნდა ჩააბარო.

3. ცეტი ძმაკაცები
სახლებიდან გასვლამდე. კავშირი ტელეფონით. ღამის თბილისი

— კარავი და სპალნი მეშოკი გვინდა?
— რა კარავი, შეჩემა?! ცხვარში კი არ მივდივართ!
— აუ, შემეშვი რა! იქნებ მე საძილეში მისწორდება ძილი...
— სად, ჩემი კაი? სამვარსკვლავიან სასტუმროში?!
— ეზო არ ექნება მერე მაგ სამვარსკვლავიანს?
— უბერავ ხომ?
— ბიჭო, სამ ადგილს ვიცვლით პროგრამის მიხედვით... არცერთს ეზო არ ექნება?
— ჰოდა, წამოიღე მაშინ! კარავიც, საძილეც, ჰამაკიც!.. ნარდიც გამოაყოლე!
— ეგ ტელეფონში მაქვს. ჩუსტები ხო მინდა?
— მე ჩავდე. იქაური სოკო ნაღდი არ გამისწორდება ფეხზე!
— ფეხი არ ვიცი, მაგრამ იქაურ სოკოს კი აქებენ! ჯიომ და ხათკამ დატესტეს წინა ჩასვლაზე... კინაღამ გაურეკიათ.
— გარეკილი ისეც ვარ!..

4. ხნიერი ქალბატონები
კავშირი ტელეფონით. სახლებიდან გასვლამდე. ერთი სადარბაზოს ბინადრები. ღამის თბილისი

— ქალო, არ დავაგვიანოთ!.. ჰე, გაიღვიძე ბარემ! ტაქსი მოვა წუთი-წუთზე!
— საწყალი ვიტალი მესიზმრებოდა, დაგაყარე შავი მიწა!
— დროზე! აგე, ასიგნალებს! არ დაგრჩეს ჩემოდანი! პადიეზდში გელოდები!
— ლიფტი დაგვიტევს?..
— რა მოგაქვს ეგეთი?
— მე საქართველოს დროშა მომაქვს!
— რად გვინდა იქ საქართველოს დროშა?! სად მიგყავარ, ნარგიზა! ორი თავი მაინც მქონდეს, რო მოგყვები იმ დასაკარგავში!
— 365-იან კიბეზე ხომ გახსოვს, რაც უნდა ჩავიფიქროთ?
— აგერ მიწერია ბლოკნოტში სამი სურვილი!
— ერთიო!
— ძაან არ გაიგონ, რამდენს ჩავიფიქრებ!
— დროშა კიდევ — ხომ უნდა იცოდნენ სხვებმა საიდანაც ვართ?!
— გამომართვი! ეს ჟაკეტი შენია! ღამეა მაინც. შემოიცვი!
— ვინ მიმესიჯებს ამ შუაღამისას? მოიცა...
— ვინაა?
— თამარა მწერს, რა უყვარდა ცხონებულ ვიტალის ყველაზე მეტადო?
— რად უნდა? მიაჭირე ლიფტს?
— სტუმარია მოსული უცხო და ამას უნდა, რომ დაიტიროს... თან ისეთი, ყველამ რომ იცოდესო...
— ღომი და ყველი უყვარდა, მაგრამ მაგას ხომ არ მიწერ... ააა, გამახსენდა, ბანაობისას სიმღერა უყვარდა კიდე...
— ჰაჰა!.. გამანებე თავი!
— ა, გამახსენდა! მცენარეები უყვარდა ვიტალის. განსაკუთრებით მარადმწვანეები!
— გადასარევი! ა, მაგას მივწერ! დანარჩენი თვითონ მოაჩხლაფორთონ... განსაკუთრებით ნაძვები! გაიგებენ ესეც...
— ჯვარი მეკეთოს თუ დავტოვო? იქ რისი წამთ?
— ძროხის.
— მაშინ მეკეთოს, ჯობია.

5. შეყვარებულები
ნაქირავებ ბინაში. გასვლამდე. ღამის თბილისი

— ვსო, გავედით!
— ლადო!
— რა გინდა?
— მოიცა! წარმოიდგინე, რაც გთხოვე!
— რა წარმოვიდგინო?! ვაგვიანებთ თვითმფრინავზე, ეკა! დროზე!
— მე ჩემებს ამ წერილს ვუგზავნი. მორჩა!
— მიაჭირე და გაათავე რა!
— აჰა!
— შენებმა იციან რო ინტერნეტის მოხმარება?
— ნუ იცი ეგრე!
— რა ვთქვი ეგეთი?!
— იმედია მშვიდად წაიკითხავენ, არ ატეხავენ პანიკას და არ მოგვხსნიან რეისიდან. ახლა წარმოიდგინე!
— რა?
— რომ კარგად ვართ მერე... მერე. მომავალში!
— ცაში წარმოვიდგენ მაგას, ეკა!
— არ გინდა ცაში, ლადო! ჯერ აქ! მიწაზე! გთხოვ!
— ღმერთო, რა ყველა გიჟი-გადარეული მე უნდა შემხვდეს!
— აი, ძალიან გთხოვ, ნუ!
— მიყვარხარ!
— მოიცა. წასვლამდე აგერ ჩამოვსხდეთ და ერთად წარმოვიდგინოთ...
— კაი! ჰა! დავჯექით!
— აი, ეგრე!
— მერე რა ვქნა?
— თვალები დახუჭე და მშვიდად ისუნთქე!
— ჩემიკაი! აჰა!
— წარმოიდგინე — ერთად მივსეირნობთ ვრცელ მინდორში... ხედი ზურგიდან! დაინახე!
— ჰო!
— მართლა ხედავ?
— ვხედავ! რა გვინდა ამ მინდორში?.. ძროხა გვყავს საბალახოდ გადენილი?
— ძნელი იყო?
— ეკა, წავედით! ასიგნალებს უკვე ტაქსი!
— ჯერ მაკოცე!
— სად?
— სადაც გინდა... თვითმფრინავში სხვა წარმოსახვა დავდოთ!
— ღმერთო!..
— როგორ ავდივართ იმ ჯადოსნურ 365-იან კიბეზე ხელჩაკიდებულები!

6. ცოლ-ქმარი
ქუჩა. ტაქსის მოლოდინში. აეროპორტისკენ

— უცხო ენა საიდან იცი, ლეო?
— რა უცხო ენა?
— რა ვიცი მე! უცხო ენა!.. საზღვარგარეთული!
— რუსული ვიცოდი ადრე... ჯარში!.. ახლაც მესმის, მაგრამ ლაპარაკი გამიჭირდება...
— რუსულზე არ გეკითხები!
— აბა, სხვა მე არ ვიცი!
— ღამით რა ენაზე ბოდიალობდი?!
— ვინ ბოდიალობდა?
— თეთრად გამათენებინე გუშინ მთელი ღამე!
— უჰ, ვითომ არ იცი, ეგრე რომ ვიცი... ნასვამზე.
— არ დავინახო იქ შენი დალევა!..
— რაო, რას ვბოდავდი?
— უცხო ენაზე ბოდავდი-მეთქი და მე რა ვიცი!
— კაი რა, ცისი!.. სადა მაქ უცხოურის თავი!..
— გეუბნები მე შენ! ჩემი კუბო დამედგას! პასპორტი ჩადე?
— იგონებ რაღაცას... რატომ არ მოდის მანქანა?
— მოიცა, გადავრეკო!
— ნეპალური იქნებოდა... მაგრამ რომ არ ვიცი?
— იცოდე, თვითმფრინავში უნდა დავიძინო! არ დამიწყო მერე ისა-ესა...
— რაც გინდა, ის ქენი!

თვითმფრინავში დუბაისკენ

1. ალექსა (გიდი) და ქართული ჯგუფი
თვითმფრინავის სალონი

— ჯგუფის გასაგონად! დუბაიში სამ საათში ვიქნებით!..
— აბა, ოთხიო?
— ეს მოკლეზე მიფრინავს! გადაჯდომას ოთხ საათზე მეტი უნდა!.. ერთად გავუძლებთ!.. გასაძლებიც არაფერია! დუტი ფრია დიდი!
— კაფეებიც ხომაა?
— რამდენიც გნებავთ! უცებ გაირბენს დრო! მთავარია, ერთმანეთი არ დავკარგოთ, თუმცა ტრანზიტული ზონაა!.. გარეთ არავინ გაგიშვებთ მაინც!
— იქ გველები ხომ არ იცის?
— ტრანზიტული ზონაა-მეთქი!
— ჩვენ ნეპალზე, უკაცრავად, ნეპალზე გეკითხებით!
— უკაცრავად, თქვენ დები ხართ?
— ბავშვობის დაქალები.
— არადა, მაგ ხალების გამო ტყუპები მეგონეთ!..
— უიმეე! არა, ისე კი ვგავართ... ბევრი ამბობს!
— ეს ხალები ხელოვნურია!.. მოდაშია დღეს მთელ მსოფლიოში!
— ეს, ფანჯრიდან, კავკასიონია ხომ, შვილო?..
— ანატოლიის ზეგანი! ზამთრის კავკასიონი გინახავთ როდისმე?
— არა!.. და რამდენი რამე არ გვინახავს ჯერ!
— არადა, რაც კაი გვაქვს პლანეტაზე, მინიმუმ ორჯერ მაინცაა სანახავი.
— ვაი, რა საინტერესო რამე თქვით! შეიძლება გაიმეოროთ?.. ჩავიწერ სამახსოვროდ, თქვენ კი ხელი მომიწერეთ!
— რა ვთქვი ეგეთი?
— ...მინიმუმ ორჯერო, არა? აი, ამის ქვეშ მომიწერეთ...
— თ-ს გარეშე.
— ვერ გავიგე?
— მე ვარ შენ, და არა თქვენ!..
— აჰ, ალექს, ესე იგი! გმადლობ-თ!.. მე მაკა ვარ... ეს ეკაა...
— თ-ს გარეშე-მეთქი! პირველად მოდიხართ ჰიმალაებში?
— დიახ... თქვენც?
— მეე?.. არა. მე — მემეცამეტედ...
— დალევა ხომ შეიძლება იქ?
— გაჩუმდი, ლეო! სირცხვილია!
— ამ ჯერზე მე თქვენი პატარა, 12-კაციანი ჯგუფის გიდ-გამყოლი ვიქნები ნეპალში. ვნახავთ ყველაფერს, რაც ტურის პროგრამითაა გათვალისწინებული — ისტორიული ადგილები, ღირსშესანიშნაობები, ვისეირნებთ რიქშებით, ვიხტუნავებთ ცოცხალ კონცერტებზე!

2. ბებერი ძმაკაცები
გვერდიგვერდ სკამებზე. თვითმფრინავის სალონი

— როგორი სიზმარი ვნახე, რომ იცოდე, ივანიჩ... აი, გულთმისნურიო, რომ იტყვიან!..
— რა ხდებოდა?
— არ დაიჯერებ და, რიჩარდ მესამე ვნახე სიზმარში!..
— ვა!
— ნიშანივით იყო, ისე მიყურებდა!
— მოიცა-მოიცა...ვინ ნახე სიზმარში?
— რიჩარდ მესამე, დედის სულს გეფიცები, ივანიჩ!
— ვახ!
— აბაა!
— შენა და, როგორი იყო ეგ შენი რიჩარდ მესამე სიზმარში?
— მეფესავით რა!
— ვახ! მოიცა და, წვერი ქონდა?
— ხო. წვერიც ქონდა და ცოტა მოკუნტულიც დადიოდა, წელკავიანივით...
— რამე ხომ არ უთქვამს?
— არა. მაგრამ ისე მიყურებდა, თითქოს რაღაცა უნდოდა, ეთქვა... ახლა გამახსენდა!
— და რა იცი, რომ რიჩარდ მესამე იყო?
— კარგი რა... ამხელა კაცმა ეგ თუ აღარ ვიცი...
— ვახ... და რა ენაზე გეტყოდა ახლა შენ რიჩარდ მესამე რამეს?..
— რავი, ივანიჩ!.. ინგლისურად ალბათ! მაგრამ რო არ მესმის არცერთი ენა ქართულის და რუსულის მეტი?
— მოიცა, კაცო! შენა, შემთხვევით რა-

მაზ ჩხიკვაძე ხომ არ ნახე სიზმარში და ურევ აქ რაღაცას?!

— ეეე! რიჩარდ მესამე იყო, გეუბნები, ივანიჩ!.. რა რამაზ ჩხიკვაძე?!.

— კარგად გახსოვს?

— არა, ისე კი გავდა ე დედაარღნიანი!..

— გითხარი მე შენ, შეეშვი ნაპიტოკებს-მეთქი...

— ჩუმად არ ჩავარტყათ?

3. ცეტი ძმაკაცები
გვერდიგვერდ სკამებზე. თვითმფრინავის სალონი

— სტიუარდესა რა კაი ვიდზეა...

— სადაური იქნება?

— არადა, ეს ბუნებრივად ქერები სუ ნერვებს მიშლიან! გეგონება, ერთი კაცის გაკეთებულები იყონ.

— რას გერჩიან?

— ნიკოლაძეში მიყვარდა ერთი ქერა და ყოველდღე ჭკუიდან გადავყავდი!

— არ გაძლევდა?

— კი, აბა! არ მაძლევდა კი არა, მეც მაძლევდა, ჩემს ძმაკაცებსაც ჩუმად, და ქანდაკებას და ხაზვას ნიშნებისთვის!

— რა ამბავია?

— მერე მოდიოდა და მიყვებოდა ვისთან რა ამბავში იყო და როგორ ყირაზე გადადიოდა.

— ნუ გაახურე! ნიკუშ, ისა, ცოტა დაუწიე!

— მინდა მე ეგეთი სიმართლეები?! ის კიდევ გულწრფელობას აწვებოდა. რატომ უნდა დაგიმალოო?

— ეგეთები უნდა დამალო საქართველოში, აბა, რა უნდა ქნა?

— როგორაა — ზოგჯერ თქმა ჯობს არა-თქმასო?

— მერე ვერ ცემე, შეჩემა?

— ვინ გაცალა! რო მიხვდა, არ ვიყავი მე ის როჟა, რომელიც ეგეთ სიმართლეებს გაუტარებდა და მაგარს ჩავუტარებდი — მითხრა: პაკაა, მე ვინც აქ გამაჩინა, ამ ფეიკების ჯოჯოხეთში, იმის დედაცო!

— დაგეთესა, ტო?

— ეგრევე გაიკერა კუზანოვთან! მერე ვიღაც მაყუთიანი ოსმალო საქონელი შეაბა, ცოლად გაყვა და ბედნიერია. აზზე ხარ?

— ეს სტიუარდესა მაგას გავს?

— მაგრად. გავს რა, დის პონტშია, ან ბიძაშვილის!

4. ხნიერი ქალბატონები
გვერდიგვერდ სკამებზე. თვითმფრინავის სალონი

— მომკიდე ხელი, ნარგიზა! ცუდად ვარ...

— წამალი გინდა?

— ვალიდოლი გაქ?

— გამომართვი. ქაღალდიანად არ დაღეჭო, სირცხვილია!

— რომ ჩამოვვარდეთ, რა გვეშველება, ნარგიზა?

— გაჩერდი ახლა! რომ ჩამოვვარდეთ, ავფეთქდებით და მოვკვდებით!.. რაღა უნდა გვეშველოს? თუ გვიპოვეს დანახშირებულები მაინც, ეგა თქვი...

— ნეტა ჩამოვარდნისას ეგრევე ფეთქდება თვითმფრინავი?

— გააჩნია, სად ჩამოვარდება... ახლა სავსე აქვს ბაკი...

— ვაიმე-ვაიმე!.. ახლა რომ ჩამოვვარდეთ, უცებვე ავფეთქდებით ესე იგი!.. ეგრევე ცეცხლი წაგვეკიდება ხომ?

— თუ ბოლოსკენ ჩამოვვარდით, მაშინ უკვე ცარიელი იქნება ბაკი და უბრალოდ დავეცემით...

— მაშინ მერე ჯობს, ჩამოვვარდეთ!

— მაგრამ იქ სუ ნავთი და გაზია მთელი დუბაი...

— ღმერთო, შენ გვიშველე!

— წყალიც გექნება...

— შენ არაფერი წამოგიღია, ქალო?! მაინცდამაინც ყველაფერი უნდა გამიჩანაგო?

— მე სუხარი მაქ აგერ და პეჩენია... ტუალეტის რულონიც! მგონი, არ ვვარდებით!.. გასწორდა თვითმფრინავი!

— როდის გვაჭმევენ ნეტა?

— გადავრჩით!

— შედის ხო?

— რა?

— ჭამა!

5. შეყვარებულები
გვერდიგვერდ სკამებზე. თვითმფრინავის სალონი

— რა გვინდოდა ამ ნეპალში?

— კაი რა, ლადო!..

— წავსულიყავით ბარსელონაში ან პარიზში!

— კარგი რა, ლადო?.. არაა იქ ეგეთი კიბე!

— კიბეზე მაძრომიალე კიდე...

— აი, ნახავ!.. ხომ თქვეს თიკამ და ნინუციმ — ზღაპარია და სრულდებაო!

— ეგენი არიან პროვინციალი ბანძები!..

— ვინა?!

— მომიყვანა აქ ავტორიტეტები!

— ძალიან გთხოვ ახლა! ნუ იცი ხოლმე ჩემების ეგრე კბენა!

— ვინ მოდის ჩვენთან ერთად?!. დამანახე ერთი! ვინმე ნორმალური არის ჯგუფში?

— აგერ ის ბიჭი — თქვენი გიდი ვიქნებიო...

— სხვა დამანახე, აბა?

— რა ვიცი მე, კიდევ ვინ მოდის?.. ქვემოთ ხომ დაარიგა დაზღვევები. ვისაც მისცა, ისინი მოდიან!

— ვერც ერთი ვერ დავიმახსოვრე სახეზე!

— ჩემიანად ცამეტი ვართო!

— დაგვთვალა?..

— იქ არ იყავი? და ნუ იცი ხოლმე ეგეთები!

— როგორები? აზია-აზია, რომ აიჩემე!..

— მერე რა?

— სტამბოლი იქ არ იყო? ან ანტალია? აზია თუ გინდოდა...

— ეს სულ სხვა აზიაა, ლადო! ბუდას სამშობლო.

— დიდი ამბავი!

— აზიურ ისრაელსაც კი ეძახიან!

— ებრაელები ცხოვრობენ?

— ყველაზე მაღალი მთები. ჰიმალაები! არა, რა ებრაელები? ნეპალელები!

— აუ, ეკა, ერთი არ გამისწორდეს, მერე ნახე შენ!

— რას მიზამ?

— მე ვიცი, რასაც გიზამ.

— რას მემუქრები ნეტავ?

— და თან ძალით გიზამ, იცოდე!

6. ცოლ-ქმარი
გვერდიგვერდ სკამებზე. თვითმფრინავის სალონი

— ცისია, არ ამაყვირო ახლა!

— რას მეჯიკავები, ლეო?

— პირზე კაშნე მაინც გაიკეთე, რომ ხვრინავ ნაზარბაევივით!

— ეგ ვინ ჩემი ფეხებია?

— ვინცაა!

— რა შემჭამე, კაცო?!

— მთელი თვითმფრინავი შეწუხდა უკვე!..

— სად, აბა?

— არ ჩამოვვარდეთ ვიბრაციისგან, იმაზე ვფიქრობ!

— უიმე! ნუ იძახი აქ სისულელეებს!

— გადაჯექი უკან და იქ დაიძინე! ცარიელია თვითმფრინავი!

— კაი. გამიშვი!

— უჰ... რომელია? აღარცაა მაგის დრო... უკვე ვეშვებით!

— სად ვეშვებით? ასე მალე ჩამოვფრინდით?

— ცისი. რამდენჯერ უნდა გითხრა — დუბაიში გვექნება გადაჯდომა! რით ვერ დაიმახსოვრე?

— იცი, როგორი სიზმარი ვნახე, ლეო?

— იმ სამხერხაოში შენ კიდევ სიზმარი ნახე?

— რაღაც უცხო სახლი იყო... ბნელი და ბევროთახიანი, და ყველას ეძინა!

— მერე?

— ვითომ ფეხშიშველი დავდიოდი ოთახებში... მერე ვიღაც მძინარე კაცის ფეხსაცმელი ჩავიცვი ჩუმად და გამოვიპარე!

— მარცხენა იყო თუ მარჯვენა?

— ორივე! აუ, რა კრეტინი ხარ ამხელა კაცი!

პაპუნა ფირცხალაიშვილი

ჩუტყვავილა

ჩუტყვავილა გაქვს, ალბათ გაზაფხულს
სურდა შენს ტანზე გადმოსახლება,
თუ შეიფერებ, არ დაიზარებ,
შეძლებ სუყველა კარის გაღებას.

არ გაგაბრაზებს ახლა არავინ
და არ დაგტუქსავს არაფრისათვის,
თუ გსურს, გახდები გამომძალავი,
მე შენს ადგილზე რას არ ვიზამდი...

შენ კი სიცხე გაქვს და რუდუნებით
შერჩეულ საჭმელს უკან ისტუმრებ,
ჩვენ ხეებივით გარინდულები,
გიკოცნით ცხელ და ფერად კიდურებს.

ზღვარზე

მეშინია, რომ ყელში
ამომასხამს და გავწყვეტ
ძაფს და იქნება თქეში

სისხლის, რაც წლები ვაწყვე,
ერთად დავანგრევ ლეგოს,
შვილებს რა ვუყო — საწყლებს,

რომ მამამისის ეგო,
რომელიც იყო დიდი,
მაინც არაფერს ეყო.

რასაც მე ნიჭად ვთვლიდი —
ის სუფთა გული ბიჭის,
გაქრა. ჩაინგრა ხიდი.

ცხოვრება — გულში ხიჭვი
მაზიდებს, ალბათ ვარწყევ,
ისე ძალიან მიჭირს

რომ მუდამ ყველას ვარცხვენ,
მალე გაწყდება ძაფი,
შვილებს რა ვუყო საწყლებს.

საკმაოდ მძიმე გრაფიკს
და სამათხოვრო ხელფასს
ყავით და ორი აბი

წამლით ავიტან შვებას,
გავიხანგრძლივებ დიდხანს
იმედის მცირე შხეფად

ლექსად წარმოთქმულ სიტყვად
მუდამ შემეძლო ყოფნა.
და დასასმელმა კითხვამ

არ დამიტოვოს ობლად...
ამომეზნიქა მკერდი,
ვერ ვვარგებულვარ მშობლად.

სიცოცხლეს ვალს თუ კრედიტს
ვერ ვუმკლავდები, გმირებს
ვერ ვუტოლდები. კრეტინს,

სიტყვას ვინ მათქმევინებს?!
მალე გაწყდება ძაფი,
რა ვუყო საწყალ შვილებს?..

როსტომ ჩხეიძე

აპოლოგიად კითხვის, მკითხველის აპოლოგიად



— აბა რომანი დაწეროს! — ნიშნისმოგებით იტყოდნენ რევაზ ინანიშვილზე და... გაეხარდებოდათ.

ამის მთქმელებს წიგნიერება არ აკლდათ, უბრალოდ არა სურდათ, გაეხსენებინათ, რომ:

არც დავით კლდიაშვილს, არც ნიკოლორთქიფანიძეს, არც ანტონ ჩეხოვს, არც ხორხე ლუის ბორხესს რომანი არასოდეს დაეწერათ — მხოლოდ მინიატურით, ნოველით, მოთხრობით გამოხატავდნენ თავიანთ სულიერ და მხატვრულ სამყაროს, მაგრამ ეს ხელს ვერ შეუშლიდათ, შეექმნათ ნამდვილი ლიტერატურა.

ვინ იცის, მათ სიცოცხლეში რამდენს ეთქვა ნიშნისმოგებით:

აბა რომანი დაწერონ!..

ზოგს იქნებ დანანებითაც წამოცდენოდა:

ნეტა რომანსაც დაწერდნენო.

რევაზ ინანიშვილზეც მხოლოდ ნიშნისმომგებნი კი არა, გულშემატკივარნიც ამოთქვამდნენ დანანებით:

ეჰ, ნეტა რომანიც... იქნებ რომანიცო...

და ტარიელ ჭანტურიაც რომ გაბეზრდებოდა მის საყვარელ მწერალზე გაუთავებელი ნიშნისმოგებითაც და დანანებითაც, რევაზ ინანიშვილზე ესეის ასე დაასათაურებდა:

„ერთი, ერთადერთი რომანის ავტორი...“

და მთელ მსჯელობას აქეთ წაიყვანდა, ამ თეზისისაკენ:

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება — ესაა ერთი ვრცელი ტილო, ერთი დიდი რომანი! მისი პირობითი სახელწოდება საქართველოაო!

ეს თეზისიც და ეს სათაურიც უმეტნაკლებოდ მიესადაგება ზაალ სამადაშვილის შემოქმედებასაც, რაც სულ უფროდაუფრო ივსება უმთავრესად მინიატურებითა და ნოველებით, ერთი-ორი მოთხრობაც რომ გამორეულა, და საბოლოოდ მიისწრაფის იქით, რომ:

შექმნას თავისი ვრცელი ტილო, ერთი დიდი რომანი, რომლის პირობითი სახელწოდებაც საქართველოა!..

ამიტომაც მეღიმება, როდესაც მომესმის ხოლმე:

აბა რომანი დაწეროს!

თუ მაინცდამაინც:

ის რომანიც იწერება მისი ხელით, მრავალი მომხიბლავი წახნაგისაგან ამოშენებული, ახლახან კიდევ ერთი სვეტი რომ უნდა შეემატებინა „ინტელექტს“, წიგნის საერთო სახელწოდებად მისი გამხსნელი ნოველა რომ უნდა შერჩეულიყო:

„რასაც ყველა ვერ ხედავს“.

მაინც რას გულისხმობს ის, რასაც ყველა ვერ ხედავს?

რას და:

იმ უამრავ პერსონაჟს, რომელნიც სტუმრობენ ნამდვილ მკითხველებს, თითქოსდა მარტომყოფებს თავიანთ ოთახებში, ეცხადებიან და თავზე აყრიან ამბავზე ამბავს, გრანდიოზულ სამყაროდაც რომ შეიძლება გადაიფინოს ამბავთა ეს წყება იმის კვალობაზე, რამდენი მწერლის სულშიც შეუღწევია მკითხველს, რამდენი შთაბეჭდილება შეუგროვებია, რამდენი აღბეჭდვია სულზე წარუშლელად, რამდენს დაუნახვებია ყოფითი სინამდვილე სულ სხვაგვარად და რამდენს ჩამოუყალიბებია მისი გემოვნებაც, სწრაფვაც, ოცნებაც...

და თუ ეს მკითხველი მწერალიცაა?

მაშინ ეს შთაბეჭდილებანი შესაძლოა მისი ნაწერების ზედაპირზეც გადმოიფინოს, თუკი მისი მხატვრული ხედვა, მისი სტილისტიკა უბიძგებს აქეთ, მის მხატვრულ სამყაროს შეერევა და შეესისხლხორცება და მინიატურისა და ესეის საზღვარზე იმოძრავებს.

ზაალ სამადაშვილთან როგორც ხდება.

მისი იმ ერთი, ერთადერთი რომანის ერთი უმთავრესი საყრდენი სწორედ ეს გადაძახილებია ქართველ და უცხოელ მწერლებთან, ყველა ერთბაშად შინაურად რომ იქცევა და ხელმეორე სიცოცხლეს განიცდის ნამდვილი მკითხველისა და მწერლის გადმოსახედიდან, ორიოდე ზუსტი და ფაქიზი, ღრმა და ტევადი მონასმით ბევრი რამ რომ ცნაურდება იმ დიდებული სახელებისა, რომელნიც მუდმივ მიმოქცევაში უნდა რჩებოდნენ, თორემ წაუკითხავად განწირული კლასიკის მწარე ხვედრი თუ ელოდებათ.

მიმოქცევაში — მკვლევარების, კრიტიკოსთა გამოისობით.

და იმ ყაიდის მწერლებისა, ზაალ სამადაშვილი რომ გახლავთ, რევაზ ინანიშვილთან თავჩენილ ამ ნაკადს კიდევ უფრო რომ გაშლიდა და განატოტებდა, და რაც მთავარია, შეუნარჩუნებდა იმ ინტიმს, რაც შენი, შენეული თუ არ არის, გამეორებული ნათხოვარი სამოსივით მოგერგება ტანზე.

და ზაალ სამადაშვილის მხატვრული ხედვისა და სტილისტიკის მთავარი ძარღვი სწორედაც რომ ეს ინტიმურობაა, ეს ბუნებრიობა, სანდო, საიმედო მეგზურადაც რომ მიგიძღვის მხატვრული ქმნილებებით მოგვრილ შთაბეჭდილებათა სამყაროში.

თანდათან გემოვნება უნდა შეცვლოდა, როგორ არა, და ბევრი ვრცელი და მოკლე ტექსტი ამოვარდნოდა „საყვარელ საკითხავთა“ სიიდან, მაგრამ ეს უნდა დარჩენილიყო მის სამაგალითო წიგნებს შორის, ერნესტ ჰემინგუეის „განუყრელი დღესასწაული“;

მთლად პირველ ათეულში არა, ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის“, უილიამ ფოლკნერის „დაუმარცხებლების“, ჯეიმზ ჯოისის „დუბლინელებისა“ და ხორხე ლუის ბორხესის „ბროდის ანგარიშის“ გვერდით, მაგრამ არც ისე შორს მათგან.

ჩამოთვლილთაგან განსხვავებით დანიშნულებასაც მიანიჭებდა ამ რომანს — სტიმულის მომცემს.

ახალ მოთხრობაზე მუშაობის დაწყების წინ უნდა გადმოიღოს ხოლმე თაროდან და თავიდან ბოლომდე წაიკითხოს ლამის დაზეპირებული პირველი თავი, რომელშიც ამერიკელი ნობელიანტი ჰყვება სენ-მიშელის მოედანზე მდებარე მყუდრო კაფეზე, ფანქრით წერაზე, თეთრი ღვინის წრუპვასა და წვიმიდან შემოსულ ლამაზ გოგოზე, რომელსაც სველი თმა და სახე ახალმოჭრილი მონეტასავით უბრწყინავს („PAPA-ს დღესასწაული“).

გერტრუდ სტაინზე დიდხანს მხოლოდ ის ეცოდინებოდა, რაც ერნესტ ჰემინგუეის ამ ავტობიოგრაფიულ რომანში ამოეკითხა, ვიდრე ცხელი ივლისის სამ დღეს მოანდომებდა მის წიგნს „სამი სიცოცხლე“ და... მანამდე უცნობ ლიტერატურას აღმოაჩენდა, ისეთს, რომლის სისადავეც არაფრით ემგვანებოდა ამ თვისების მქონე სხვა არაჩვეულებრივი ტექსტებისას.

ამგვარ აზრს აღუძრავდა თხრობის უცნაური, განსხვავებული მანერა, დაფუძნებული პერსონაჟთა პორტრეტების, შეგრძნებების, ფიქრების „მარტივი“ ხერხებით აღწერაზე — ისეთ „მარტივზე“, რომელსაც ბავშვები იყენებენ რაიმე გრძელი, მათთვის მნიშვნელოვანი ამბის მოყოლისას, როდესაც მხოლოდ კარგად ნაცნობ სიტყვებს წარმოთქვამენ და მეტი დამაჯერებლობისათვის ხშირად იმეორებენ ერთსადაიმავე პასაჟს.

და გერტრუდ სტაინის მოთხრობების მთავარი გმირები — ანა ფედერნერი, მელანეტა ჰერბერტი და ლენა მაინცი — სამუდამოდ დაიმკვიდრებდნენ ადგილს ზაალ სამადაშვილის წარმოსახვით ლიტერატურულ გალერეაში, სადაც ქალთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილები კარმენსა და ემა ბოვარის უკავიათ („მის სტაინი მოგვითხრობს“).

რაო, როგორ ამტკიცებდნენ?

ეგ გენიოსი არ არის, გენიოსები სულ დიდ-დიდ რაღაცებს წერენ, მაგას კი მოთხრობა-ნოველების მეტი არაფერი გამოსდის ხელიდანო.

არადა როგორ არ დაეთანხმები ზაალს, თავს მორიდებით რიგით მემოთხრობედ რომ მოიხსენიებს:

გენიოსობა ისეთი რამეების დაწერასაც ნიშნავს, ასწლეულებს რომ უძლებს და საუკუნიდან საუკუნეში გაუხუნებლად გადადის, როგორც საუკეთესო საკითხავი...

და სიყვარულზე შექმნილ „ყველა ზომის“ თხზულებას შორის საუკეთესოდ ამიტომაც მიიჩნევს კარმენისა და ხოზე ლიზარაბენგოს, მატილდა დე კურსისა და ოგიუსტ სენ კლერის ტრაგიკულ ტრფობათა ამბებს:

პროსპერ მერიმეს „კარმენიდან“ და „ეტრუსკული ლარნაკიდან“ ამომზევებულს („მერიმე“).

რაო, როგორ ამტკიცებდნენ?

მოთხრობების წერა გამოსდის კარგად, თორემ რომანებისა — ვერაო.

და ეღიმებოდა ზაალ სამადაშვილს:

კიდევ კარგი, რომანებიც დაწერა და მოთხრობებით არ შემოიფარგლა, თორემ ეს მოსაყვედურე ხალხი უეჭველად იტყოდა, მასშტაბურ ნაწარმოებებზე უარის თქმით ერნესტ ჰემინგუეიმ თავის უზარმაზარ შესაძლებლობებს ფრთები შეაკვეცაო...

თავის მხრივ კი:

საქვეყნოდ აღიარებულ რომანისტთა მიერ დაწერილ წიგნთაგან ორი, გამორჩეულად რომლებიც მოსწონდა... მოთხრობებისაგან შედგებოდა:

„დაუმარცხებლები“ უილიამ ფოლკნერისა და „შინ ველარ დაბრუნდები“ თომას ვულფისა.

გამორჩეულად იმიტომ, რომ:

ოდესღაც პირველად წაკითხვის, ძველი შთაბეჭდილებების ანაბარა კი არ დარჩებოდა, დროდადრო განაახლებდა.

ფოლკნერთან ყველაზე ხშირად იმ ამბავს უბრუნდებოდა:

სამხრეთელი ბიჭუნები, ბაიარდი და რინგო, იანკების ოფიცერს რომ ესვრიან თოფს და, შიშისაგან გულგახეთქილებსა და შინ ფართხაფურთხით მიცვენილებს, დიდედა რომ დამალავთ კაბის კალთის ქვეშ...

თომას ვულფთან კი:

რომანის მთავარი გმირის მწერალ ჯორჯ ვებერის ცხოვრების იმ მონაკვეთს, როდესაც ბრუკლინშია დაბინავებული, ღამღამობით ქუჩებში დაეხეტება და ერთხელაც რომელიღაც რესტორანში გადაეყრება ბანალური სიუჟეტით ფულისა და სახელის მოხვეჭის მოსურნე მიმტანს... („რომანები მოთხრობებით“).

მაგიურ რეალიზმზე რომ იწყებდნენ ლაპარაკს და უმალ ესპანურენოვანი ამერიკის მწერლები აგონდებოდა ყველას, ზაალ სამადაშვილი ამ შეხედულებას ვერ გაიზიარებდა და სანიმუშოდ გაიხსენებდა ისლანდიელი ჰალდორ ლაქსნესის რომანს „თევზის კონცერტი“, დაწერილს 1956 წელს, არანაკლებ ჯადოსნურს, ვიდრე მოგვიანებით შექმნილი „ასწლიანი მარტოობა“ გახლდათ გაბრიელ გარსია მარკესისა („ჯადოქარი ისლანდიიდან“).

წიგნებზე ლაპარაკისას კინომექანიკოსად რომ წარმოიდგენს ხოლმე თავს, ვისაც ჯაზი უყვარს და ჩარლი პარკერისთვისაც მოუსმენია, ამ თამაშში როგორ არ აჰყვება და... არც გაუჭირდებოდა, ხულიო კორტასარის მოთხრობის — „მდევარი“ — კითხვისას თავი ჩაბნელებულ კინოდარბაზში მჯდომარედ ეგრძნო და თვალი გაედევნებინა მუსიკოსის ცხოვრების სხვა მონაკვეთებივით გიჟური, პარიზული ეპიზოდისათვის... და ესმინა განსჯა, თუ რაოდენ განსხვავებულად მიედინება დრო და როგორ იკუმშება და როგორ ეტევა წუთნახევარში თხუთმეტი წუთი მაშინ, როდესაც იგი უკრავს... („მდევარი“).

ზაალ სამადაშვილს ხან ის სურვილიც გაუჩნდებოდა, თბილისელ ბოჰუმილ ჰრაბალად წარმოედგინა თავი — ჩეხი მწერალივით სქლად ნაქსოვი პულოვერების, ლუდხანებში ჯდომის, ენის დაუღლელად თხრობის, უმნიშვნელო დეტალების გაზვიადების მოყვარულად, რომელიც ბევრს კითხულობს და ცოტას წერს... („თბილისელი ჰრაბალი“)...

უიარაღოს „მამელუკიდან“ კი განსაკუთრებით ის ადგილი ეყვარებოდა გამორჩეულად, ქაიროს მახლობლად, სალადინის ციხე-სიმაგრის გალავანზე გადმომდგარი ომარ საიდი მთავარსარდლის დასახელებას რომ სთხოვდა იქ შეკრებილ მხედრობას...

სათითაოდ რომ გამოვიდოდნენ უმამაცესი მეომრები, ერთი სუეცის ალყას გაიხსენებდა, მეორე — ასუანთან გამართულ ბრძოლას, მესამე — ჰოტენტოტებზე ლაშქრობას.

და შეკითხვით დაამთავრებდნენ თხრობას:

ვინ იყო ის კაცი, რომელმაც თავისი გაუგონარი სიმამაცით გარდატეხა შეიტანა მარცხისათვის განწირულ შეტაკებაშიო?

და ჯარს უნდა ეგრგვინა:

— მახმუტ!.. მახმუტ!..

და თავის მხრივ დაურთავდა მინიატურის ავტორი:

იცოდა თავისი საქმე კონდრატე თათარაშვილმა, ბედის უკულმართობის აღწერით დიდი სევდის აღმძვრელმა, მსგავსი ეპიზოდებით მებრძოლი სულის გამღვიძებელმა მწერალმაო... („მამელუკი“).

რეზო ჭეიშვილი თავის მოთხრობას „რასემონს“ რომ დაარქმევდა რიუნოსკე აკუტაგავას ორ ნოველაზე მინიშნებით — „უსიერ ტყეში“ და „რასემონის კარიბჭე“ — ერთ ამბავს რამდენიმე კაცს მოაყოლებდა, ყმაწვილკაცობისას უბილეთოდ რომ აპირებდნენ ფეხბურთის მატჩზე დასწრებას, მილიციას უნდა დაეკავებინა, ქალაქგარეთ გაეყვანა დახურული მანქანით და ჩამოესვა რომელიღაც გარეუბანში,

საიდანაც ფეხით უნდა წაჩანჩალებულიყვნენ შინისაკენ.

მინიატურის ავტორის დაკვირვებით:

მარტო ეს მეცნიერ-თანამშრომლები რომ ყოფილიყვნენ მოთხრობის გმირები, მათი დახასიათებითაც კარგ საკითხავს გაამზადებდა საქმის უბადლო მცოდნე მწერალი, მაგრამ მთავარი თემა, მთავარი პერსონაჟი ამ აბდაუბდა მონათხრობებისა გახლდათ პოეტი იმმანუელი, დაკავებული ასევე უბილეთობის გამო, ვერაფრისდიდებით რომ ვერ გამოერკვია, თუ რის ბილეთს სთხოვდნენ და რატომ მიჰყავდათ დახურული მანქანით კუკიისა თუ მახათას მთისაკენ...

იმმანუელის პროტოტიპი ვინ გახლდათ და:

გალაკტიონ ტაბიძე, თავისი განუყრელი პორტფელით... („იმმანუელი“).

ხოლო გურამ რჩეულიშვილის ნაკლებადცნობილ მოთხრობას — „უკანასკნელი აბენსერაჟი“ — რომ წაიკითხავდა პირველად 1985 წელს გამოცემულ საიუბილეო კრებულში, ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ამ სათაურის მოთხრობა ფრანგი მწერლისა და დიპლომატის ფრანსუა რენე შატობრიანისა, სანტიმენტალური ბალადა ესპანეთიდან განდევნილ მავრთა სახელოვანი გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის, აბენ ჰამეტ აბენსერაჟისა და უმშვენიერესი ესპანელი ასულის ბლანკა დე ბოვარის უიღბლო სიყვარულზე...

როგორ უნდა ახსნილიყო სახელწოდების განმეორება და:

მძლავრი ვნებებით დამუხტული, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მოსიარულე ადამიანები, რომელ ეპოქაშიც უნდა უწევდეთ ცხოვრება, ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს და მათი მოხსენიება ზედსართავი საერთო სახელით, ამ შემთხვევაში გვარით, სავსებით ბუნებრივი გახლავთ („უკანასკნელი აბენსერაჟი“).

ხოლო როდესაც იკითხავდა: ჩარლზ ბუკოვსკი წაგიკითხავთ ან ტომ უეიტსის ხრინწიანი ბალადები მოგისმენიათო?

ამ ორი კაცის სულიერ ნათესავზე გადაანაცვლებდა სიტყვას, გიგი სულაკაურზე, ვისთვისაც წიგნი და ცხოვრება განუყოფელი გახლდათ. და ამიტომაც უნდა დარჩენილიყო მეხსიერებაში მისი მოთხრობების კრებული — „თამაში რევოლვერით“ — იმ მკითხველისათვის:

რომელიც მხოლოდ მზერის გადაადგილებით არ კმაყოფილდება სტრიქონების კითხვისას და ყურს უგდებს, გულში ატარებს ნაბეჭდი სიტყვებისაგან შემდგარ თვითეულ მწკრივს ანუ ჩვენებურად, ქართულად რომ ითქვას, გულისყურით კითხულობს აბზაცებსა და გვერდებს... („თამაში რევოლვერით“).

ეს ის გულისყურია, ზაალ სამადაშვილს ასერიგად რომ მომადლებია და ამიტომაც შეიგრძნობს მთელი არსებით ყოველ სტრიქონს, მუსიკასავით რომ ჩაესმის და კიდეც ამიტომ შეუძლია ქართველ მწერალთა მხატვრული ხელოვნება იმ ფორმულაში მოაქციოს, გალაკტიონ ტაბიძის გახმაურებულ ტაეპს ერთი სიტყვა რომ შეუცვალოს და ნაცვლად გამოთქმისა „მღერიან“, „ჰყვებიან“ ჩაწეროს:

არსად ისე არ ჰყვებიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაშიო... („გაბრიაძის წიგნი“).

ასეთ დროს ჰიპერბოლაც გამართლებულია, რაკიღა გარს გახვევია საუკეთესო მთხრობელები, საუკუნიდან საუკუნეში გადმოსული მეგზურები, დიდ იდუმალებაში რომ გხვევენ და ითხოვენ საუკეთესო მკითხველებს, ისეთებს, ზაალ სამადაშვილი რომ არის, ვისი დაკვირვებანი და მიგნებანი, ასე უხვად მიმობნეული მის გარეგნულად პატარ-პატარა თხზულებებში, მადლიანი თეზისები აღმოჩნდება კრიტიკოსებისთვისაც და დოქტორანტებისთვისაც, შემაგულიანებელი და გზისგამკვალავი, თვითონ ზაალისათვის კი ეს ყოველივე უნდა გარდასახულიყო მხატვრულ ტექსტებად, მინიატურებად და ნოველებად მხატვრულ ქმნილებებზე, თავისებურ აპოლოგიად კითხვისა და მკითხველისა...

* * *

და ივსება და ივსება ახალ-ახალი მომხიბლავი და შთამბეჭდავი წახნაგით ზაალ სამადაშვილის ვრცელი მხატვრული ტილო, მისი ერთი, ერთადერთი რომანი, გაჟღენთილი ნოსტალგიით სიყმაწვილის წლებზე, როგორც მიკარგული სამშობლოდან შემონახულ მელოდიებზე...

ამირან არაბული

მისი სამყარო — მისი ცხოვრების ნაწილი...

ასე რომ იფიქრო, იაზროვნო და წერო უწვალებლად, გარდა განათლებისა, სიტყვით ხატვის ის ღვთისმიერი მადლიც უნდა მოგდგამდეს, რასაც თანდაყოლილი ნიჭიერება ჰქვია.

დროის მსახვრალ ხელს, სამწუხაროდ, ბევრი რამ ეწირება დღევანდელ საქართველოში — მათ შორის, სიმდიდრე და ნაირფეროვნება დიალექტებისა, რომელთა დასახიჩრება არაორაზროვანი ნიშანია ერის სასიცოცხლო ენერგიის თანდათანობითი კლებისა და ამოწურვისა...

ზურაბ შევარდნაძის ესკიზების, ნოველებისა თუ მინიატურების სხვა არაერთი ღირსების გვერდით აღსანიშნავია მკაფიოდ „მარკირებული“ ენობრივი ქსოვილი, რომელიც გურული დიალექტის ისეთ ფორმებს ინახავს და ათვალსაჩინოებს, იშვიათადღა რომ გაიგონებთ ამ კუთხის მკვიდრთა ზეპირ მეტყველებაში. ესაა გავლენებისაგან აბსოლუტურად თავისუფალი, ახალი მხატვრული სინამდვილის ქმნადობის მკაფიო სტილი და მანერა, ბეწვის ხიდზე სიარულთან რომ ასოცირდება მიწიერ განზომილებაში და ავტორისაგან დიდ სიფრთხილესა და ზომიერებას მოითხოვს...

ზურაბ შევარდნაძემ, ძირითადად, მშობლიური სოფლიდან და დედულეთიდან ჩამოიტანა ის ხელუხლებელი, დღემდე სიღრმისეულად მოუხილველი საგნობრივი სამყარო, რომელიც არაა ორიენტირებული სენსაციების მოყვარულ მკითხველზე. ეს სამყარო გულისხმობს მკითხველთა (და არა გალაკტიონისეულ „გადამკითხველთა“) კატეგორიას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ნებისმიერი კუთხე და ამ კუთხეების ათასწლოვანი სულიერი კულტურა...

„მე არცერთ კილოს არ ვწუნობო...“

ვაჟას პრინციპული პოზიციის გამომხატველ ამ სადა სტრიქონში ბევრად მეტია ნათქვამი და ნაგულისხმევი, ვიდრე ეს მის ზედაპირულ აღქმაში შეიძლება ჩანდეს.

ენის წიაღში ხომ ის უზღვავი, ამოუწურავი პოტენციალი თვლემს, რომლის „გამოღვიძება“ სიტყვიერი ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების დაბადებას აძლევს დასაბამს. და ეს ხდება შემოქმედებით პროცესში ქვეცნობიერის მონაწილეობით, თითქოსდა თავისთავად, რისი „გაშიფვრაც“ ლოგიკის ენაზე, ხშირ შემთხვევაში, წარმოუდგენელია...

* * *

„ვიგონებ და ვწერ, და მეც აღარ მჯერა, რომ ეს იყო?“

მეხსიერებამ დავიწყების დინებებს ბევრი რამ გამოსტაცა და შემოინახა; შემოინახა და სიტყვის ძალით (ხალხური ლექსისა არ იყოს — „დაიძრან სიტყვის ძალითა დახავსებულნი ქვანიო...“) მარადისობის ნაწილად აქცია. ნისლიან ჰორიზონტზე, დრო და დრო, მონატრებული სახეებიც ჩნდებიან და სილუეტებიც, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა ათწლეულების ქარიშხლებშია გამოცდილი და გამოტარებული.

ზურაბ შევარდნაძის გმირები (ვერ ვიტყვი, რამდენად სწორია „გმირებად“ მათი სახელდება), ბრიგადირი იქნება ის, თუ ექიმი, მეველე ანდა მეწისქვილე, მყარად დგანან თავიანთ საარსებო სივრცეში და მოუწყინარი ფუსფუსით, გარჯით და აქტიური ქმედებით იქაურობას ავსებენ და ალამაზებენ. ესენია სოფლის „მადლნი და მარილნი“, უნარიანად რომ უძღვებიან მათზე გაპიროვნებულ ყოველდღიურ საქმიანობას და კონკრეტულ სოფელს, უბანს, სახლსა და ეზო-კარს არსებობის სიხარულს უხანგრძლივებენ.

ნოველებში ცხადლივ იკითხება ბუნებისა და ადამიანის განუყოფელი ერთობის ძალა და მადლი. იგრძნობა მზრუნველი დამოკიდებულება შინაური ცხოველებისა და მცენარეებისადმი. უსულო საგნებს ესმით კაცთა მოდგმის სატკივარი და ჭარბად იმეტებენ მისთვის საჭირო წამალსა თუ მალამოს... და ეს ყოველივე ხაზგასმულ სიმძაფრეს იძენს იმ შემოქმედის ლიტერატურულ მედიტაციებში, ვინც ამჟამინდელ საქართველოში ყველაზე უკეთ იცნობს ბალახის, ხისა და ყვავილის იდუმალებით მოცულ ცხოვრებას...

მშობლიურობის უცნაური განცდით არიან გარემოსილნი ზურაბ შევარდნაძის თვალთახედვის არეში მოქცეული ღჯაის ლობიო და ხვიარა ვარდი, კვაჭიჭა მსხალი და წითელფოთოლა ტყემლის ხე, ხეჭეჭური და დემირა ვაშლი, თხელკანიანი ხაპი და ფორჩხის კიტრი, ცერცვი და ნიახური, პრასი, ზაფრანა და გულა პამიდორი.

მიწიდან ამოჟოჟინებულ მცენარეებთან სამისდღეშიო სიახლოვე ულევი სიხარულისა და, შეიძლება ასეც ითქვას, ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელია. ზურაბ შევარდნაძის ღვაწლის მცოდნეთათვის არაფერია უჩვეულო გარემოსა და ადამიანის ამ ორმხრივ ურთიერთობაში, და პირმეტყველ პერსონებსაც ისევე ახარებს ათასი ჯიშის ხე-მცენარეთა სიჯანსაღე და მსხმოიარობა, როგორც ამ უკანასკნელთ მზის სხივი და ცის მაცოცხლებელი ცვარი...

და მეჩვენება, რომ მთელი ირგვლივეთი კვარის სუნით და ადესის სურნელით არის გაჟღენთილი...

ნოველურ სიუჟეტებში წარმოდგენილი ცხოვრებისეული სინამდვილე იმდენად ხატოვანი და ხიბლიანია, სამუდამოდ გებეჭდება მეხსიერებაში და უჩვეულო გარემოში მოხვედრილი არც ცდილობ ემოციურობის აღმავალი ნაკადისაგან თავის დაღწევას.

ავტორი დაუვიწყარი ბებიების სრულიად უნიკალურ სახეებს ხატავს. ჯერ მარტო მათი სახელები რად ღირს: ბულბულო, ხატულიე, უმანკო, აღათი, დუდანა... და მათ სათავეში ვხედავთ საკვირველ ესმა ბებიას, ასკანელი თალაკვაძის ქალს, „პირგამეხებულმა“ რომ გააცილა ომში ოთხი ვაჟიშვილი და მათი უკან დაბრუნების მოლოდინში წლობით ატარა გულზე დაკიდებული ნახვრეტიანი რიყის ქვა... და კიდევ მერიკო ბებია, დაწყებით განათლებამიღებული დამრიგებლობითი ხასიათის უდახვეწილეს წერილებს რომ უგზავნის დედაქალაქში მყოფ თავის შვილიშვილს...

გურიის რამდენიმე ტრადიციული სოფლის მაგალითზე ვეცნობით შორეული წარსულიდან მომდინარე სახალხო რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებს („ფერხვა“ და „ფეხადობა“, წყევლა და შელოცვა, წითელა ბატონების მომხიება და მოოხება), რომელთაც დღეს, დესაკრალიზაციის ეპოქაში, დანიშნულება დაუკარგავთ და დროში გაშეშებულ უფუნქციო რელიქტებად გადაქცეულან.

ზურაბ შევარდნაძის ნოველებსა და სხვა მცირე ჟანრების კოლორიტულ კრებულში არაერთ ეთნოგრაფიულ ფაქტსა და რეალიას აღმოვაჩენთ, რომელთა აღნიშვნა, ცხადია, შესატყვისი ლექსიკური ერთეულების მეშვეობით ხდებოდა. ხოლო დღეს... იკარგება ცხოვრების ცალკეული მახასიათებლები და, ამისდაკვალად, დავიწყებას ეძლევა უაღრესად მრავალფეროვანი დარგობრივი ლექსიკა. ვეჭვობ, ბევრმა იცოდეს ისეთი ცნება-ტერმინების მნიშვნელობა, როგორებიცაა: ჩელტი, შანთი, ტკეჩი, საძირე...

ზურაბ შევარდნაძე არა მხოლოდ მწერლური ზნითა და თვისებებით არის გამორჩეული, ის, იმავდროულად, ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის „უნარ-ჩვევებითაც“ გახლავთ დაჯილდოებული (გარდა იმისა, რომ ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“, მაგიური პოეზიის ისეთ უბანშიაც ლაღად გრძნობს თავს, როგორიცაა ხალხური შელოცვები და გამოლოცვები)...

„რა უცნაურია, ბავშვობისდროინდელ ავადმყოფობასაც რომ სიამოვნებითა და სიხარულით ვიხსენებთ.“

მახვილი დაკვირვება და ზუსტი ფორმულირებაა, გონიერ გამგონს საკუთარი სიყმაწვილის ფერადოვან წლებს რომ გაახსენებს და წარმოსახვაში კიდევ ერთხელ მოატარებს იმ გზა-ბილიკებს, რომელთა გადავიწყება, უბრალოდ, შეუძლებელია.

გურიის ზამთრის ზურაბ შევარდნაძისეულმა ვარიაციებმა შესაძლოა რეზო ინანიშვილის შეუდარებელი ზამთრებიც თვალწინ გაგიფინოს და ელენე ახვლედიანის ფერწერული ტილოებიც წამოგაგონოს, თუმცა მთელი რიგი თავისებურებებითაც განსხვავდება მათგან და ამას ალღოიანი მკითხველი დამოუკიდებლად, ჩვენ ჩაურევლადაც იოლად მიხვდება.

ნაადრევად ჩამოთეთრებული საყორნია, გომის მთა და ბახმარო ის გეოგრაფიული ორიენტირებია, ყველაზე ადრე რომ აგრძნობინებენ ადამიანს წელიწადის დროთა შეუქცევადი ცვლის კანონზომიერ პროცესებს. და დაუვიწყარი სხვაც ბევრი რამეა, იქნება ეს ნადი, სახურავების გადმოთოვლა, ბურდღის წეწვა თუ გიდლებისა და გოდრების წვნა, ჩელტებისა და საღობავების კეთება...

ჭანჭათლებითა და მეწიეთლებით, აკეთლებით, ბასილეთლებითა და მთისპირლებით დასახლებულ დიდ სოფელ-ქვეყანაში მომხდარი ამბები მხატვრული განზოგადების შეუზღუდავ პერსპექტივას აჩენს და ნიჭიერი მესიტყვის თითებში იმ დამყოლ ცვილად გადაიქცევა, იქაურთა სახეხასიათების მარჯვედ ჩამოძერწვაში რომ უწყობს ხელს.

შინაგანად შეგძრავს საქციელი ნინელისა, ლომთათიძის ქალისა, წლების განმავლობაში წვეთ წყალს რომ არ ჩაუშვებს პირში და ტრაგიკულად დაღუპულ (ბლის ხიდან ჩამოვარდება და იქვე დალევს სულს) მწყურვალ შვილზე მგლოვიარე ამგვარად გამოხატავს პირადადამიანურ ტკივილსა და უზომო მწუხარებას.

და შეუძლებელია ამ ლოკალურმა ამბავმა არ გაგვახსენოს ნინელის სულიერი დისა თუ დობილის — ანონიმი მთიელი ქალის — ქმედება, შავით შემოსილი არაგვის პირას რომ განმარტოებულა და სულზე უტკბესი ვაჟიშვილის მომტაცებელ მდინარეს ასე უხდის სამაგიეროს: „სხვას კი რას გამოგაჯავრებ, წყალო, არ შაგსომ, ტიალო!..“

* * *

ზურაბ შევარდნაძე ზედმიწევნით იცნობს მთიანი აჭარის ისტორიას და დღევანდელ ყოფას. იცის მათებური მეტყველება და ენობრივი მიმოხვრის ნიუანსები. ჰყავს მეგობრები ღორჯომის ხეობაში და უყვარს მათ ოჯახებში სტუმრობა: გვერდში უდგას დიდად ტანჯული მხარის შვილებს და წრფელად იზიარებს მათ ლხინსა და მწუხარებას...

კითხულობ „ბახმაროს“, „შერგებულ ცხოვრებას“ და ფიქრობ: ჩვენ რიგიანად ჯერაც არ ვიცნობთ ჩვენი მთიანი აჭარის გაუნელებელ სატკივარს, მათი ცხოვრების წესსა და სარწმუნოებრივ ორიენტაციას, რაც, ბუნებრივია, უნდობლობას აღრმავებს, იწვევს გაუცხოებას და გვავალდებულებს, სწორად განვსაზღვროთ გარკვეულწილად განცალკევებული მხარის მომთაბარე მოსახლეობასთან ურთიერთობის ძირითადი პრიორიტეტები...

„სტუმარს ღმერთი გვიგზავნის, დეიღალო ღმერთის მსახურებაში, შეიძლება განა?!“

ამ ალალი სიტყვების წარმომთქმელთა მგრძნობიარე გულში კაცთმოყვარეობისა და უშურველობის ისეთი ცეცხლი ბრიალებს, წამისუმალ რომ შეუძლია ხელოვნურად შექმნილი ყოველგვარი ყინვა-ყიამეთის გაფანტვა და გაცამტვერება...

* * *

ისევე, როგორც ზურაბ შევარდნაძის გარდენიაში, მის ამ წიგნშიაც უცხო ფერისა და მათრობელა სურნელის „გასაშტერრო“ ყვავილები ხარობენ; ყვავილები, რომელთაც ბრძენი და გულთმისანი ხოგაის მინდია მოსაწყვეტად ვერ იმეტებდა...

ივანე ამირხანაშვილი

„ჰოი, დაკარგულო!..“

სხვა იყო ის დრო, 1970-1980-იანი წლები, როდესაც ამერიკა წარმოსახვაშიც კი ძალიან შორს იყო ჩვენგან, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს ძალიან შორი მანძილი რაღაც სხვა, არაბუნებრივი განზომილებიდან იყო, რადგან ამ სიშორეში სიახლოვეს ვგრძნობდით. სიშორის სიახლოვეს ძირითადად ლიტერატურა ქმნიდა, აყალიბებდა, ძერწავდა თავისი სურათ-ხატებითა და ილუზიებით. მარკ ტვენი, ედგარ პო, ფოლკნერი, ჰემინგუეი, ფიცჯერალდი, მელვილი და თუნდაც ერნესტ სეტონ თომპსონი საკმარისი იყო იმისათვის, რომ თავი „ამერიკანისტად“ გეგრძნო. მით უმეტეს, თუ ჟურნალ „ამერიკასაც“ კითხულობდი შიგადაშიგ.

ეს იყო ჩემი პირადი ამერიკანიზმი. რა თქმა უნდა, იყო როკ-მუსიკაც და თანაც როგორ, მაგრამ ამ სფეროში პასიური მსმენელის დონეს ვერ გავცდი და ვიცოდი მხოლოდ ის, რასაც ლექციებს შორის შესვენებებზე მიყვებოდნენ ჩემი კურსელები: კახა, გიგლა, ზაზა. ამიტომ მეტ-ნაკლებად მესმოდა ის, რასაც ქადაგებდნენ პოპის მქუხარე სახის რაინდები — ელვის პრესლი, ბობ დილანი, სტივ ვონდერი... ან ჯგუფები: „ბითლზი“, „დი ფარფლი“, „ლედ ზეპელინი“, „იგლზი“, „ემერსონი, ლეიკი და პალმერი“ (უკაცრავად, ტრანსკრიფციულ ერესში გადავვარდი. არათუ დღეს, იმ დროსაც კი არავის მოუვიდოდა აზრად, ქართულად დაეწერა როკ-ჯგუფების სახელწოდებები ან სიმღერების სათაურები — მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურად!).

რეიგანის პრეზიდენტად არჩევიდან ცოტა ხანში ოკეანის გაღმეთი კიდევ უფრო მოახლოვდა, თანდათან იხსნებოდა და იკვეთებოდა შტატების გეოგრაფიული, პოლიტიკური და ყოფითი კონტურები, მაგრამ ჩემთვის ეს ყველაფერი ილუზია იყო იმასთან შედარებით, რაც მოულოდნელად, უცაბედად, ერთბაშად დავინახე თომას ვულფის რომანში „შინ ვერ დაბრუნდები“. მგონი, 1982 წელს იყო გამოცემული მოსკოვში. ეს რაღაც სხვა პროზა იყო, უცხოობით მახლობელი, გასაგები, უბრალო, ადამიანური და, ამავე დროს, რთული. უამრავ პასუხგაუცემელ შეკითხვას გიტოვებდა, გაბნევდა, გაეჭვებდა, თავბრუს გახვევდა. სხვათა შორის, ბოლომდე წაკითხვა ვერ მოვასწარი. თამაზ ბაძაღუამ მთხოვა ჩვეული აღტყინებით, უარი ვერ ვუთხარი. მივხვდი, მას უფრო მეტად ესაჭიროებოდა ამ რომანის წაკითხვა. შემდეგ თამაზს ჯერ გიორგი ნიშნიანიძისთვის ეთხოვებინა, მერე გოგი მაჭუტაძისთვის, ბოლოს რომელიღაც ქალბატონისთვის, რომელიც მთარგმნელთა კოლეგიაში მუშაობდა, და დალია კიდეც ჩაილურის წყალი, ჩაიკარგა, გაუჩინარდა, გაქრა ის საკვირველი წიგნი. მერე თამაზიც გაქრა, სულკურთხეული, წავიდა დიდ სოფელში. საჯარო ბიბლიოთეკაში ჩავამთავრე დარჩენილი ნაწილი. შემდეგ რუსულ კატალოგებში სხვა რომანიც მოვძებნე, გამოვიწერე, წავიკითხე. ეს იყო დღეს ჩვენში საყოველთაოდ გახმაურებული და მაშინ ნაკლებად ცნობილი — „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო“.

თამაზ ნატროშვილს ეს რომანი სწორუპოვარ შედევრად მიაჩნდა. საერთოდ, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში თომას ვულფი „შინაურ“ კალმოსნად ითვლებოდა. 80-იანების მიწურულიდან მახსოვს საუბრები გუდიაშვილის მოედანზე, ლურჯაივნიან სახლში, ზამთრის ცივ დღეებში, თამაზ ბიბილურის ოთახში, ელექტროქურასთან. ათას თემას რომ შევხებოდით, ბოლოს მაინც წამოიჭრებოდა მთავარი — ვულფი, მისი ორი რომანი და აუცილებლად მაქს პერკინსი, მწერლის მეგობარი და რედაქტორი, რომლის ჩარევის გარეშე ხსენებული წიგნები დაკარგავდა ბრწყინვალებას.

მაშინ თომას ვულფის არცერთი რომანი არ იყო ქართულად თარგმნილი და რას წარმოვიდგენდი, რომ გამოხდებოდა ხანი და ჩვენთვის საკულტოდ ქცეულ წიგნს თარგმნიდა მაშინდელი დისკუსიების ერთერთი მონაწილე — ნინო ქაჯაია!..

რატომღაც მგონია, რომ ნინომ ეს საქმე იტვირთა როგორც ვალი და ვალდებულება იმ მშვენიერი დრო-ჟამისა და იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან, მაგრამ კვლავ არსებობენ ცხოველმყოფელ დროში, რომელიც თვითონვე შექმნეს ჩვენ თვალწინ, ჩვენთვის, ჩვენისთანებისთვის.

გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2019 წელს გამოსცა ეს წიგნი: თომას ვულფი, „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო. დამარხული ცხოვრების ამბავი“, ინგლისურიდან თარგმნა ნინო ქაჯაიამ (ბედნიერი დამთხვევაა თუ სიმბოლური გამართლება: იმავე წელს „არტანუჯმა“ გამოსცა თომას ვულფის „შინ ვეღარასოდეს დაბრუნდები“. მთარგმნელი — თაკო ჭილაძე).

ეს თითქმის 900-გვერდიანი წიგნი არის მოვლენა, როგორც ჭეშმარიტი ლიტერატურის ნიმუში, როგორც ჰუმანიზმის იდეის მატარებელი და როგორც ოსტატურად შესრულებული თარგმანი. კითხულობ, ხედავ, განიცდი ამერიკელი ბიჭის ამბავს, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ იქ მოხდარიყო, სადაც მოხდა, მაგრამ, ამბის მაგია ისაა, რომ მას შეიგრძნობ, როგორც თავისას, შენეულს, ღრმად სუბიექტურს. უცნაური მწერალია თომას ვულფი. მასში ყველაფერი ერთად არის მოქცეული — კლასიკა, მოდერნი, აკადემიზმი, დრამატიზმი, ლირიზმი, ტრაგიზმი, რაციონალიზმი, იუმორი, ინტელექტი, ემოცია, რეფლექსია, მისტიკა. თარგმანში რასაც ვხედავთ, ეს ის არის, რომ აღნიშნული სიჭრელე სტილურ თანაბარზომიერებამდეა დაყვანილი, რასაც ერთგულად ემსახურება მწყობრი სინტაქსი, ჰარმონიული ფრაზა, თავშეკავებული, ალაგ-ალაგ აჩქარებული, რიტმი.

თომას ვულფისგან ვიცით, რომ ეს არის ყველაზე ავტობიოგრაფიული რომანი მის შემოქმედებაში. თვითონაც რომ არ გაემხილა, ისედაც აშკარაა, რომ სამხრეთის ქალაქ ალტამონტში მცხოვრები ბიჭის თავგადასავალი მისი ავტორეფლექსია, სიცოცხლის წიგნი, „დამარხული ცხოვრების ისტორიაა“, რომელიც ალბათ მარტო პიროვნულ-სუბიექტური მოვლენა არ იყო, ის მოვლენებიც აისახა, რაც ხდებოდა მის მშობლიურ ქალაქ ეშვილში — სადაც დაიბადა 1900 წლის 3 ოქტომბერს — მასაჩუსეტსის შტატში, ჰარვარდის უნივერსიტეტში, მისი იქ სწავლის დროს, ნიუ იორკში, მთელ ამერიკაში; ეკონომიკური აყვავების ექო, საბაზრო კრახი, ფსიქოლოგიური პრობლემები... თუმცა ალბათ საგულისხმო არაფერია იმ ფაქტში, რომ რომანი დაასრულა 1929 წელს, როდესაც დაიწყო სრულიად ამერიკის სიმტკიცის გამოცდა, „დიდი დეპრესია“.

იუჯინ გრანტის დაბადება და ცხოვრების გზა თხრობის ხაზოვანი მანერით არის გადმოცემული, თუმცა საბოლოო ჯამში ეს არის თომას ვულფის თვითანალიზი, რეფლექსია, საკუთარი „მე“-ს ძიება და პიროვნების სტრუქტურის შემდგომი ფსიქიკური ინსტანციის — „ზე — მე“-ს აღმოჩენა, მშობელთა და ოჯახის წევრთა ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი ზნეობის, მორალის, სინდისის სფერო, არაცნობიერისა და ცნობიერის შეჯახების ადგილი.

სამყარო იბადება მაშინ, როდესაც ამქვეყნად ჩნდება იუჯინ განტი — 1900 წელს. ახლად გახელილი თვალებითა და რეცეპტორებით აღქმული საგნები იწყებენ მოძრაობას, ქვეყნიერება ახლიდან იქმნება, შესაქმე წარმოუდგება, გამოუჩნდება, გამოეცხადება გაუცნობიერებელ თვალს. ალბათ იშვიათია, ან შეიძლება სხვაგან არც არსებობდეს მსგავსი რამ: საგნებით მეტყველი ყოფიერება. საგნები, საგნები, საგნები... ისინი ქმნიან სამყაროს. და მოვლენებსაც, რაღა თქმა უნდა, რომლებიც ართულებენ არსებობას, აღრმავებენ და ამძაფრებენ გაუცხოებას, გულმოსულობას, აკვიატებას, უთანხმოებას სამყაროს მიმართ, სამყაროსი, რომელსაც დაბადებიდანვე ეკარგება, გაურბის იუჯინი და ეს არის მთელი არსებობის სქემა, გეგმა, ხასიათი.

პირველი ნაწილის ეპიგრაფი, უკიდურესი ეგზისტენციალური განცდით დაწერილი, ხაზგასმით გამოკვეთს დაკარგულობის მოტივს: „ჰოი, დაკარგულო, ქარისაგან გამოგლოვილო აჩრდილო, დაგვიბრუნდი“. ეს ფრაზა არაერთხელ გაისმის როგორც სასოწარკვეთილებისგან თავდაცვის პოეტური ზარი, ფილოსოფიური მოთქმა. გაისმის მაშინაც, როდესაც გარდაცვლილი ძმა, ბენი, გამოეცხადება და ეკითხება: „სად, ბენ? სად არის სამყარო?“ პასუხი იცის, მაგრამ უნდა, ის სამყაროს გარედანაც მოისმინოს: „არსად, სამყარო შენ ხარ“. იმიტომ არის მარტო. სამყაროს ნიშანი ხომ მარტოობაა. მარტოა დედა, მამა, ძმა, და, ყველა, ვისაც ხვდება ცხოვრების გზაზე. ის მარტოა იმ დროსაც, როდესაც სანუკვარ ლორა ჯეიმზთან არის, ბედნიერების მწვერვალზე იმყოფება და არ იცის, რომ ლორა დანიშნულია და თხოვდება.

ცხოვრება მომდურავივით ჩაუვლის მისი მარტოობის სამყოფელს. ოჯახური უსიამოვნებები, ღია შთაბეჭდილებები, ძმის, გროვერის, გარდაცვალება, მუშაობის დაწყება, ფოსტალიონობა, მარგარეტ ლეონარდის გაკვეთილები — პოეზიის მჩქეფარე ღვინის ჭაშნიკი, „ხმა იდუმალი“ ამერიკულად, უნივერსიტეტი — დაბნეულობა, დათრგუნულობა, ტკივილი, მარცხი პირველივე კურსზე. ფსიქოლოგიური კომპლექსები. ეჭვი, გაუბედაობა, შიში. ჯონ ტრივერტს ქალებში მიჰყავს, ის დგას და საკუთარ თავს ემშვიდობება. პატიოსნება ყველაფერში ხელს უშლის, ისევე, როგორც სიმაღლე — ექვსი ფუტი და სამი დუიმი. ეს 190 სანტიმეტრი გადაულახავი მანძილით აშორებს ადამიანებს, საზოგადოებას, რაღაცნაირად თავის თავსაც; ხედავს და განიცდის, როგორ ბერდებიან მშობლები, როგორ უახლოვდებიან სიცოცხლის ჰორიზონტს, როგორ იკრიცება სამყარო, როგორ უბრალოვდება ცხოვრება, როგორ ეჩვევა სამყაროს — დასაკუთრებულსა და მესაკუთრეს. „ეცადე, ბედნიერი იყო, შვილო“ — ეუბნება დედა. უფრო გული ეუბნება დედისა. თუმცა სულერთია. ბედნიერება ხომ არ არსებობს. არ არსებობს ბედნიერი მიწა, ამას ბენის აჩრდილი ამბობს. არ არსებობს არკადია. ყველაფერი ილუზიაა. არსებობს ტკივილი, წარმავლობა, ამქვეყნად ყოფნის სევდა. იუჯინს თავი მაჯლაჯუნა ჰგონია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მთელი სამყარო თავის თავში წარმოიდგინოს და ყოფნაში გააერთიანოს ორი არყოფნა: არყოფნა დაბადებამდე და არყოფნა გარდაცვალების შემდეგ. დაბადებამდეც რაღაც მოქმედებს ადამიანზე. ამის თქმა უნდა დედას, მაგრამ ვერ ამბობს, ვერ უმხელს შვილს: „შენს დაბადებამდე... შენს დაბადებამდე...“

დაბადებამდე ქარებს ვეხლებით,
რკინის კარებს და ქარის წისქვილებს
და მიარწევენ ჩვენი ფეხები
ცოდვას, რომელიც გამოისყიდეს
დაბადებამდე...

ეს ლექსი თამაზ ბაძაღუამ თომას ვულფის რომანის წაკითხვამდე დაწერა. იყო, როგორც ჩანს, მათი შეხვედრა დაბადებამდე. არ ვაჭარბებ. უბრალოდ, აღვნიშნავ „შეხვედრის“ მიზეზს: სიცოცხლის საზრისთან ორივე ძალიან ახლოს მივიდა, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან — თამაზი პოეზიაში პროზაიზმების შერევით, თომას ვულფი პროზაში პოეტიზმების შერევით.

იშვიათია პროზა, პოეტიზმები არათუ არ აზარალებდეს, არამედ აძლიერებდეს და ამთლიანებდეს. რომანის ეს მოტივი ნინო ქაჯაიას ისე გადმოაქვს, რომ მთავარ ხაზს ბუნებრივად შეურწყას, არ იყოს რეტუშირებული, რათა არ გამოიწვიოს დისბალანსი თხრობის კომპონენტებს შორის.

„გაიღვიძე, ოღონდ წყვდიადში გაიღვიძე, აჩრდილებს მიყურადებულო ბიჭო. გაიღვიძე, ჰოი, ჩვენში ჩასახლებულო ლანდო...“

„მთვარე უკვე ამოსულიყო და საკუთარი აჩრდილივით ეკიდა მოწმენდილ, კრიალა, საღამოს ცაზე...“

„მთებში ამოდი, ჰოი, ჩემო ჭაბუკო სიყვარულო. დაბრუნდი! ჰოი, დაკარგულო, ქარისაგან გამოგლოვილო აჩრდილო, კვლავ მოდი ჩემთან, მოდი ისეთი, როგორიც პირველად შეგიცანი დროის მიღმა გაშლილ ველზე...“

არის თარგმანში დეტალები, რომელთა მსგავსი საშუალებები გამოცდილი მთარგმნელის ხელში მარგალიტია, გამოუცდელის ხელში კი — უმართავი ნაღმი. ეს არის ქართული, „ავტოხთონური“ ფრაზეოლოგიზმების გამოყენება. ცხადია, ასეთი ფიგურები საერთო ფონზე უაღრესად თვალშისაცემ, მკვეთრად გამორჩეულ დეტალებად მოჩანს. მაგალითად: „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს“; „მაგის ხნის ქვა აღარ დაგორავს“; „რაკი შენ იტყვი“; „ერთხელაც დაიძახებ, მგელი, მგელიო და აღარავინ დაგიჯერებს“. მთარგმნელი ბეწვის ხიდზე გადის, იუველირის სიზუსტით მუშაობს და ამ გამოთქმებს უძებნის ისეთ კონტექსტებს, რომ სინტაქსური ქსოვილი ბუნებრივად, თანაბარზომიერად, ჰარმონიულად იღებს ერთი შეხედვით უცხო ფაქტურას. ერთადერთი თვალშისაცემი წინააღმდეგობა, რაც თარგმანში შეინიშნება, ეს არის ცნობილი გრამატიკული ნიუანსი — ირიბობიექტური პირისა და მრავლობითობის აღმნიშვნელი „თ“ ასო-ბგერისთვის გადაჭარბებული ნდობის გამოცხადება, რასაც სტილურ დარღვევებამდე მივყავართ. მაგალითად, ფრაზაში „მთავარმა კონტროლიორმა აიყვანათ სამსახურში“, „თ“ ზედმეტია, ხოლო იქვე გამოყენებულ ფრაზაში „ბოლო გროშიც გაუქრათ“ — ბუნებრივად აუცილებელი. თუმცა ეს ზღვაში წვეთია იმ ტიტანურ შრომასთან შედარებით, რაც ნინო ქაჯაიას გაუწევია თომას ვულფის რომანის ქართულ ენაზე გადმოსაღებად, გადმოსატანად, გადმოსაცემად. იოლი არ არის ესოდენ პოლიფონიური ნაწარმოების თარგმნა. და ნინომ შეძლო ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ასეთ შემთხვევაში — დაიცვა, უფრო სწორად, შექმნა ტექსტის მთლიანობა. ამიტომ იკითხება რომანი ხალისით, ინტერესით, მოუწყინებლად. ტექსტის ზედაპირს სხვადასხვა ფაქტურა აყალიბებს: ცვალებადი რიტმი, რთული და მარტივი წინადადებების ზომიერი ნაზავი, რიტმული საყრდენების გადატანა ზმნებიდან ქვემდებარეებზე და პირიქით. სიღრმე — უცვლელია, მთლიანია, სტაბილურია, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება რომანის იდეისა თუ იდეების გამოხატვას. ჩემი აზრით, მთავარი იდეა, მთავარი საზრისი არის მარტივი და თან გრანდიოზული — დრო-სივრცის გაერთიანება ადამიანში. რომანის ფანტასმაგორიული დასასრულიც ამას მიგვანიშნებს, აკადემ-სტრიტის კუთხეში, მოედანზე ჩაივლიან აჩრდილები, მთელი არმიები დაბადებული და დასაბადებელი ადამიანებისა. ყველაფერი, რაც მომხდარა ისტორიაში, ამერიკაში იყრის თავს. სამყარო ერთია, ერთი დროა, ერთი სივრცეა, სადღაც ძველ საბერძნეთში, კრეტაზე რომ დაიწყო სიყვარული, გუშინ ამერიკაში, ტეხასში დამთავრდა.

ტყუილად არ უწოდებენ კრიტიკოსები თომას ვულფს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე „ამერიკელ“ მწერალს. დიდები არიან შერვუდ ანდერსონი, უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, მაგრამ თომას ვულფი სხვა არის. ის შეიძლება ძალიან დიდი არ არის, მაგრამ არის ძალიან ღრმა, ამერიკულ სულში ჩაძირული, და ამ „დაკარგული თაობის“ მწერლებიდან ყველაზე „დაკარგული“. სწორედ დაკარგულ ბიჭს ჩასჩურჩულებს დედა, უნდა ვეცადოთ, ერთმანეთი გვიყვარდესო, მაგრამ ამაოდ, სიყვარულიც დაკარგულია...

იგორ პომერანცევი, ბრიტანელი რუსულენოვანი პოეტი, მწერალი და რადიო-ჟურნალისტი, 1948 წელს ოდესელი სამხედრო ჟურნალისტის ოჯახში დაიბადა. 1978 წელს გერმანიაში ემიგრირებამდე ცხოვრობდა ჩერნოვცში, 1983 წლიდან კი დიდი ბრიტანეთის მოქალაქე გახდა.

არის BBC-ს და „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი, რედაქტორი და წამყვანი — ლექსების კრებულების, რადიოპიესების და დოკუმენტური ფილმების ავტორი.

იგორ პომერანცევი

როგორ და ვინ არ გავხდი

როცა ჩემი ტყუპი შვილიშვილები, ჯეიკობი და აიზეკი, სამი წლისა იყვნენ, ექსპერიმენტი ჩავატარე — ჯეიკობი დიდ სარკესთან მივიყვანე და ვკითხე:

— ეს ვინაა?

ჯეიკობმა დაუფიქრებლად მიპასუხა:

— აიზეკი.

მერე იმავე სარკის წინ იგივე კითხვა აიზეკს დავუსვი.

— ჯეიკობია, — უყოყმანოდ მიპასუხა.

დავასკვენი, რომ ადრეულ ასაკში ბავშვებს აბსტრაქტული აზროვნება არ ახასიათებთ. მიდი, აბა, აუხსენი, რომ სკამი ან მაგიდა ხისგანაა გაკეთებული, ხე კი ტყეში იზრდება, და სანამ ავეჯის ფაბრიკაში აღმოჩნდება, ტყისმჭრელმა უნდა მოჩეხოს ან მოხერხოს.

ნეტა, უფროსები როგორ ხედავენ საკუთარ თავს, რა ურთიერთობა აქვთ თავიანთ „მესთან“? ჩემსას და ჩემი ახლობლებისას გეტყვით, კრიტიკულ და მოულოდნელ ვითარებებს გავიხსენებ. 70-იანების მეორე ნახევარში, კიევის სუკ-ში, დაკითხვის დროს, მაიორმა მკითხა:

— თავს რუსად გრძნობთ თუ ებრაელად?

მაშინვე მივხვდი, რომ ეს, ასე ვთქვათ, მზა ყალიბია, და რომ ეს კაცი, პასუხს რომ მიიღებს, მეტყვის:

— რუსი რომ ხართ, ანუ, პატრიოტი, ათასგვარ ვიგინდარასთან რა გესაქმებოდათ?

მაგრამ მე, როგორც კარგ ოჯახში გაზრდილი ბავშვები იტყოდნენ, კომპოტში ჩავუჯვი:

— უკრაინელი ვარ.

მაიორმა ავად მომახალა:

— თავს ნუ იგდებთ.

ორი წლის მერე ცოლთან და ათი თვის ვაჟთან ერთად ვენის აეროპორტში დავეშვი — უთვისტომო და უპასპორტო მაწანწალა. გერმანელი მეგობრები შეგვხვდნენ და პანსიონში, წინასწარ დაჯავშნილ ოთახში მიგვიყვანეს. მეორე დღეს ტოლსტოის ფონდში წავედი და მოხელე ქალს ვუთხარი, რომ რუსი მწერალი ვარ და, პარიზში რომ ფეხი მოვიკიდო, ფონდს დახმარების გაწევას ვთხოვ. მოხელემ მკითხა:

— მწერალთა კავშირის წევრი იყავით?

— არა, — მივუგე მე.

— მწერალთა კავშირიდან გაგრიცხეს?

— არა, — მივუგე მე.

მეორე ოთახში გავიდა და ხუთიოდ წუთში დაბრუნებულმა მითხრა:

— უკაცრავად, ვერ დაგეხმარებით.

ასე არ მიმიღეს რუს მწერლებში. სამი დღის მერე უკვე გფრ-ში ვიყავით და სტატუსი გაგვიჩნდა: „პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლები“.

ჩემი ერთ-ერთი პირველი უცხო ქალაქი სტამბული გახდა. სტამბულში მოხვედრაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ეს იყო ქალაქი-ზღაპარი. სტამბულის აეროპორტში მესაზღვრე დიდხანს ათვალიერებდა ჩემს გერმანულ „ჟენევურ“ საბუთს, და ბოლოს ამ სიტყვებით დამიბრუნა:

— Welcome, Mister შარატოვ!

გავოგნდი. მერეღა მოვნახე ენციკლოპედიაში „სარატოვი“, და წავიკითხე, რომ თურქული წარმოშობის სიტყვაა და ყვითელ მთას ნიშნავს. სარატოვში დავიბადე, რამდენიმე თვე ვიცხოვრე და მერე მშობლებთან ერთად ჩიტაში ამოვყავი თავი (ან ევენკური, ან უიღურული წარმოშობის სიტყვაა). ასეთი აღმოსავლური საზღვარი გაუჩნდა ჩემ „მეს“.

მაგრამ, მოდი, შვილიშვილებს დავუბრუნდეთ — უფრო სწორად, მათ მამა პეტიას, რომელიც ლონდონში პიტერი გახდა. სკოლაში სწრაფად შეურჩიეს მეტსახელი: „რუსი ჯაშუში“. ვიცი კიდეც, ვინ შეურჩია. მის თანაკლასელებს შორის იყო მწერალ ფრედერიკ ფორსაიტის, ინგლისური ჯაშუშური რომანების ავტორის ვაჟი, და ბიჭმა უცებ გათვალა, რა მისიით იყო პიტერი ლონდონში ჩასული. თუმცა, მეტსახელმა არ გაამართლა, იმიტომ რომ პერესტროიკის დრო დადგა და რუსეთი მოდური გახდა. უნდა ითქვას, რომ ლონდონური სკოლა საუკეთესოთაგანი იყო, და როცა პიტერმა ედინბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა, შოტლანდიელები ცოტა ექილიკებოდნენ, როგორც „ინგლისელ იმპერიალისტს“. ერთხელ ველოსიპედით მოდიოდა და გაიგონა, როგორ მიაძახეს: „მოუსვი შენს ინგლისში!“ პიტერს უკვირდა: ზურგით ინგლისელი როგორ ამოიცნეს? — და მოუსვა, მაგრამ მოსკოვში, სადაც ევროკავშირის პროექტებზე მუშაობდა. ეგონა, აქ ხომ მაინც ჩავიკარგები და „ყველასნაირი“ გავხდებიო. ერთხელ მოსკოველ ტაქსისტთან გააბა საუბარი, და იმან მოულოდნელად თქვა: „არა, ძმაო, შენ ჩვენიანი არა ხარ.“ პიტერი გაშრა: ისევ ამხილეს როგორც ჯაშუში, ოღონდ, ამჯერად, ინგლისელი. ტაქსისტმა განაგრძო: „შენ, ძმაო, კოსტრომელი ხარ“. ამჟამად პიტერი ბრიტანელი მწერალია. ლონდონი ვაშინგტონზე გაცვალა. მაგრამ ასეთი უცნაურობა ხდება: მას მერე, რაც რუსეთი ისევ შეიჭრა უკრაინაში, ინგლისურ-ამერიკულ პერიოდიკაში პიტერის სტატიებს ცნობას უმძღვარებენ: „ბრიტანელი მწერალი. დაიბადა უკრაინაში“.

ჯეიკობს და აიზეკს რაც შეეხება, ისინი მოსკოვში დაიბადნენ. როცა პიტერმა მითხრა, ბიჭებს რა დაარქვეს, კეთილი რჩევა მივეცი: „რუსულად იაშა და იზია გამოდის. დროზე ჩაბარგდი.“ რამდენიმე თვეში უკვე ლონდონში იყვნენ. ახლა ბიჭები თორმეტის არიან, ვაშინგტონში სწავლობენ. 2022 წლის 24 თებერვალს მივიდნენ სკოლაში, და ამერიკელი თანაკლასელები კითხვით შეხვდნენ: „Are you Russians?“ მაგრამ ტყუპებმა უკვე იცოდნენ, რა უნდა ეპასუხათ: „ჩვენი მამა კიევში დაიბადა, ბებიაჩვენი კიეველია,“ — თქვა იაშამ, და იზიამ დასძინა: „შენი ბაბუა კი — Ukrainian“.

უცხო ენების მავნებლობის შესახებ

ჯერ სარგებელი ვთქვათ. მე მიყვარს ენები, რომლებმაც მიდამოს რელიეფი შეინარჩუნეს. მაგალითად, უკრაინულ ენაზე სიტყვა „დაბლობი“ ნიშნავს „ქვემოთ“. რუსული „დაბლობი“ ოდესღაც კი იჭყიტებოდა სიტყვაში „ქვემოთ“, მაგრამ ახლა ჭოგრიტითაც ვერ დაინახავ. ანდა — „სხვენი“. უკრაინულთან შედარებით, რუსული დამტვერილივითაა, თითქოს სრულად დავიწყებია თავის სპარსული, თურქული, კარაიმული წარსული. ჩეხური „ფოთოლცვენა“ (ნოემბერი) და „გაყინული“ (იანვარი), მართალია, რელიეფს არ ეხება, მაგრამ მაინც კოცონის სუნი აქვს ან ყინულივით გწვავს. უკრაინული „საგვამე“ „მორგზე“ ბევრად უფრო მრავლისმთქმელია. ალექსანდრ კუპრინის მოთხრობაში „ხორცი“ სიტყვა „საგვამე“ გვხვდება; უბრალოდ, მას სტუდენტი წარმოთქვამს, რომლის გვარიც დორშენკოა, და თავად მოთხრობა საზოგადოებას „კიევურიმა სიტყვამ“ გააცნო. აფსუსია, რომ რუსებმა „საგვამე“ და „საცხედრე“ ჩამოწერეს. ეს სიტყვები, მე მაპატიეთ, უფრო ხელშესახები იყო.

„მკვდარ სიტყვებს ცუდი სუნი ასდით“ — წერდა ნიკოლაი გუმილიოვი. და მკვდარ ენებს რა სუნი აქვთ? ზოგი იმდენად მკვდარია, რომ სუნიც არ დარჩა. ბორის პასტერნაკი ლათინურს კოკისპირულ წვიმას ადარებდა. მაშ, ლათინურს პულსი ჯერაც ესინჯება, ბატარეა არ დამჯდარა, ენას ჯერაც ბნკენს. რასაკვირველია, „მკვდარი ენები“ ტროპია: გასახიერება, ანუ, მეტაფორის სახეობა. ოღონდ რამდენად მკვდრები არიან? მთლად გაცივდნენ? და რატომ არ უვარდებათ ის ბერძნული თუ რომაული ცხვირები? სად მარხავენ? საფლავებში (იხ. დაფლა) და სამარეებში (იხ. მარად), ყორღანებში (იხ. თურქ. ციხე-სიმაგრე) და ნეკროპოლებში (იხ. ვ.ხოდასევიჩი), ჩვენში, ჩვენს მეხსიერებაში. აქ შეუძლიათ მკვდრის ძილით ეძინოთ, ერთიმეორეზე დაწყობილებს, როგორც ნეშტებს ძველი ებრაული სასაფლაოს მრავალშრიან საფლავში. ზოგჯერ სიზმარში გვაკითხავენ, მოგვძახიან, გვაჯავრებენ. ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, არსაიდან, ლინგვისტურ უნიკუმებს ადგებიან ბაგეზე. და მაშინ ფილოლოგები თავს იმტვრევენ: რა ენაზე ლაპარაკობს უნიკუმი, ხეთურად თუ აქადურად? ენების წმინდა ნაწილების მცველები ფუნდამენტალისტი კლერიკალებიც არიან. ისინი საუკუნეების განმავლობაში ბუტბუტებენ ლოცვებს დიდი ხნის დავიწყებულ ენებზე და ჯიუტად არ უთიშავენ წვეთოვანს. რა იცი, რა ხდება. პრეცედენტები ხომ ყოფილა. კიდევ, არსებობენ პროფესორის ლაბადიანი ახირებულები. თავიანთ მანტიებში გახვეულები ენების ნანგრევებზე ცხოვრობენ, ლურსმულით დაფარულ ბასრ ნამსხვრევებზე სძინავთ და თითებით ლერწმის სტილუსი აქვთ ჩაბღუჯული.

გადახვევით დავიწყე, იმიტომ რომ სიმართლის თქმას ვერ ვბედავ. დიახ, მე მაინტერესებს ლიტერატურა, რომელსაც თამამად შეგვიძლია, „მკვდარი“ ვუწოდოთ, იქაა ჩემი ადგილი. ასეთი ლიტერატურა თითქმის ას პროცენტს შეადგენს იმისა, რაც კი დაწერილა. მე ეს, რა ხანია, მაინტერესებს. ერთხელ მოთხრობაც კი დავწერე — „ცალი ფეხით ნეშომპალაში“. რა ნეშომპალასაც ვგულისხმობ, გასაგებია. ვგრძნობ, როგორ ვეფლობი მასში მთელი ჩემი ემოციურად შეფერადებული სიტყვებით, გრამატიკული კურვატურებით, ინტონაციური გლოსარიუმებით. ჩემს სიტყვებს ფუნის სუნი აქვს. სხვა ენებზე წერა ვცადე, თუმცა ამ ფუნის სუნს ვერსად წავუვედი. ცხვირზე თითები მოვიჭირე, მაგრამ ეს არ მშველის. საქმე იქამდე მივიდა, რომ მე თვითონ არ შემიძლია საკუთარი ტექსტების გახსენება, იმიტომ, რომ მათზე გული მერევა. სამოცდაათს გადავაბიჯე, და კიდევ ერთი ენის სწავლას კი შევძლებდი. ხომ არ მეცადა? მაგრამ ამას რაც მოჰყვება, ვიცი.

უხსოვარ დროს ლონდონში ბი-ბი-სიზე ვმუშაობდი. ამ სამსახურს External Service ერქვა. იქ იყო რედაქცია, რომელიც, ძირითადად, ფაუნას წარმომადგენლებით დასახლებულ სახელმწიფოებში მაუწყებლობდა. ამ რედაქციის დამფუძნებელი მამა იყო ინდური ვოლიერის დირექტორი სახელად ჯორჯ ორუელი. მას ვეღარ მოვესწარი, მაგრამ მის რედაქციაში სტაჟირებას გავდიოდი. სწორედ მაშინ დავწერე მოთხრობა, რომლითაც ვასრულებ ჩემს coming out-ს.

„გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მაჩვი მარარანული ენის შესწავლას შეუდგა. თავიდან დავცინოდით. „რაო, მაჩვი, მარარანისკენ გაგიწევია?“ — მის მაგიდაზე სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და საბავშვო წიგნები იყო დახვავებული. მაჩვი განუწყვეტლივ აცმაცუნებდა ტუჩებს, გეგონება, ლოცულობს ან შელოცვას ამბობსო. ნელ-ნელა მისი ბუტბუტი ბგერების კრისტალებად ჩამოყალიბდა. მაჩვი ყველა განყოფილებაში დადიოდა, არავის არაფრად აგდებდა და რაღაცას წარმოთქვამდა, ვიღაცას ამხელდა, ადიდებდა. ჩვენ ლამის აღარ ვლაპარაკობდით და, რაღაც, უხერხულად ვგრძნობდით თავს. ერთხელ მაჩვს ტელეფონთან უხმეს და მისი აღტაცებული ტირადით მივხვდით, რომ მარარანელი სატრფო ურეკავდა. ერთხელაც, შუადღისას, სიჩუმე ჩამოვარდა, და ყველანი მივხვდით, რაც მოხდა. ახლა გავიგე, ბოლოს რატომ სწავლობდა მაჩვი უცხო ენას: ისინი, ვინც იწყებენ, დასასრულისგან შორს არიან, არა? მას მერე, საკმარისია, მარარანული ყაშყაში გავიგონო, უმალვე მახსენდება, რა სასოწარკვეთით ებღაუჭებოდა სიცოცხლეს მაჩვი.“

XVI

პოეტი

ვახტანგ ჯავახაძე

უცნაური ჩიტი მოფრინდა



— ბატონო ვახტანგ, თქვენი სახელი და გვარი დიდი ხნის წინ მტკიცედ დაუკავშირდა გალაკტიონს — მრავალი წელია, საზოგადოების ინტერესი ცნობილი „უცნობისკენ“ არის მიმართული. მართალია, პოეტ ვახტანგ ჯავახაძეს გემოვნებიანი მკითხველი არასოდეს მოჰკლებია, მაგრამ ვფიქრობ, ამ მხრივ ბევრად მეტ ყურადღებას იმსახურებთ. სწორედ ამიტომ მინდა, დღევანდელი საუბრის მთავარი თემა თქვენი ლირიკა იყოს.

— ნათია, შენმა არჩევანმა ძალიან გამახარა, ვინაიდან ამჯერად ჩემი პოეზია გაინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზიარო სიყვარული გალაკტიონია. „უცნობის“ პირველი ვარიანტი რომ დავასრულე, ბესიკ ხარანაულს წავაკითხე და ბესიკმა მითხრა: ამიერიდან შენ იქნები ერთი წიგნის — „უცნობის“ — ავტორი და შენს ლექსებს დაივიწყებენო. „ელეგია“ რომ დავწერე და პრემიები მოვიპოვე, 2017 წელს გავიხსენე ეს ეპიზოდი და გავაგრძელე: დღევანდელი „საბა“ ჩემთვის ნიშნავს გალაკტიონის მიერ რეპრესირებული ჩემი ლექსების რეაბილიტაციას და იგი ჩემთვის განსაკუთრებულია იმის გამო, რომ მოვიპოვე არა გალაკტიონის, არამედ — საკუთარი მეუღლის პროტექციით. ჩვენი დღევანდელი საუბარიც ალბათ ამ რეაბილიტაციას წაეხმარება.

— როცა გესტუმრეთ, ლიფტმა მეშვიდე სართულზე ამომიყვანა, რამაც თქვენი ლექსი — „მეზობლები“ — გამახსენა: „რწყავენ პალმებს და კაქტუსებს, / მშვიდად ცხოვრობენ ასე: / ზოგი — მეშვიდე სართულზე, / ზოგი — მეშვიდე ცაზე“. ეს თითქოს დეტალია, მაგრამ აჩენს კითხვას: რა დოზით გადადის რეალობა პოეზიაში? უფრო ზუსტად: როგორ ახერხებს პოეტი მეშვიდე სართულიდან მეშვიდე ცამდე ამაღლებას?

— პოეტებს მეოცნებეებს ეძახიან. პოეზიაში მეტია ნაოცნებარი წარმოსახვანი, ვიდრე რეალური ცხოვრების დეტალები. ამბობენ, სტალინმა პასტერნაკის შესახებ განაცხადა: დაანებეთ თავი მაგ ცის ბინადარს, ესე იგი — მეოცნებესო. ეტყობა, ვისაც მიწაზე მყარად არ უდგას ფეხი, უფრო ბევრი რამ ეპატიება. პროზაიკოსის შემთხვევა სრულიად განსაკუთრებულია. იქ რეალური ცხოვრება უფრო ჭარბად აირეკლება. ასე რომ, პოეტები მეშვიდე ცაზე ცხოვრობენ, პროზაიკოსები კი — მეშვიდე სართულზე.

— მკითხველმა კარგად იცის, თუ როგორ გაჩნდა ყველასათვის ნაცნობი და ძვირფასი წიგნის — „უცნობი“ — იდეა. იქნებ გვიამბოთ, როდის და რა ვითარებაში დაიბადა პოეტი ვახტანგ ჯავახაძე?

— თვითონ არ ვიცი, რა დამემართა. უცნაური ჩიტი მოფრინდა და ამბავი მომიტანა. როდესაც ულექსო პერიოდები მაქვს, ასე მგონია, ლექსი არასოდეს დამიწერია და ვერც დავწერ. მაგრამ საიდანღაც ისევ მოფრინდება უცნაური ჩიტი და ყველაფერი თავიდან იწყება. უხილავი მკარნახობს და აღარ მასვენებს. რაც შეეხება ქრონოლოგიას, პირველი ლექსი თორმეტი წლისამ დავწერე, უკანასკნელი კი ამ გასაუბრებისას შენმა ერთმა შეკითხვამ მიკარნახა და აქვე გამოვაქვეყნოთ მოგვიანებით. ხედავთ, ოთხმოცი გრძელი წელიწადი გასულა. ეს ქრონიკული დაავადებაა, მაგრამ უაღრესად საინტერესო და სასიამოვნო დაავადება.

მახსოვს: გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ონჭიქეთში, ბებიაჩემს, რვა შვილის დედას, თეოლინე სიხარულიძეს, შენი გვარის მოზიარეს, როგორ ამოჰყავდა ყველი. შუაცეცხლს გვერდიდან რძით სავსე მოზრდილ ქოთანს მიუდგამდა. მერე კვეთს ჩააგდებდა და დაელოდებოდა. რძე რომ აიჭრებოდა, ორივე მოგრძო ხელს ქოთანში ჩაყოფდა და ფრაგმენტების შეგროვებას იწყებდა, თითქოს ეფერებოდა. ჩანასახი თანდათან შეიკრიბებოდა და დამრგვალდებოდა ბებიაჩემის ხელებს შორის, რომლებიც ფრთხილად ამოაბრძანებდნენ და დიდ თეფშზე დაასვენებდნენ ყველს. ლექსიც ასეა: ჯერ ემბრიონივით ილანდება და პირველი ძირითადი ტაეპი გაიელვებს. შემდეგ რიტმის სკანდირებას გაიგონებ და რითმა რითმას მოძებნის, მერე პირველი სტროფი მოიპოვებს ფორმას. ამასობაში ყველაფერი დაგავიწყდება და სასიამოვნო განწყობილება დაგეუფლება. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის ანუ ტალანტის საქმეა.

მახსოვს: ჩემმა მეზობელმა ლევან ხარანაულმა (ბესიკის ვაჟიშვილმა) თავისი ბებიის პორტრეტი დახატა და მე ძალიან მომეწონა მოხუცი ქალბატონის უაღრესად შთამბეჭდავი მოგრძო ხელები, ვინაიდან ბებიაჩემის ხელები გამახსენეს, როდესაც ყველი ამოჰყავდა.

— „მე მიყვარს სიტყვებით თამაში, სხვაგვარად ვერც კი წარმომიდგენია“ — ამბობთ ერთგან. როდიდან დაუკავშირდა თქვენს ლექსებში თამაში და პოეზია ერთმანეთს?

— ორი სტრიქონის გარითმვა უკვე თამაშია. ალბათ დასათაურებანიც საკმარისია: „კლასიკოსობანა“, „დანაღმული რითმები“, „ყირამალა რითმები“, „დაბზარული ფირფიტები“. როგორც ბატონი შოთა ბრძანებს — მესამე ლექსი ანუ შაირობა გასართობადაა მოწოდებული და ჩემი ლექსების დიდი ნაწილი აქეთაა მიდრეკილი. ალიტერაცია, მაჯამა, ფარული ირონიაც ამ მიზანს ისახავს. ისევ სათაურებს გავამწკრივებ და იოლად გამოვალ: „მხიარული ექსპერიმენტი“, „სალაღობო“, „ხუმრობასავით“, „ტაში-ტუში“, „შოუ და შოუ“ და ასე შემდეგ. თუკი თარიღით დავინტერესდებით, ალბათ — საბჭოთა იმპერიის დასრულების შემდეგ, ვინაიდან მანამდე უბრალო გახუმრებასაც ეჭვის თვალით კითხულობდნენ — ხომ არაფერს გულისხმობ და ხომ არ გინდა, როგორც ძველად მეფის კარის მასხარამ, სიტყვების თამაშით სიმართლე შემოგვაპაროო.

— რამდენად შეძლო ქართულმა კრიტიკამ იმ სიახლეების დანახვა, რაც თქვენ მოიტანეთ ქართულ ლირიკულ პოეზიაში? რის შემჩნევა ვერ მოხერხდა?

— ჩვენ სამოციანელები გვიწოდეს და წარმატებულ თაობად გვაღიარეს. რაც პირადად მე შემეხება, პრეტენზიული არ გახლავარ და სასაყვედურო არაფერი მაქვს. ერთს კი ვიტყვი: კოლეგა პოეტების მოსაზრებანი უფრო საგულისხმო აღმოჩნდა ჩემთვის. 84 წლისა ვიყავი, „ელეგია“ რომ დავწერე და სამი ლიტერატურული პრემია დავიმსახურე ზედიზედ. ერთხელ პაატა შამუგიამ ჩემი ლექსის — „ქეთევან წამებული“ — შესახებ ხანგრძლივად ისაუბრა ტელევიზორის ეკრანიდან და, სიმართლე გითხრათ, ჩემივე ლექსი უფრო მომაწონა. ერთხელაც კარდიოლოგს ჩემი კარდიოგრამა მოეწონა და მკითხა: ასე როგორ იცხოვრეთო. რამდენიმე მომენტი დავუსახელე და მათ შორის მთავარი: ამბიციური არა ვარ, წინ რომ უღირსმა გამასწრო, იმაზე კი არ ვნერვიულობ, არამედ უკან ვიყურები და ჩემზე ღირსეული რომ ჩამორჩა, ძალიან მეუხერხულება-მეთქი. ცოტა ტრაბახი გამომივიდა, მაგრამ ჩემს ასაკს აპატიეთ.

— ითვალისწინებთ თუ არა შემოქმედებით პროცესში მკითხველის აღქმას? მკითხველი თქვენს მომხრედ წარმოგიდგენიათ თუ მოწინააღმდეგედ, რომელიც უნდა გაიყოლიოთ?

— წერის პროცესში მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რაც შეიძლება უკეთესად დავწერო. ვისაც მოეწონება, ინტერნეტის საშუალებით ადვილია მათი აღრიცხვა და ასეთები არც ისე ცოტანი არიან. ვისაც არ მოეწონება, კაცია და გუნება. რამდენიმეჯერ „კლასიკოსი“ მიწოდეს და მეგონა, დამცინოდნენ. რაკი დიდხანს ვიცოცხლე, ამიტომ ვარ კლასიკოსი? ვერაფერი შეღავათია! ჩვენს თანამედროვეობას ეყოფა ერთი კლასიკოსი, რომლის კლასიკოსობის დასადასტურებლადაც ათას ორას გვერდიანი აპოლოგია დავწერე თუ დამეწერა. ერთხელ გია ყანჩელმა ბრძანა: თუკი ჩემს მუსიკას ორმოცდაათი წლის შემდეგ დაუკრავენ, ჩემს მისიას აღსრულებულად ჩავთვლიო. მეც ბატონი გია ყანჩელივით გავიმეორებ: თუკი ჩემს ლექსებს ნახევარი საუკუნის შემდეგ წაიკითხავენ, ბედნიერად ჩამთვალეთ. ერთი კი ნამდვილად არ მეეჭვება: ჩემს „უცნობს“ დავიწყება არ ემუქრება, მაგრამ ეს სრულიად არ გახლავთ ჩემი დამსახურება.

— ირონიული მიძღვნა „ჩემი ლექსის მთარგმნელებს“ მაფიქრებინებს, რომ პოეზიის თარგმნისადმი სკეპტიკურად ხართ განწყობილი. არსებობს კონგენიალური თარგმანები, თუ მართლაც, როგორც გვაფრთხილებთ, „არ ითარგმნება ტკივილი“?

— საშუალო ლექსი შეიძლება უკეთესადაც ითარგმნოს, შედევრი კი, წარმოუდგენელია, რომ არ დაზარალდეს. ჩვენს ბიბლიოთეკებში ტონობით აწყვია პოეტური თარგმანების მრავალი ათას ტომეულები და წარმატებულად მხოლოდ ერთეული გამონაკლისები შეიძლება დავასახელოთ. დიახ, სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ჩემი ორი კრებული გამოიცა რუსულად და მე არავითარი დაინტერესება არ გამომიჩენია. ერთის განაცხადი მიხეილ ქვლივიძემ დაწერა მოსკოვში ჩემს მაგიერ და პწკარედებიც თვითონ გააკეთა. მეორე შემთხვევაში — ელიზბარ ანანიაშვილს ახალგაზრდა მთარგმნელთა ჯგუფი ჰყავდა მოსკოვში და ექსპერიმენტი ჩაატარა: ჩემი ერთი და იგივე ლექსი რამდენიმე მთარგმნელს ათარგმნინა. მერე თბილისში ჩამოიტანა და მთარგმნელობით კოლეგიაში ერთად ავარჩიეთ თითო უკეთესი. მე პირადად სერიოზულად მხოლოდ ვლადიმირ მაიაკოვსკის ოთხი პოემა გადმოვაქართულე და ამ გაბედულებას იმით ვამართლებ, რომ ვალოდია ჩემი თანასკოლელი ანუ თანაგიმნაზიელი იყო ქუთაისში. მოკლედ, მჯერა, რომ „არ ითარგმნება ტკივილი“. თუმცა დავით წერედიანისეული ფრანსუა ვიიონის „მცირე ანდერძი“ რომ გამახსენდება, დავფიქრდები ხოლმე.

— თქვენი ბევრი ლექსი აგებულია ციფრებით თამაშზე. ეს „რიცხვების მაგიის“ პაროდირებაა თუ?..

— ამ შეკითხვას ორმოცი წლის წინათ ვუპასუხე და ვინაიდან მათემატიკა ყველაზე ზუსტი მეცნიერებაა და მისი კანონები ამ ორმოცი წლის მანძილზე არ შეცვლილა, ჩემს მოსაზრებებთან ერთად, თქვენი ნებართვით, ძველი პასუხის ტექსტს გავიმეორებ:

მათემატიკის ელემენტების პოეზიაში შემოტანაც ექსპერიმენტის ხასიათს ატარებს. საფრანგეთში „მათემატიკური პოეზიის“ საინტერესო ნიმუშები შემოგვთავაზეს ჟაკ რუბომ და რაიმონ კერომ, რუსეთში — ველიმირ ხლებნიკოვმა. თუმცა ციფრებისა და ასო-ნიშნების შერწყმით დაწერილი ლექსი არსად შემხვედრია. ნუ ავჩქარდებით, ნუ დაგვავიწყდება, რომ პოეზიასა და მათემატიკას ბევრი რამ აქვს საერთო, რომ არითმეტიკის ელემენტარული კანონები აწესრიგებენ ლექსის შინაგან სტრუქტურას. ამას წინათ წავიკითხე და გამოცა მათემატიკოს მორსტონ მორსის მოსაზრებამ, რომელსაც იგორ სტრავინსკი იმოწმებს: „მათემატიკა იდუმალი ძალების ქმედების შედეგია, ძალებისა, რომელთა არსი არავის ესმის და რომლებშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეცნობიერი წვდომა სილამაზისა. უსასრულო შესაძლებლობიდან მათემატიკოსი ირჩევს მხოლოდ ერთს, რომელსაც უპირატესობას სილამაზის გამო ანიჭებს და ჩამოჰყავს იგი დედამიწაზე“. ამ ციტატაში თავისუფლად შეგვიძლია სიტყვა მათემატიკა პოეზიით შევცვალოთ, ხოლო მათემატიკოსი — პოეტით, და მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო ჟანრის კიდევ ერთ ორიგინალურ განმარტებას.

ახლა მეორე საუკუნის ბერძენ ფილოსოფოსს სექსტუს ემპირიკუსსაც მოვუსმინოთ: „არავითარი ხელოვნება არ არსებობს პროპორციის გარეშე, ხოლო პროპორცია რიცხვზეა დამოკიდებული, მაშასადამე, ყოველგვარი ხელოვნება რიცხვისგან იღებს დასაბამს“ („მათემატიკოსთა წინააღმდეგ“). გალილეოც აცხადებს, სამყაროს წიგნი მათემატიკის ენაზეაო დაწერილი. მეცხრამეტე საუკუნის დიდი გერმანელი მათემატიკოსი კარლ ფეიერშტრასი კი პირდაპირ მიუთითებს: „მათემატიკოსი, რომელიც ცოტას არ წაიპოეტებს, სრულყოფილ მათემატიკოსად ვერ ჩაითვლება“. ხოლო ოსვალდ შპენგლერი სწორედ ამ ციტატას იმოწმებს და ასკვნის: „მაშასადამე, მათემატიკაც ხელოვნებაა“. დაბოლოს უნდა მოგახსენოთ: ჩემი ციფრებისა და ასონიშნების შერწყმით დაწერილი ორსტროფიანი „მ7 ღმ1“ ძნელად კი იკითხება, მაგრამ ქაღალდი და შრიფტი ხომ დავზოგე: ხუთი ნიშანი — ნაცვლად თორმეტისა. გავიხსენოთ: კაცობრიობა ოდესღაც ტყავზე წერდა.

— სიყვარულზე უამრავი ლექსი არსებობს, მაგრამ მე წაკითხვისთანავე შემიყვარდა თქვენი უსათაურო — „კარგად არ მახსოვს“, სადაც უცნაურად არის „განმარტებული“ სიყვარულის გაურკვევლობა. თუ გაგვიმხელთ, რა განწყობილებამ შეგაქმნევინათ ეს ლექსი?

— მომწონს შენი არჩევანი. ეს ლექსი შეყვარებული კაცის დაწერილია. შეყვარებული კი არა-ჩვეულებრივ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე: გაორებულია, კარგად არ იცის, რა უნდა, ხან ეს მოსწონს, ხან ის, რაღაც ახარებს, რაღაც აეჭვიანებს. სწორედ ასეთი გაორებული პოეტის აღსარებას წარმოადგენს ეს უსათაურო, რომელიც მეც გამორჩეულად მიყვარს და ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ ეს დაბალი შაირი ძალიან მოსწონდა ჩემს მეგობარს გივი გეგეჭკორს.

— თქვენს ლექსებში გამოკვეთილად იგრძნობა მხატვრობისადმი სიყვარული. რომელ მხატვარს ჰგავს პოეტი ვახტანგ ჯავახაძე?

— ერთხელ ემზარ კვიტაიშვილთან ვიყავით სტუმრად და სამზარეულოდან უცნობი ქალბატონის შეკითხვა შემომესმა: ვახტანგ ჯავახაძე ის პოეტი არაა, მხატვრებზე რომ წერს ლექსებსო? მხატვრობა ჩემი მეორე სიყვარულია. სიყმაწვილისას ვხატავდი და შემდეგ მთელი ცხოვრება რეპროდუქციების ალბომებს ვაგროვებდი. ტარიელ ჭანტურიამ ამ ალბომების ბიბლიოთეკას ლექსი დაუწერა. ჩემი „გრაფიკული ლირიკა“ და „ნახატი პალინდრომებიც“ ამის დასტურია. ყველაზე მეტად მიქელანჯელო მომწონს, ყველაზე მეტად ბოსხი მაოცებს და ყველაზე მეტად ვან გოგი მიყვარს — მისი ბიოგრაფიაც, მისი დღიურებიც და მისი თვითმკვლელობაც. კედელზე ჰოლანდიიდან ჩამოტანილი ვინსენტის სამი დიდი ფორმატის რეპროდუქცია მიკიდია და, როდესაც ფეხბურთს ვუყურებ, ყოველთვის ჰოლანდიელებს ვგულშემატკივრობ. მე მაქვს ბევრი წიგნი ვან გოგზე და მისი ალბომები, მაქვს აგრეთვე ფრანგული გამომცემლობა „ფლამარიონის“ გამოცემული ფერწერის კლასიკოსების ალბომების დიდი სერიალი (28 ერთეული). ყოველი მხატვარი თითო ალბომითაა წარმოდგენილი — 64 რეპროდუქცია. მხოლოდ ორი გამონაკლისია — ვან გოგი და პიკასო — ორორი ერთეული — 128 ნახატი. არადა, ვან გოგმა 37 წელიწადს იცოცხლა, პიკასომ — 92, ვან გოგი 9 წლის განმავლობაში ხატავდა, პიკასო კი — 75. ვინსენტს ფული არ ჰქონდა მენატურე ქალი რომ დაექირავებინა და ამიტომ ხშირად ხატავდა ავტოპო-





რტრეტებს. ჩემს ბიბლიოთეკაში ირიცხება მხატვრის მხოლოდ ავტოპორტრეტების ალბომი, რომელშიც 47 ერთეულია დაბეჭდილი. არასოდეს დამავიწყდება ერთი ეპიზოდი ვან გოგის პირადი წერილებიდან: ვინსენტს საკუთარი ბიძაშვილი შეუყვარდა. კათოლიკეებში მოსულა ასეთი ვარიანტი. შეყვარებული უფრო ხშირად სტუმრობდა ბიძის ოჯახს. ერთხელაც მივიდა და გოგონა დაუმალეს — სახლში არ არისო. მაგიდაზე ანთებული ლამპა იდგა. ვინსენტმა ხელის გაშლილი მტევანი ლამპის ზემოთ გააჩერა და თქვა: ვიცი, რომ სახლშია, ამ მტევანს ლამპის შუშას დავადებ და ვიდრე გავუძლებ, მანამდის მაინც მაყურებინეთო. მასპინძლებმა ლამპა მოშორებით გადადგეს.

— ბატონო ვახტანგ, კითხვაზე ბოლომდე მაინც არ მიპასუხეთ. თუმცა კი, მხატვრებთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო რამ გვიამბეთ. დავუბრუნდეთ პოეზიას: თქვენი ბევრი ლექსი მიყვარს, განსაკუთრებით — „ცენტონი“ — ქართული პოეზიისათვის უჩვეულო ექსპერიმენტი. რამ გიბიძგათ, შეგექმნათ ლექსი, რომელშიც რჩეული პოეტების ხმები ისმის თქვენი ვირტუოზული დირიჟორობით?

— ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე, ძვირფასო ნათია. ორმოცი წლის წინათ ავაწყვე ეს ნაკუწებისგან შეკერილი ჭრელაჭრელა ასი სტრიქონი, რომელიც დღემდის არავის გახსენებია და, მგონი, მეც დამავიწყდა. ესეც თამაშია, სხვადასხვა ავტორების არამარტო პოეტური ტექსტებია, არამარტო ქართული, არამედ — რუსულ, ლათინურ, სვანურ და მეგრულ ენებზეც. სხვათაშორის, ორმოცი წლის წინათ ცენტონის ბევრი „თანაავტორი“ ცოცხალი იყო და ვერც იმათ შენიშნეს. აგერ, ღმერთის წყალობით, ტარიელ ჭანტურია და ბესიკ ხარანაულიც კარგად გვყვანან. კიდევ კარგი, საავტორო ჰონორარს არავინ მედავება, თუნდაც — მემკვიდრეები, და პლაგიატობასაც არავინ მაბრალებს.

— ჩვენში მიღებულია საუბარი თაობებზე. რას ფიქრობთ, რა არის ის ყველაზე მთავარი, რაც თქვენმა თაობამ, 60-იანელებმა დატოვეს ქართულ პოეზიაში?

— მეტი გაბედულება და მეტი თავისუფლება. სტალინის გარდაცვალებამ თანდათან დააუძლურა ქვეცნობიერი შიში, რომელიც ხელოვანს „ათვინიერებდა“ (აკაკი ბაქრაძე). რუსულად ითარგმნა ჰემინგუეი და რემარკი, დაიბეჭდა პიკასოს მხოლოდ გრაფიკული ნახატების ალბომი. აღარ იკრძალებოდა ჯაზი. ჩატარდა რეპრესირებულ მწერალთა რეაბილიტაცია. გამოიცა ტერენტი გრანელის, შოთა ჩანტლაძისა და ნიკო სამადაშვილის ლექსები. გახშირდა მწერალთა ვიზიტები საზღვარგარეთ და პირიქით. მე, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გამომცემლობაში გავატარე, ვადასტურებ: ცენზურა უფრო ლმობიერი გახდა და 1960 წელს მე, როგორც რედაქტორმა, ანა კალანდაძის წიგნიდან ამოვიღე სამი ლექსი ლენინზე და ათზე მეტი ასევე იძულებითი ლირიკის ნიმუში. თუმცა სოცრეალიზმის ნაფიცმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა შვიდი წლის შემდეგ ანას უსაყვედურა — შენ ლენინი არ გიყვარსო. სხვათაშორის, ამ პერიოდის ძველი რედაქტორები აქტივში ითვლიან ზოგიერთი ნაწარმოების გამოქვეყნებას, მე კი — პირიქით! ფერწერაში, ქანდაკებაში, მუსიკაშიც მოვიდნენ განსაკუთრებით წარმატებული თაობები, რომლებსაც „სამოციანელები“ უწოდეს. ეს უკვე აღიარებას ნიშნავდა.

— საუბრის დაწყებისას შევთანხმდით, რომ ინტერვიუს მთავარი თემა თქვენი პოეზია იქნებოდა. თუმცა თაობებზე მსჯელობამ ბუნებრივად მიგვიყვანა მეოცე საუკუნის უპირველეს პოეტამდე... „გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით“ — ეს ძალიან დიდი ხნის წინ თქვით. დღესაც ამავეს გაიმეორებდით?

— დიახ, დღესაც გავიმეორებდი. გავიხსენოთ სამი ავტორიტეტი: მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი და ოთარ ჭილაძე. ამ სამეულმა არ ითაკილა და ღირსეულად აღიარა გალაკტიონის შეგირდობა; მაშასადამე, ცხადია, საით წავიდა გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია. სხვათა შორის, გალაკტიონმა ისიც გვასწავლა, როგორ არ უნდა ვწეროთ და როგორ არ უნდა ვიცხოვროთ, ხოლო თუ ძალიან, ძალიან და ძალიან გაგვიჭირდება, როგორ მოვიკლათ თავი. შენმა ამ შეკითხვამ ლექსიც მიკარნახა — ჩემი უკანასკნელი ლექსი — „სწავლა მოსწავლეთა“:

ხელისუფლების ნავიდან
მეპატიჟება მენავე,
ამ სახიფათო ზონაში
არ უნდა ვიალმაცერო,
არავის დავემოწაფე,
არავის დავემონავე:
გალაკტიონმა მასწავლა —
ლექსი როგორ არ დავწერო.

მოწყალეობას ვთამაშობთ,
მე ვარ და ჩემი მოწყალე —
ყველაზე უფრო თამამი
და უფრო გამბედავი,
მე ვარ ერთგული მოსწავლე,
მე ვარ მორჩილი მოსწავლე:
გალაკტიონმა მასწავლა —
როგორ მოვიკლა თავი.

შეიძლება, ვინმე გააოცოს ამ მერვე სტრიქონმა. გაოცებულებისა და ჩემი შვილებისა და შვილიშვილების საყურადღებოდ ვაცხადებ: რა თქმა უნდა, თავის მოკვლას არ ვაპირებ. მაგრამ თუკი მეც ძალიან, ძალიან, ძალიან და ძალიან გამიჭირდება, უკვე ვიცი, როგორ მოვიქცე: მეექვსე სართულზე ვცხოვრობ და შემიძლია, გალაკტიონის რეკორდი მოვხსნა. ეს ხუმრობით, თორემ მე მაგისთვის სადა მაქვს ის, რაც ფრანსუა ვიიონის კისერს უნდა აეწონა.

— ერთი ცნობილი პოეტი ამბობს: „მეოცე საუკუნის ქართული პოეზია გალაკტიონის გამოკლებითაც დიდი პოეზიაა“. რას ფიქრობთ ამაზე და კიდევ: როგორი იქნებოდა თქვენი ლირიკა გალაკტიონის გარეშე?

— გალაკტიონი რომ არ დაბადებულიყო, ალბათ მაშინ თამამად ვიტყოდით, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზია დიდი პოეზიაა. მაგრამ, რაკი განგებამ გალაკტიონი გვიბოძა და შედარების საშუალება მოგვეცა, ასეთ შემთხვევაში, ქართული პოეზია გალაკტიონის გარეშე ნაკლული ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარეს ოცამდე ბრწყინვალე გვარი და სახელი კაშკაშებს. განსაზღვრაც შეიძლება: გალაკტიონი და სხვები. შევადგინოთ ოცი ქართველი ლირიკოსის ოც-ოცი შედევრის კრებული და გალაკტიონის ოთხასი შედევრის წიგნი (სხვათა შორის, შეიძლება ასეთი ექსპერიმენტი ჩატარდეს), აშკარად გამოჩნდება, რა იქნებოდა უგალაკტიონო მეოცე საუკუნე. რაც შემეხება მე, გავიმეორებ: „გალაკტიონმა მასწავლა, ლექსი როგორ არ დავწერო“.

— ორიოდე წლის წინ ჩანაწერები გამოაქვეყნეთ — „გალაკტიონის გარეშე“. წიგნის ასე დასათაურება მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ. თუმცა, ამ წიგნიდანვე ირკვევა, რომ მაინც არ გამოგივიდათ გალაკტიონის გარეშე. გალაკტიონი თქვენი ბედისწერაა?

— ამ წიგნს პირთა საძიებელი ერთვის და გამოირკვა, რომ ხუთასგვერდიან კრებულში ასჯერ მომიხსენებია ჩემი კერპი. გამიკვირდა, მაგრამ არ უნდა გამკვირვებოდა. ვიდრე „უცნობს“ დავწერდი, მანამდეც გალაკტიონის „პირველი ჭირისუფალი“ ვყოფილვარ, როგორც რეზი თვარაძემ წამიწერა ნაჩუქარ წიგნზე 1977 წელს — „უცნობამდე“ ათი წლით ადრე. ვიდრე „უცნობი“ დაიბეჭდებოდა, გალაკტიონის რამდენიმე გამოცემა შევადგინე:

1971 წელს — მცირე ფორმატის სასაჩუქრო ორ წიგნად.

1972 წელს — აკადემიური თორმეტტომეულის მეშვიდე ტომი — გამოუქვეყნებელი ლექსები.

1978 წელს — ხუთთაბახიანი კრებული ქართული პოეზიის ბიბლიოთეკის სერიისათვის.

1982 წელს — რჩეული ერთტომეული მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ოთხმოცტომეულისათვის.

1988 წელს — ორტომეული, რომელშიც პროზაული ტექსტებიც დაიბეჭდა.

აქ წამოიჭრა ერთი სერიოზული პრობლემა და ღირს ამაზე საუბარი. 1972 წელს აკადემიური თორმეტტომეულის მეშვიდე ტომში უნდა დაბეჭდილიყო გამოუქვეყნებელი ლექსები. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი დედნის მოცულობა სხვა ტომებს ორჯერ აღემატებოდა. სარედაქციო კოლეგიის დავალებით შევამცირე და შევადგინე ეს ტომი, რომელიც ყველაზე პატარა აღმოჩნდა.

ნოდარ ტაბიძემ თავის წიგნში „გალაკტიონი“ გამოაქვეყნა ადრეული პერიოდის მრავალი და მრავალი ნიმუში, რომლებიც ავტორმა არც პირველ წიგნში და არც შემდგომ გამოცემებში არ შეიტანა. ვუთხარი ნოდარს, იქნებ არ ღირდა ყველა ამათი გამოქვეყნება-მეთქი. არქივში დაცული ადრეული წლების გამოუქვეყნებელი ლექსების, პოემებისა და პოეტური თარგმანების მოცულობა ალბათ ორ ტომში არ ჩაეტევა. იმდენად დიდია შედევრებსა და ამ ლექსებს შორის ხარისხობრივი განსხვავება, რომ საკითხავია: ღირს თუ არა მათი გამოქვეყნება?

რაც შეეხება შეკითხვას, დიახ, გალაკტიონი ჩემი ბედისწერა აღმოჩნდა, რომელმაც გაანებივრა და გააბედნიერა ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარი — ორმოცი ხანგრძლივი წელიწადი. ამ წიგნმა ბევრი ქება და პრემია დაიმსახურა. ჩემთვის მთავარი სიხარული და სიამოვნება წერის პროცესი გახლავთ. გამოხმაურებას რაც შეეხება, არასოდეს მავიწყდება ბაჩანა ბრეგვაძის სიტყვები: გალაკტიონს რომ „უცნობი“ წაეკითხა თავს არ მოიკლავდაო.

ხანდახან ასე მგონია:
გურამიშვილმა დამასწრო,
ბარათაშვილმა დამასწრო,
რაზიკაშვილმაც დამასწრო
და ახლა დაუსწრებელზე
გალაკტიონთან დავდივარ.

— „უცნობის“ მიმართ ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ ადრეც მითქვამს. ეს საოცარი წიგნი ჯერ კიდევ მაშინ წავიკითხე, როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა: სწორედ თქვენმა „აპოლოგიამ“ შემაყვარა გალაკტიონი და ეს სიყვარული დღემდე გრძელდება. როგორც ვიცი, მალე გამოვა „უცნობის“ კიდევ ერთი გამოცემა. რა სიახლეებს შეიცავს? და, რაც მთავარია, არსებობს რაიმე ისეთი ამბავი, რაც ამ გამოცემაშიც არ შეგიტანიათ და დღემდე საიდუმლოდ ტოვებთ?

— „უცნობის“ მერვე შევსებული გამოცემა ათას ორას გვერდს აღემატება და ერთ ყდაში ვეღარ ჩაეტია. ორტომეულში გაეცნობით გალაკტიონის ცხოვრების სრულიად უცნობ ეპიზოდებს და დღემდის გამოუქვეყნებელ მასალებს, დღიურებსა და პროზაულ ტექსტებს, პირად წერილებს, თარგმანებსა და ჩანახატებს. რაისა ჩიხლაძისა და გალაკტიონ ტაბიძის ურთიერთობის დამატებით ნიუანსებს უკვე იცნობთ და იგი „გალაკტიონოლოგიის“ მორიგ კრებულში დაიბეჭდება. განსაკუთრებით საყურადღებოა 1932 წლის 8 დეკემბრის სრულიად მოულოდნელი განცხადება, რომელიც მამუკა შელეგიას მიერ შედგენილ „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეში“ გამოქვეყნდა. გალაკტიონი მოითხოვს, სამი თვით მიავლინონ გერმანიაში და — თუ იცით, ვისთან — გრიგოლ რობაქიძესთან, რომელიც ერთი წლით ადრე ემიგრირებული მთავრობის საიდუმლო მიწვევით გაემგზავრა გერმანიაში და დაბრუნებას აღარ აპირებდა და აღარც დაბრუნებულა. ეს განცხადება საქართველოს სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა. რამდენიმე წლის წინ სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა აგრეთვე გალაკტიონისა და ოლიას ქორწინების მოწმობა. არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში დაცული სხვა მასალები გალაკტიონისა ჩვენთვის ცნობილია. ამ არქივში ირიცხება მთელი რესპუბლიკის მრავალრიცხოვან დაწესებულებათა ძალიან დიდი მოცულობის საკანცელარიო დოკუმენტები და შეიძლება, ინახებოდეს კიდევ სხვა ფაქტების ამსახველი ერთეულები გალაკტიონის ბიოგრაფიიდან. ამიტომ ამ დაწესებულებისადმი მეტი დაინტერესება უნდა გამოვიჩინოთ.

ერთი უცნობი ციტატა გამახსენდა: 1927 წლის 17 აგვისტოა. „ზარნიშიანი წიგნი“ დაბეჭდილია და გალაკტიონს უკვე ყველაფერი განაღდებული აქვს. და უცებ ასეთი მოულოდნელი აღსარება:

„დღეს დილით, როდესაც გზად მივდიოდი სახლიდან, ვფიქრობდი:

მე გარშემორტყმული ვარ ყოველმხრივ, როგორც მგელი, სულ მოკლე ხანში შეიძლება მომკლან კიდეც.

ვიხედები გარშემო. არსადაა თუნდაც ერთი ადგილი, საიდანაც თავისუფლად შეიძლება თავის დახწევა.

მომკლავენ უსათუოდ. ან, რაც სიკვდილზე უარესია, გამანადგურებენ მორალურად, მომისპობენ მატერიალური არსებობის საშუალებას, მომკლავენ, ერთი სიტყვით.

საჭიროა მაქსიმალური ენერგიის მოკრება: გონებრივი და ფიზიკურის.

მგელო, გარშემორტყმულო, იფხიზლე, ჩაციცვდი კბილებით პირველს, მეორეს, მესამე მტერს.

იაფად არ დაუსვა შენი სიცოცხლე, თუ სიკვდილი აუცილებელია“.

რაც შეეხება გასაიდუმლოებულ ამბებს: ოთხიოდე პიროვნების შეურაცხმყოფელი ეპიზოდი სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ და ვაპატიოთ საყვარელ სახელს. დედამ „სხვანაირად სადარდებელი“ უწოდა, ძმამ — „უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული“, ხოლო კოლაუ ნადირაძემ არანორმალურის ურიცხვი სინონიმებით შეამკო ქართულად და რუსულად. 1929 წლის 1 თებერვალს სოფელში ფანჯრის რაფაზე დაღვრილი არილი დაკოცნა, დედამ შემოუსწრო და გული წაუვიდა. 1945 წლის 18 მარტს პონდოევს ესაუბრა და თვითონ აღიარა — ექიმმა შეშლილად ჩამთვალაო. ბავშვობის ჟამს საკუთარი ბიძაშვილი „გამოშტერებულს“ ეძახდა და ყოველივე ეს თვითონ გაგვიმხილა პოეტების მეფემ, საქართველოს სახალხო პოეტმა და აკადემიკოსმა. მეტი რაღა სამხილი გვინდა?! თანაც მე არ მაწყობს — ჩემი უცნობი სრულიად გაიშიფროს და სტატუსი შეეცვალოს.

ხოლო რაც „აპოლოგიის“ მერვე გამოცემას შეეხება: ორმოცი წლის შემდეგ დავასრულე და შვიდჯერ გაუმეტებელ სიყვარულსაც გამოვეთხოვე.

დაბოლოს: უაღრესი მადლიერებით უნდა მოვიხსენიო გამომცემლობა „ინტელექტის“ დასი, რომლის გულისხმიერებითაც დავალებული და დაიმედებულია ჩემი ხანგრძლივი საავტორო წელიწადების ორი უკანასკნელი ათეული.

— ბატონო ვახტანგ, საუბრისას ბევრ თემას შევეხეთ. ვფიქრობ, მკითხველი უამრავ საინტერესო ამბავს გაიგებს თქვენ შესახებ. ვიდრე ამ მრავალფეროვანი ინტერვიუსთვის მადლობას გადაგიხდიდეთ, მინდა, გკითხოთ, რამე ხომ არ არის ისეთი, რაც არ მიკითხავს და რაზეც ყურადღების გამახვილებას ისურვებდით?

→

დასასრული

— ნათია, გასაუბრების დასასრულს ხშირად შემომთავაზებენ ხოლმე, ლექსი წავიკითხო. ამჯერად, ძალად მაცხონეთ და, მე თვითონ შემოგთავაზებთ: ჯვარედინად გარითმული თერთმეტმარცვლოვანი შვიდი სტროფია, ოღონდ ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონი ერთი მარცვლით აღემატება — თორმეტმარცვლიანია. რითმა რომ მთავრდება, ზედმეტი მარცვალი დეფიზითაა გამოყოფილი, ვინაიდან იგი რითმის ეფექტს ანულირებს. პირველ-მეორე ტაეპებს რომ წაიკითხავთ, აღმატებული რიტმი შეგაფერხებთ, თითქოს ქვას წამოკარით ფეხი, იქნებ კორექტურული შეცდომაც კი გეგონოთ. მეექვსე-მეშვიდე ტაეპებთან უკვე ავტორის ჩანაფიქრს ამოიცნობთ და მზადა ხართ ატონალური დისჰარმონიის აღსაქმელად. შეიძლება, მოგეწონოთ კიდეც. ლექსის პირველი სამსტროფიანი ვარიანტი „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოვაქვეყნე. შემდეგ გავახანგრძლივე, რათა მკითხველს მეტი დრო მისცემოდა შეჩვევისათვის. გაზეთის პუბლიკაცია რამდენიმე პოეტმა მოიწონა, ხოლო გიორგი ლობჟანიძემ შედევრი უწოდა. შედევრისა რა მოგახსენოთ და ისე შეიძლება, საინტერესო აღმოჩნდეს ერთი ნახევრადგამოუქვეყნებელი ლექსის პრეზენტაცია:

ვის-მეტი და ნი-მეტი და
ასე შემდეგ

რატომ ჰგვანან
ნახატები ავტორებს? —
გვეკითხება ლეონარდო და ვინჩი,
მეფეებიც ჰგვანან იმპერატორებს,
დანარჩენს კი
ვინ დაეძებს და ვინ ჩი-ვის.

მაცდურია გამარჯვების ნარკოზი,
ვიცი, რომი დაამარცხა პიროსმა,
უკვდავია ფერი ლეონარდოსი
და მე ჩემი მიხარია ფიროსმა-ნი.

განიზიდა საიტების ღიობი,
ინტერნეტმა ჩაანაცვლა ბიბლია,
ერთ ოთახში ცხოვრობს კაცობრიობა,
აღარ ესმის გალობანი ნიბლია-თა.

გაიყიდა მარგალიტი რიოში,
გალაკტიონს დაუწუნეს პოემა,
გაიშალა სუფრა „ივერიაში“,
ჩაიშალა პოეტების პაემა-ნი.

ვარსკვლავებით ცა რომ
დაიწინწკლება,
იღვიძებენ ტაშები და ვაშები,
გამოვიდნენ სუხიშვილის წიწკვები
და როკავდნენ ჭკუასელის ვაჟები-ვით.

ღიღინებდა მეცამეტე გურმანი,
ინტერვალმაც ცამეტს გადაამეტა,
უფლისციხის კლდესთან იდგა მურმანი,
ნამეტანი უხდებოდა, ნამეტა-ნი.

ერთადერთი ამუნათებს ერთ-ერთებს,
ასეთია ამ შაირის მორალი,
აქ მარცვალი ერთი წაიზედმეტებს
და უღიმის მარგარიტას მონა ლი-ზა.

ესაუბრა ნათია სიხარულიძე

ღვინის გაკვეთილები

იგორ პომერანცევი

ღვინის გაკვეთილები არასოდეს გამიცდენია და მუყაითად ვესწრები, აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა. არ მჭირდება დარწმუნება, რომ ფრანგული კულტურის წითელი ძაფი ღვინოა. ის ჩქეფს ფრანგული ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის ძარღვებში. ყმაწვილკაცობაში კითხვა მაწვალებდა: რატომაა, რომ კლოდ მონეს და ჯეიმზ (ჟაკ ჟოზეფ) ტისოს ტილოებზე „საუზმე ბალახში“ ქალბატონები და ბატონები ღვინოს სვამენ, ედუარდ მანეს ამავე სახელწოდების სურათზე კი — არა? ახლა ვფიქრობ, რომ რუსულად მიახლოებით თარგმნის ბრალია, რომ მხატვრები „მეორე საუზმეს“, ანუ lunch-s an luncheon-ს გულისხმობდნენ. მაშ, მანემ რატომ აარიდა ღვინოს თავი? პასუხი მისმა მეგობარმა, ლიტერატორმა ზაქარია ასტრიუკმა გვიკარნახა, რომელმაც ტილოზე „მათრობელა სიმწიფე“ დაინახა. ჰო, მანე ბედნიერად გაექცა ტავტოლოგიას. ასე თუ ისე, მისი წყალობით გავიგე, რომ დილით ღვინის სმა არ შეიძლება, და დღემდე ვიცავ ამ წესს.

კიდევ, მე-17 საუკუნის ჰოლანდიელი ფერმწერების მადლობელი ვარ, დიდებისაც და მცირეებისაც. საათობით შემეძლო მათ ტილოებზე ბოთლების, ჭიქების, თავსახურიანი და უთავსახურო ტოლჩების, სურების, თასების, სირჩების, ტყავის ტიკების, კასრების თვალიერება. რას სვამდნენ ოთხი საუკუნის წინ ჰოლანდიელები? ღატაკები — ლუდს და ბრაგას, შეძლებული ხალხი — ესპანეთიდან, რეინის ოლქიდან, ბორდოდან და ანჟუდან ჩამოტანილ ღვინოს. ქეიფის საბაბი მთელი წელი არ ილეოდა: ბავშვების დაბადება, ჯვრისწერა, გილდიაში გაწევრიანება. რამდენიმე დღე გადაბმულად ღრეობდნენ, მხოლოდ პროტესტანტიზმის გამარჯვება იყო, ოდნავ რომ ალაგმა ჰოლანდიელები. მაგრამ ჰოლანდიური გაკვეთილი კვლავაც გვახსოვს. ყოველ შემთხვევაში, ძველი მხატვრები გვახსენებენ.

ბოთლები და ბოკალები ახალი თვალით ექს-ა-პროვანსის საპატიო პროფესორმა, „ბარიერების თავზეს“ ავტორმა, ლუი მარტინესმა დამანახა. მან აღნიშნა, რომ სიტყვა „ბოთლი“ თითქმის ერწყმის სიტყვას „ღვინო“, და ხშირად ანაცვლებს კიდეც: „თითო ბოთლი ხომ არ დაგველია?“ და კიდევ, ლუიმ მკაცრად მიბრძანა, მხოლოდ გამჭვირვალე ბოკალებიდან მესვა, შეძლებისდაგვარად, ბროლისა, და აუცილებლად წვრილ, მაღალ ფეხზე: სხვაგვარად თვალი ღვინის ნამდვილ ფერს ვერ შეაფასებდა.

ქართული ღვინოების შესახებ თავიდან რუსული ლექსების წყალობით შევიტყვე.

ისეთია მძიმე ღვინო კახური,
სარდაფებში უფრო კარგად ილევა...

(ოსიპ მანდელშტამი, თარგმანი ნინო დარბაისელისა).

მაგრამ ბელა ახმადულინასთან უკეთესია:

...და ყურძნის სურნელი დაჰკრავდა
ქართველი ქალების სახელებს.

რატომაა უკეთესი? იმიტომ, რომ მისი ლექსები ჯიქურ კი ლაპარაკობს ღვინოზე, არამედ ეხება: ქალი და ყურძენი — გვერდიგვერდ, როგორც სიყვარული და ღვინო. ღვინის გემოსა და სურნელზეც შეხებით საუბარია მიღებული: აი, ეს ნოტი მოცხარისაა, ეს კი — თხილის... ასე მოხდა, რომ ქართული ღვინოები სერიოზულად საფრანგეთის და იტალიის კლასიკური ღვინოების მერე გავსინჯე და, სიმართლე რომ ვთქვა, იმედგაცრუებული დავრჩი. აღმოჩნდა, რომ საქართველოში ღვინოს, სულ ცოტა ხნის წინათაც, მხოლოდ შინაური მოხმარებისთვის ამზადებდნენ. ზუსტად ასეთი იყო იტალიური ღვინოების ამბავიც: იტალიელებმა მხოლოდ გასული საუკუნის სამოციან წლებში ისწავლეს მათი ბუტილირება, და თან შესანიშნავად.

საქართველოში პირველად როცა ჩავედი, უკვე ზრდასრული კაცი ვიყავი ღვინის მდიდარი გამოცდილებით. მაგრამ ღვინის გამოცდილება მეტისმეტი არასოდესაა. ეს ჩემმა მეგობარმა, მედუქნე რეზომ დაადასტურა. ის მხოლოდ მედუქნე კი არა, დრამატურგი, რეჟისორი, მხატვარია. მას რეზო გაბრიაძე ჰქვია. სიტყვა „მედუქნე“ არ ეპიტნავება, ამბობს, რომ სიმპათიური არაა, რუსული „მეფუნდუკესავითაა“ — ამიტომ თავის დუქანს თეატრალურ კაფედ მოიხსენიებს. რუსულად, მანდელშტამის წყალობით, მედუქნე ყოვლად სიმპათიური ვინმეა:

იქვე, მტკვარზე დუქანია მრავალი,
სადაც ბევრი ღვინოა და ფლავია
და მედუქნეს, რაც გინდა, დაავალე,
პირღაჟღაჟა ჭიქას
გიწვდის მალ-მალე...

(თარგმანი ნინო დარბაისელისა).

თავის თეატრალურ კაფეს რეზომ „არ დაიდარდო“ დაარქვა. ჩვენი საუბრიდან ერთს გავიხსენებ:

— რა არის ქართული ღვინის ხიბლი? — კითხულობდა რეზო, — შესაძლოა, მას ჯერ კიდევ ოდისევსი სვამდა, იმიტომ, რომ საქართველოში ძველი ტექნოლოგიაა შენარჩუნებული. განსაკუთრებით კარგად ღვინო საშობაოდ და სააღდგომოდ ისმება. ფიროსმანის ტილოებზე ძვირფასი სიჩუმეა, და ეს სიჩუმეა კახურ ღვინოებში. კეთილშობილი სიჩუმე. კარგი ღვინოები ერთმანეთს არ ედავებიან... ვაზი დეკადენტია, ადამიანის, ჯოხის გარეშე ეცემა. ფრანგებმა ღვინო გაათავისუფლეს, მათ ღვინის მიმართ დამოკიდებულებაში არანაირი ძალადობა არ არსებობს. მათ ღვინისა ესმით, ჭიქასთან ჯდომა იციან. აბა, იგორ, რატომ უნდა იყოს ჭიქა მაღალფეხიანი? ძალიან მარტივია: რომ ხელის სუნი არ გეცეს, ღვინის სურნელს გზაზე არ გადაურბინოს...

საფრანგეთს რეზომ მადლობა გადაუხადა. ბურგუნდიაში გაბრიაძისეული ბახუსის ნახევარმეტრიანი ქანდაკება დგას. ჩასკვნილ „ქართველ“ ბახუსს ჟან გაბენის მძლავრი ტორსო აქვს, თავდადებული მევენახის ტორსო.

1916 წელს ესპანელმა ფილოსოფოსმა ხოსე ორტეგა-ი-გასეტმა გამოაქვეყნა ესეი, „სამი სურათი ღვინის შესახებ“. ამ ესეიში ღვინოს „კოსმოსურ პრობლემას“ უწოდებს. რატომ? თავად ესპანელი თავის აზრს ცხადად არ განმარტავს: „ღვინო ბრძენი, ნაყოფიერი და თავქარიანი ღმერთია“. მაგრამ მე ერთი ჰიპოთეზა მაქვს. საქმე ისაა, რომ მზეს ღვინის გემო აქვს, მზე კი კოსმოსური სხეულია.

ღვინის ფილოსოფიური საზრისების შესახებ შესანიშნავად დაწერა თანამედროვე ბრიტანელმა ფილოსოფოსმა, როჯერ სკრუტონმა, წიგნში „ვსვამ, მაშასადამე, ვარსებობ“. 2010 წელს, პრაღაში, ინტელექტუალების ტრადიციული ფორუმის მონაწილეებისათვის გამართულ მიღებაზე ფილოსოფოსს მივუჭახუნე და სადღეგრძელო წარმოვთქვი: „წიგნს გაუმარჯოს, რომელმაც აგვალაპარაკა, და მის ავტორს, სიმპოსიარქ როჯერს“. სიმპოსიარქს ბერძნები თამადას უწოდებდნენ. და ბოლოს — მოკლე ამონარიდი მისი წიგნიდან: „მივმართავ მორწმუნეებს და ათეისტებს, ქრისტიანებს და იუდეველებს, ინდუისტებს და მაჰმადიანებს, ყველა მოაზროვნე ადამიანს, რომლისთვისაც ინტელექტუალური სიხარული სიცოცხლის სიხარულებს არ ეწინააღმდეგება. საბრძოლოდ ვიწვევ „ჯანმრთელი ცხოვრების წესის“ ფანატიკოსებს, შეშლილ მოლებს, ყველას, ვინც სხვის თვალსაზრისს პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ.“

აი, ასეთი იყო პროფესორ სკრუტონის ღვინის გაკვეთილი.

ნიბლიას ხსოვნას

ნოემბერია. აქედან უნდა მოვუსვა. მაგრამ ფეხები მექავება, წვივებზე ვენები დამებერა, სისხლძარღვები დამითხელდა, სად ვარ წამსვლელი? ამ ჩემ ფეხებს თავს კი დავტრიალებ: ახალ მტრედის სკინტლს ვაგროვებ, ვიზელ, სადაც მექავება. ჩემი ძელსკამის გვერდით სკინტლის გროვაა: დამპალი, გახრწნილი. მაგრამ მე ახალს ვამჯობინებ. ყველაზე მაცოცხლებელი მსუქანი მტრედების წაბლა სკინტლია. მშიერ მტრედებს თეთრი და თხელი აქვთ. რაც მეტს დაფრინავს მტრედი, მით უფრო ჯანმრთელია, და, შესაბამისად, უფრო უებარი სკინტლი აქვს. ცასაც ჯანმრთელობა შეერყა: ან სველი პლევრიტი აქვს, ან ზედა კიდურების შეშუპება. მზე ჩვენს დარბაზებში, რა ხანია, აღარ იხედება. „დარბაზებში“ მეტისმეტი მომივიდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ქალაქის ბოტანიკურ ბაღში. აქ აპრილიდან ვარ. თავიდან დენდრარიუმში დავიდე ბინა, მუხებს, წიფელებს, ჭადრებს დავუმეგობრდი. ივლისის დასაწყისში ალპინარიუმში გადავინაცვლე, ნაღველებთან, ედელვაისებთან, ბაიებთან. მაგრამ მინიერ სამოთხეში, ზეციურისგან განსხვავებით, ჟამი დაკრავს ხოლმე.

განსაცდელი ფრთების ფართხუნით მოფრინდა და აქვე დაეშვა. ჩვეულებრივ, საუზმედ ხოხბის კვერცხებს გეახლებით. მაგრამ ივლისის ბოლოს ხოხბებმა კვერცხის დადება შეწყვიტეს და ხელიდანაც აღარ კენკავდნენ მარცვლებს და კალიებს. ქათმებმა და იხვებმა ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული დაკარგეს: თავი ჩაქინდრეს, ბუმბული აეშალათ, ბიბილოები გაულურჯდათ, ხრინწიანად სუნთქავდნენ, თვალები წამდაუწუმ ეხუჭებოდათ. ხანდახან ადგილს მოწყდებოდნენ ხოლმე და წრეზე დარბოდნენ, თითქოს უხილავი მანეჟის საზღვრების გასწვრივ. მათი განკურნება ვცადე: ბაიებს წვიმის წყალთან ვურევდი ან აბზინდას ვსრესდი საჭმელ გობში, სიდრთან ერთად. ოქტომბერში გარეული ფრინველები სამხრეთში უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ იმ დროისთვის თითქმის ყველა ამოწყდა. ბოტანიკური ბაღი ფრთოსანთა სასაფლაოს დაემსგავსა. ყარაულმა დიაგნოზი დასვა: ჩიტის გრიპი ქალაქის მტრედებმა და გარეულმა იხვებმა შემოიტანეს.

ყველაზე დიდხანს ნიბლიას ვუვლიდი, ყველაზე საყვარელს. ჩემ თავზე, ფიჭვზე, ბალახის, ტოტებისა და ხავსისგან ბუდე ჰქონდა აშენებული. მისი ცისფერი ნისკარტის, სიმწვანეშეპარული ზურგის, მეწამული მკერდის ცქერით ვტკბებოდი. მაგრამ ყველაზე მეტად მისი რაკრაკი მიყვარდა: წიპ-ჩივ-წივწიპა, მერე — ხანმოკლე პაუზა და ისევ წიპ-ჩივ-წივწიპა, და დასკვნის სახით, თითქოს ხელი მოაწერაო, სლუკუნი, თუ შეძახილი. ნიბლიამ მიამბო, რომ ერთხელ მგალობელი ჩიტების შეჯიბრში გაუმარჯვია, სადღაც, გერმანიაში, ჰარცის მთიანეთში. გერმანია ენატრებოდა. ჩემს პეშვში მოკვდა და დიდხანს ვერ ველეოდი.

მაგრამ დროა, მოვუსვა. ძველ სასაფლაოზე რამე საძვალეს მოვნახავ. მიყვარს მდიდარი ხალხი: სიკვდილის მერეც ხალვათად არიან. ერთად გამოვიზამთრებთ. აპრილში კი ჩემს წიფლებს, ბაიებს, ჭადრებს, ნაღველებს დავუბრუნდები.

თარგმნა
ანა კორძაია-სამადაშვილმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004